

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარიამ ქებურია

დარწმუნების ლინგვოპრაგმატიკული მახასიათებლები და პრაქტიკული
არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში

(ქართული და ამერიკული საჯარო მიმართვების საფუძველზე)

ფილოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მანანა რუსიეშვილი

თბილისი

2019

შინაარსი

I თავი	კლასიკური რიტორიკიდან პოლიტიკური დისკურსის ანალიზამდე.....	8
1.1	კლასიკური რიტორიკის შესახებ.....	8
1.2	რიტორიკა და დისკურსი.....	12
	I თავის დასკვნა.....	15
II თავი	დარწმუნება, არგუმენტი და კრიტიკული დისკურსის ანალიზი (CDA)..	17
2.1	დარწმუნების შესახებ.....	17
2.2	მუქი ფერები დარწმუნებაში.....	19
2.3	არგუმენტი.....	21
2.4	არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში.....	23
2.5	ხარვეზები მსჯელობაში - ე.წ. Fallacious arguments	26
2.6	დარწმუნება არგუმენტის ჩამოყალიბების გზით.....	28
2.7	კვლევის მეთოდი - დისკურსის კრიტიკული ანალიზი (CDA).....	30
	II თავის დასკვნა.....	34
III თავი	ანალიზი.....	36
3.1	საქართველოს პრეზიდენტის წლიური ანგარიშების ანალიზი.....	36
	2005 წლის 10 თებერვალი, საანგარიშო მოხსენება.....	37
	2006 წლის 14 თებერვალი.....	46
	2007 წლის 15 მარტი.....	52
	2009 წლის 12 თებერვალი.....	58
	2010 წლის 26 თებერვალი.....	65
	2011 წლის 11 თებერვალი.....	71
	2012 წლის 28 თებერვალი.....	81
3.2	გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წარდგენილი მოხსენებების ანალიზი (2004-20013 წლები).....	103
3.3	დისკურსისა და იდეოლოგიის ურთიერთკავშირის საკითხი.....	112
3.4	ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წლიური ანგარიშების ანალიზი - The State of the Union Address	119
	III თავის დასკვნა.....	137
	შემაჯამებელი დასკვნა.....	142
	გამოყენებული ლიტერატურა:.....	147

შესავალი

„მჭერმეტყველების ხელოვნების მეთოდი დარწმუნების მეთოდია, დარწმუნება კი რაღაც დასაბუთებაა, ამიტომაც ყველაზე მეტად გვწამს ის, რაც დასაბუთებულად მიგვაჩნია (არისტოტელე, რიტორიკა 1355 ა).“

საქართველოს ტრანსფორმაცია საბჭოთა კავშირის ქვეყნიდან დამოუკიდებელ სახელმწიფომდე სხვადასხვა მიმართულების მკვლევართა ინტერესის საგანია. უახლესი ისტორიის მანძილზე საქართველოში განვითარებულ მოვლენებს თან სდევდა ემოციური საჯარო გამოსვლები. გაუღერდა, დაიბეჭდა, სხვადასხვა საშუალებით გავრცელდა მრავალი პოლიტიკური საჯარო მიმართვა. თანამედროვე ეპოქაში, ინფორმაციის გავრცელების ახალი ფორმების განვითარებასთან ერთად, გაფართოვდა პოლიტიკური ხასიათის ენობრივი კომუნიკაციის გავრცელების არეალიც. ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში „პოლიტიკა ვითარდებოდა დამარწმუნებელი სიტყვით და ორატორული ნიჭით დაჯილდოებულ პირს პოლიტიკური ძალაუფლება ერგებოდა“ (უორლი 2009: 163). იდვის დამარწმუნებელი ხერხებით ფორმულირება და გამოსატვა დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავინდებურად გასათვალისწინებელი და ძლიერი მექანიზმია.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, ჩემი მიზანია პოლიტიკური დისკურსის შერჩეულ ნიმუშებში ლინგვოპრაგმატიკული მახასიათებლების გამოვლენა, საკვლევ მასალაში 1) დარწმუნების სტრატეგიების იდენტიფიცირება და ანალიზი 2) არგუმენტაციული სქემების იდენტიფიცირება და ანალიზი. არგუმენტაციის სქემებს შორის ანალიზისთვის საინტერესო უპირველესი საკითხი უკავშირდება პრაქტიკულ არგუმენტს - გამოყენებულია თუ არა შერჩეულ საკვლევ მასალაში პრაქტიკული არგუმენტაციის სქემები, რა ძირითადი რეპრეზენტაციები ჩნდება ტექსტებში, როგორ მჟღავნდება და ვრცელდება იდეოლოგია.

საკვლევ მასალად შერჩეულია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული საჯარო სიტყვები, კერძოდ, 2005 – 2012 წლებში საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილი ანგარიშების ტექსტები და 2004-2013 წლებში გაეროს

გენერალურ ასამბლეაზე (UN General Assembly sessions) გაქვრებული მიმართვის ტექსტები. ამავდროულად, შედარების მიზნით წარმოდგენილია აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას საჯარო გამოსვლების – *State of the Union Address* - ტექსტების ანალიზი (2010-2016 წლების საჯარო მიმართვები). საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პირველი პირი წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგენს ვრცელ შემაჯამებელ მოხსენებას¹. ანგარიშში იგი მიმოიხილავს როგორც გასული წლის მნიშვნელოვან მოვლენებს, ასევე დაგეგმილ, სამომავლოდ განსახორციელებელ ნაბიჯებს. **კვლევის ცენტრალური პრობლემა** მდგომარეობს შემდეგში: ქართული და ამერიკული საჯარო მიმართვების ანალიზი (დისკურსის ამ კონკრეტული ნიმუშების ანალიზი) ყურადღებას ამახვილებს წამყვანი პოლიტიკოსების მიერ საზოგადოებრივი ღირებულებების, სოციალურ ჯგუფებზე გავლენის, იდეოლოგიის შექმნის პროცესზე. ანალიზისთვის საინტერესო უპირველესი საკითხი უკავშირდება პრაქტიკულ არგუმენტს – ეს არის კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავს, დაარწმუნოს ადრესანტი გადასადგმელი ნაბიჯის, გასატარებელი პოლიტიკის, მიღებული თუ მომავალში მისაღები გადაწყვეტილების სისწორეში.

ნაშრომში იდენტიფიცირებულია შემდეგი პრობლემა: მომხსენებელთა მიერ გაქვრებული პრაქტიკული არგუმენტების თანმიმდევრულობა და პრაქტიკული არგუმენტების შემადგენელი ნაწილების – წინამძღვრებების კავშირი ერთმანეთთან. ნაშრომის ძირითადი მიზნის – კვლევისთვის შერჩეულ მასალაში დარწმუნების სტრატეგიების და არგუმენტ ტაციული სქემების ანალიზის გათვალისწინებით, იდენტიფიცირდება შემდეგი საკვლევი კითხვები: - რა ლინგვოპრაგმატიკულ მახასიათებლებს მიმართავს მომხსენებელი, რა გზით ცდილობს, რომ კომუნიკაცია გახადოს დამარწმუნებელი?

¹ 2005–2013 წლების ანგარიშების სრული ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე ხელმისაწვდომი იყო პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.president.gov.ge ვებგვერდი უკანასკნელად შემოწმებულია 2013 წლის 17 აგვისტოს, ამ დროისათვის ზემოაღნიშნულ გვერდზე განთავსებულია საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ანგარიშების ტექსტები.

- რა რეპრეზენტაციები იკვეთება პოლიტიკური დისკურსის მოცემულ მაგალითებში?
- როგორ, რა ენობრივი ფორმებით მუდგუნდება და ვრცელდება იდეოლოგია?

ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს დისკურსის როლი სხვადასხვა სოციალური კონტექსტის ჩამოყალიბების პროცესში. დღითიდღე იზრდება როგორც ინტერესი პოლიტიკური დისკურსის ანალიზისადმი, ასევე საჭიროება იმისა, რომ პოლიტიკური ხასიათის ენობრივი კომუნიკაცია გაანალიზებული იქნას ინტერდისციპლინურ ჭრილში და ამგვარი კვლევის შედეგები გავრცელებული იქნას აკადემიურ წრეებში.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს დისკურსის ანალიზის ერთ-ერთი მიმართულების – ნორმან ფეარკლოს მიერ შემუშავებული დისკურსის კრიტიკული ანალიზის (Critical Discourse Analysis) მოდელით ქართული და ამერიკული პოლიტიკური დისკურსის ნიმუშების შედარებითი და შეპირისპირებითი ანალიზი

ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო უკავშირდება დისკურსის კრიტიკულ ანალიზს (Critical Discourse Analysis). იმის გათვალისწინებით, რომ შერჩეულ ტექსტებში, წარსულში მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვასთან ერთად, მიმდინარეობს მსჯელობა მომავალში გასატარებელ ღონისძიებებზე, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევას არჩევანი სწორედ დისკურსის კრიტიკულ ანალიზზე (CDA) გავაკეთე. CDA გამოირჩევა დისციპლინათა სიმრავლით. იგი მკვლევარს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზოს აქტუალური საკითხები და გამოხატოს თავისი პოზიცია. ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ არგუმენტის ერთ-ერთი ფორმის - პრაქტიკული არგუმენტის იდენტიფიცირებასა და ანალიზზე (ფეარკლო 2001, ვაისი ე., ვოდაკი რ., 2007; ვოდაკი რ., კენდალი გ., 2007).

ნაშრომს აქვს შემდეგი სტრუქტურა: შესავალი, სამი თავი, საერთო დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

პირველი თავი მიმოიხილავს ინფორმაციის მიმღების დარწმუნების მიზნით ენობრივი საშუალებების გამოყენების ხელოვნებას – **რიტორიკას**. ამავე თავში საუბარია რიტორიკის ე.წ. ხუთ კანონზე – მჭერმეტყველების ხუთ წესზე.

მიმოხილულია დისკურსისა და პოლიტიკური დისკურსის დეფინიციათა სხვადასხვა ვერსია, კავშირი დარწმუნების უძველეს ხელოვნებას – რიტორიკასა და პოლიტიკურ დისკურსს შორის. მეორე თავი ეთმობა **დარწმუნების** თეორიულ საფუძვლებს და მის ინტერდისციპლინურ ხასიათს. დარწმუნებასთან მიმართებაში მიმოხილულია ავტორის – დანიელ ო'კიფის მიერ ჩამოყალიბებული პარადიგმული ნიმუშები (**Paradigm cases**). სწორედ დანიელ ო'კიფის დეფინიცია არის, ჩემი აზრით, დარწმუნების ყველაზე მისაღები განმარტება: „სხვა ადამიანის გონებრივ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენის წარმატებული წინასწარგანზრახული ძალისხმევა, რომელიც მიღწეულია **კომუნიკაციის მეშვეობით** ისეთ გარემოში, სადაც დარწმუნებას აქვს თავისუფლების გარკვეული ხარისხი” (ო'კიფი, 2002). ნაშრომის მეორე თავში ასევე საუბარია დარწმუნების ე.წ. „მუქი ფერებზეც” (grey areas of persuasion) როდესაც საზოგადოებაში გარკვეული დამოკიდებულებების შექმნის მიზნით, მომხსენებელი სხვადასხვა იმპლიციტურ ხერხს მიმართავს (ხშირად ასეთი იმპლიციტური ხერხი ენობრივ კომუნიკაციას სცილდება). მესამე თავში წარმოდგენილია კვლევისთვის შერჩეული მასალის ანალიზი. შესწავლილია საპარლამენტო ანგარიშების ტექსტები შემდეგი დათარიღებით:

- 2005 წლის 10 თებერვალი;
- 2006 წლის 14 თებერვალი;
- 2007 წლის 15 მარტი;
- 2009 წლის 12 თებერვალი;
- 2010 წლის 26 თებერვალი;
- 2011 წლის 11 თებერვალი;
- 2012 წლის 28 თებერვალი;

ასევე, წარმოდგენილია პრეზიდენტ სააკაშვილის ინგლისურენოვანი საჯარო გამოსვლების ანალიზი გაეროს გენერალური ასამბლეის სესიების ფარგლებში:

- 59-ე სესია, 2004 წლის 21 სექტემბერი;
- მე-60 სესია, 2005 წლის 15 სექტემბერი;
- 61-ე სესია, 2006 წლის 22 სექტემბერი;
- 62-ე სესია, 2007 წლის 27 სექტემბერი;
- 63-ე სესია, 2008 წლის 23 სექტემბერი;

- 64-ე სესია, 2009 წლის 24 სექტემბერი;
- 65-ე სესია, 2010 წლის 23 სექტემბერი;
- 66-ე სესია, 2011 წლის 22 სექტემბერი;
- 67-ე სესია, 2012 წლის 25 სექტემბერი;
- 68-ე სესია, 2013 წლის 25 სექტემბერი;

მცირეოდენი შედარების თვალსაზრისით, წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბარაკ ობამას საჯარო გამოსვლების შემდეგი ტექსტების ანალიზი:

State of the Union address 2010 წლის 27 იანვარი

State of the Union address 2011 წლის 25 იანვარი

State of the Union address 2012 წლის 24 იანვარი

State of the Union address 2013 წლის 12 თებერვალი

State of the Union address 2014 წლის 28 იანვარი

State of the Union address 2015 წლის 20 იანვარი

State of the Union address 2016 წლის 12 იანვარი

ზემოაღნიშნულ საჯარო გამოსვლებში დისკურსის კრიტიკული ანალიზის (CDA) მიხედვით იდენტიფიცირებულია პრაქტიკული არგუმენტების სქემები. განხილულია მომხსენებლების მიერ გამოყენებული დარწმუნების სტრატეგიები, ენობრივი ხერხები, ხაზგასმულია ენობრივი კომუნიკაციის საშუალებით იდეოლოგიის შექმნის საკითხები.

თავი I - კლასიკური რიტორიკიდან პოლიტიკური დისკურსის ანალიზამდე

1.1 კლასიკური რიტორიკის შესახებ

საუკუნეებს მიღმა ენა მთელი თავისი დიდებულებით ანტიკური ათენის დემოკრატიას ქმნიდა - ათენის რჩეული მოქალაქეები საჯაროდ სიტყვის წარმოთქმის გზით მოიპოვებდნენ თავიანთი ხელისუფალის საქმიანობაში ჩართვის უფლებას. პოლიტიკური გადაწყვეტილება სწორედ საჯაროდ საუბარს და საუბრის უფლების მქონე მოქალაქეებს ეფუძნებოდა. „პოლიტიკა ვითარდებოდა დამარწმუნებელი სიტყვით და ორატორული ნიჭით დაჯილდოებულ პირს პოლიტიკური ძალაუფლება ერგებოდა“ (უორლი 2009:163). მჭერმეტყველება განსაზღვრავდა დემოკრატიულ მოქალაქეობას, და, ბუნებრივია, დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა მისი შეფასების მაღალი სტანდარტები: საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა უნდა ყოფილიყო დახვეწილი, მაღალმხატვრული და, რაც მთავარია - დამარწმუნებელი.

მჭერმეტყველებაზე დაწვრილებით მოგვითხრობს რიტორიკა, რომელიც, უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით (ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989:600) განმარტებულია, როგორც მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ. ამ მიმართულებით ანტიკურ ხანაში უდიდესი მოაზროვნეების მიერ ჩამოყალიბებული თეორიები აქტუალობას ეპოქების მანძილზე ინარჩუნებს. მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფოსის, არისტოტელეს მიხედვით, რიტორიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საჯაროდ სიტყვის მოქმედმა მსმენელი დაარწმუნოს, მიიყვანოს გარკვეულ გადაწყვეტილებამდე. დარწმუნება მიიღწევა ენის ფართო შესაძლებლობათა გამოყენების გზით:

„რიტორიკა უნდა იყოს ყოველი საგნის შესატყვისი დამაჯერებლობით განხილვის უნარი“ - განმარტავს არისტოტელე. დამაჯერებლობა დასაბუთებით მიიღწევა. დასაბუთება ორგვარი შეიძლება იყოს: „ხელოვნური“ და „არახელოვნური“. „არახელოვნურ“ დასაბუთებაში არისტოტელე გულისხმობს, ასე ვთქვათ, ობიექტურად არსებულ მოვლენებს, ფაქტებს, რომელიც „არსებობს ჩვენგან დამოუკიდებლად“ და რომელთა გამოყენებაც შეუძლია საჯაროდ სიტყვის მოქმედს თავისი გამოსვლის დროს. „ხელოვნური“ დასაბუთება კი მომხსენებელმა უნდა განავითაროს - როგორც ავტორი თავად უწოდებს -

„მოიპოვოს“. საინტერესოა, რომ არისტოტელე ხაზს უსვამს რიტორიკის მრავალდისციპლინურ ხასიათს: „იგი არაა ერთი განსაზღვრული გვარის მოვლენათა ხელოვნება“. წინამდებარე კვლევის შინაარსიდან და ინტერესიდან გამომდინარე, პრიორიტეტს მივანიჭებ რიტორიკის გამოყენებას პოლიტიკურ კონტექსტში. პლატონი აღნიშნავს, რომ რიტორიკა მოიცავს ანალიტიკურ და პოლიტიკურ ცოდნას. არისტოტელემ ორატორების საუბრის თემატიკა ასე ჩამოაყალიბა: „სახელმწიფოს შემოსავალი, ომი და ზავი, სახელმწიფოს დაცვა, საქონლის შემოტანა და გატანა და კანონმდებლობა“. ჩამონათვალი ნამდვილად მოიცავს პოლიტიკური მეცნიერებებისათვის საინტერესო საგნებს. მაგალითისთვის, ომი და ზავი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგნებია. აი, რას ამბობს არისტოტელე იმ ორატორის შესახებ, რომელიც ომსა და ზავსე საუბრობს:

„ორატორმა, რომელიც ეხება ომისა და ზავის საკითხებს, უნდა იცოდეს სახელმწიფოს ძლიერება. ე.ი. თუ რის უნარი აქვს ახლა და როგორ შეიძლება ის გაიზარდოს მომავალში... **საჭიროა იმის გათვალისწინებაც, თუ ვისთანაა მოსალოდნელი ომი, რათა უფრო ძლიერ მეზობელთან შევეკრათ ზავი, ხოლო უფრო სუსტებთან ომის წარმოება ჩვენს სურვილზე იყოს დამოკიდებული**“ (რიტორიკა, 1360ა).

ბერძენი და რომაული ტრადიციების მიხედვით, რიტორიკა წვრთნიდა ორატორებს, ვინც საზოგადოებრივ ცხოვრებაში იყო აქტიურად ჩართული, ჰქონდა სოციალური და პოლიტიკური ფუნქცია-მოვალეობები. მომხსენებლის მიმართ **ნდობის** საკითხი უძველეს დროშიც მნიშვნელოვანი იყო. არისტოტელეს „რიტორიკის“ მიხედვით, მჭერმეტყველის წარმატება დიდწილად უკავშირდება საზოგადოების მხრიდან მისდამი ნდობას:

„ზნეობრივი ხასიათის მტკიცება მაშინ გვაქვს, როცა სიტყვა ისეა წარმართული, რომ მოლაპარაკე ნდობას იმსახურებს, რადგან საერთოდ კარგად ადამიანებს უფრო მეტად და უფრო სწრაფად ვენდობით ყველაფერში, განსაკუთრებით იქ სადაც არაა სიზუსტე და საკითხი მთლად სადავოა... მოლაპარაკის ზნეობას უდიდესი ზემოქმედებითი ძალა აქვს მსმენელზე“ (არისტოტელე, რიტორიკა, 1356ა).

არისტოტელე საუბრობს ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც მსმენელი ორატორის ნათქვამს სარწმუნოდ იღებს დასაბუთების გარეშეც: „მიზეზი იმისა,

რის გამოც ვენდობით ორატორს, სამია: ეს ის მოვლენებია, როცა გვჯერა ორატორისა დასაბუთების გარეშე: გონიერება, სათნოება და კეთილგანწყობა (რიტორიკა, თავი მეორე)”. მსმენელის შეცნობას და მისი გონების გულისყურით შესწავლას აუცილებლად მოჰყვება მისი წარმატებული დარწმუნება. არისტოტელე თანმიმდევრულად აყალიბებს და ურჩევს რიტორს, თუ რა ხერხით მოახდინოს შთაბეჭდილება მსმენელზე, როგორ გახადოს სიტყვა დამაჯერებელი და არსებული მდგომარეობის შესაბამისი - „სიტყვა მიზანშეწონილია მაშინ, თუ საგნის შესატყვისია, პათეტურია და ეთიკური. სიტყვა მიზანშეწონილია მაშინ, თუ მნიშვნელოვან მოვლენებზე არ არის ნათქვამი სასხვათაშორისოდ, ხოლო უმნიშვნელოზე სადღესასწაულოდ.“

„არგუმენტების უბადლო ოსტატი, რომელი აუდიტორიის საოცრად კარგი მცოდნე“ - ასე ახასიათებს ციცერონს ჯეიმს ჰერიკი (ჰერიკი, 2005) და აღნიშნავს, რომ ციცერონი რიტორიკული განათლების ბერძნულ მიდგომებს იზიარებდა, წარმატებულად უსადაგებდა ბერძნულ რიტორიკულ თეორიას რომაულ მიზნებთან. ციცერონის De Oratore, როგორც თავად ავტორი აღნიშნავდა, არისტოტელეს შთაგონებით დაიწერა. რიტორიკაზე საუბრისას მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მოკლედ მიმოვიხილოთ მჭერმეტყველების ხუთი წესი, რომელიც ბერძნული და რომაული სამყაროს შეთანხმების საგანი გახდა:

1. **Inventio** – (ბერძნული შესატყვისი – Euresis) ყველა შესაძლო არგუმენტის მოძებნა, რომელიც რიტორის მტკიცებას გაამყარებს (სწორედ ამ არგუმენტებს ჰყოფს არისტოტელე „ხელოვნურ“ და „არახელოვნურ“ არგუმენტებად);
2. **Dispositio** – (ბერძნული შესატყვისი - Taxis) საჯარო სიტყვის ტექსტის განლაგების, მისი მიმდევრობის დადგენა;
3. **Elocutio** – (ბერძნული შესატყვისი - Lexis, hermeneia phrasis) მეტყველების სტილი, აზრებისა და არგუმენტების ცხადი ენით გამოთქმა;
4. **Memoria** – (ბერძნული შესატყვისი - Mneme) მეხსიერება. არისტოტელე მიიჩნევდა, რომ საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა დამარწმუნებელი მაშინ არის, როდესაც ორატორი ზეპირად გადმოსცემს მას;
5. **Pronuntiatio** – (ბერძნული შესატყვისი - Hypokrisis) სიტყვის ეფექტიანი პრეზენტაციის უნარი ვერბალური და არავერბალური მეთოდების გამოყენებით; საინტერესოა, რომ ასევე კლასიკური გაგებით, რიტორიკა (კონკრეტულად

კი სათათბირო სიტყვა - ანუ რიტორიკის ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკური ხასიათის კომუნიკაციას მოიაზრებს) **მიმართულია მომავლისკენ**, მსმენელის სამომავლო მოქმედებების გაღვივებისკენ: თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას და რას უნდა ვერიდოთ. „რიტორიკის მეცნიერების მთელი საზრუნავი არ არის ის, რომ სისწორე დაადგინოს, არამედ ის, რომ დაადგინოს რაიმე, როგორც აუცილებელი. იგი იმდენად სიტყვის მიმართლეს არ იკვლევს, რამდენადაც იმას, რომ სიტყვა ვინმეს არ ადარებდეს ან არ აწუხებდეს, რადგან სამართლიანია ბრძოლა მხოლოდ დასაბუთებით ისე, რომ მტკიცების გარდა სხვა ყოველი ხერხი ზედმეტი იყოს“ (რიტორიკა 1404 ა).

ცნობილია, რომ მჭერმეტყველების შესახებ ცოდნას ანტიკურ ხანაში **სოფისტები** ავრცელებდნენ. ისინი, საკმაოდ მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ, სტუდენტებს დამარწმუნებელი მეტყველების ხელოვნებას აზიარებდნენ. „ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა ჩამოეყალიბებინათ არგუმენტები, დაეყოთ საჯარო სიტყვა ლოგიკურ ნაწილებად, ყურადღებით შეერჩიათ სიტყვები და მოეხდინათ მათი კომბინირება“ (კენედი 2007) ერთ-ერთ ცნობილ სოფისტს, გორგიასს ეკუთვნის საინტერესო სიტყვა **„ელენეს ქება“**. აღნიშნულ ნაშრომზე ყურადღების გამახვილება მისი არგუმენტაციული ხასიათიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ: **„ელენეს ქება“** არის მკითხველის დარწმუნების მიზნით თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული სიტყვა. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ელენეს საქებრად და მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების გასაქარწყლებლად განზრახული აქვს **„გონივრული საბუთები წარმოადგინოს“**. იგი ელენეს მიმართ გაჟღერებული ბრალდებების მიხედვით, განმარტავს ყველა იმ მტკიცებას, რომელსაც სიტყვაში წარმოადგენს. მაგალითად, ის, რომ ელენე ღამაზია, განსაზღვრულია მისი ღვთიური წარმომავლობით, „ასეთ მშობელთა პატრონს ღვთაებრივი სიღამაზე დაჰყვა“. ავტორის მიხედვით, ელენეს მიერ ჩადენილი საქციელი ტროას ომთან მიმართებაში შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო ოთხი ფაქტორით (და მეტად საინტერესოა, რომ ამ ოთხი ფაქტორიდან ერთ-ერთი კვლავ დამარწმუნებელი კომუნიკაციაა): სიყვარულის, დამარწმუნებელი სიტყვის, ღვთიური აუცილებლობის ან ძალადობის. გორგიასი დიდი ოსტატობით წარმოადგენს მტკიცებულებებს და ასკვნის, რომ არც ერთი ზემოაღნიშნული მიზეზი მშვენიერი ელენეს ბრალეულობას არ ადასტურებს (დილონი ჯ., და გერგელი ტ., 2003:76-84).

რიტორიკისა და, განსაკუთრებით, სოფისტების მიმართ დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ ყოფილა. სოფისტებს საშიშ პირებადაც კი მიიჩნევდნენ იმის გამო, რომ მათ ჰქონდათ დარწმუნებისა და ამ ტექნიკის სწავლების საოცარი უნარი (კენედი, 2007). საინტერესოა ჯეიმს ჰერიკის მიერ სოფისტების შესახებ ანტიკურ საბერძნეთში აზრთა სხვადასხვაობის მიზეზების ახსნა: სოფისტების მიმართ ზოგიერთი ათენელის უნდობლობა რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: პირველ რიგში იმით, რომ სოფისტები სწავლებას საკმაოდ მაღალი გასამრჯელოს სანაცვლოდ ეწეოდნენ. უნდობლობას იწვევდა ასევე ის, რომ სოფისტები, ძირითადად, უცხოელები იყვნენ. მათთვის კარგად იყო ცნობილი როგორც ათენელების შეხედულებანი და რწმენა, ასევე მსოფლიოს სხვა ნაწილში დამკვიდრებული შეხედულებანი. სიმართლედ კი მათ მიიჩნდათ ის, რაც არგუმენტაციის შედეგად დგინდება“ (ჰერიკი, 2005).

1.2 რიტორიკა და დისკურსი

სხვადასხვა თანამედროვე ავტორთან რიტორიკაზე მსჯელობა ხშირად დისკურსთან მიმართებაში გვხვდება. მაგალითად, ჯონ ჰესკი რიტორიკაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ არისტოტელესთვის რიტორიკა არის პრაქტიკული დისკურსი (ჰესკი, 2009).

„რიტორიკა არის ხელოვნება ან დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ზეპირი ან წერილობითი დისკურსის გამოყენებას, რათა ინფორმაცია გადასცეს, დაარწმუნოს ან აუმაღლოს მოტივაცია მსმენელს - იქნება ეს ერთი პირი თუ ადამიანთა ჯგუფი“ (კორბეტი ე., კონორსი რ., 1999:3)

ცნობილია, რომ **დისკურსის** განმარტება სხვადასხვაგვარია და მასთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობას განაპირობებს კონკრეტული კვლევის საგანი. მკვლევრები თანხმდებიან, რომ დისკურსი მოიცავს როგორც ზეპირ კომუნიკაციას, ასევე ენის წერილობით ფორმას (შოლიარკი ლ., ფვარკლო ნ., 1991; ფვარკლო 2003, რენკემა 2005). ზოგადად, განმარტებებთან დაკავშირებით - იქნება ეს რიტორიკის, დისკურსის, თუ პოლიტიკური დისკურსის დეფინიცია - მიგვაჩნია, რომ თანამედროვე სამყაროში სრულყოფილად ზუსტი განმარტება ნელ-ნელა ქრება. დისციპლინების მჭიდრო თანამშრომლობამ სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში უკვე დამკვიდრებული ტერმინებიც კი შეცვალა -

დამატებითი შინაარსი შესძინა (რა საკვირველია, იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება თავისი შინაარსით მოქნილ ცნებებს, რომელთა დანახვაც სხვადასხვა კუთხიდანაა შესაძლებელი).

დისკურსის მკვლევრები წინადადების ფარგლებს სცდებიან და ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს წინადადებათა ფორმებზე მიმდებარე წინადადებები ტექსტსა და მეტყველებაში. მაგალითად, ცალკე აღებული, ცალკე მდგომი წინადადება, შესაძლოა იყოს, ერთის მხრივ, გრამატიკულად გაუმართავი, და ასევე აზრს მოკლებული. წინადადებათა დისკურსული თანმიმდევრობის ფარგლებში კი ასეთი შეუსაბამობის ახსნა შესაძლებელია. გამოტოვებულ გრამატიკულ (თუ სხვა სახის) ინფორმაციას წინამორბედი წინადადებები აანაზღაურებს. ვან დაიკი დისკურსის შინაარსის შესწავლის შესახებ აღნიშნავს, რომ არსებობს ანალიზის მიკრო დონე - როდესაც შევისწავლით იმ წინადადებათა დამოკიდებულებას, რომელიც ერთმანეთს მოსდევს. ასევე, არსებობს დისკურსის შინაარსის - მაკრო დონის ანალიზი. ორივე შემთხვევაში, ვარკვევთ, თუ რა ანიჭებს დისკურსს მნიშვნელობას და რითი განსხვავდება დისკურსი არათანმიმდევრული წინადადებებისაგან (ვან დაიკი 1997).

ინტერდისციპლინური ხასიათი დისკურსის შესწავლამ 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან მიიღო. დისკურსის ანალიზისას ლინგვისტიკა სხვადასხვა მეცნიერებას მიმართავს იმისდა მიხედვით, თუ რა ამოცანას ისახავს კვლევა. ასეთ დროს ლინგვისტიკა მჭიდრო კავშირშია სოციალურ მეცნიერებებთან. ვან დაიკი და ნორმან ფეარკლო ხშირად აღნიშნავენ, რომ ლინგვისტიკას შეუძლია პოლიტიკური მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო მასალის მიწოდება. დისკურსის ანალიზის ფარგლებში აქტუალური ხდება ისეთი საკითხები, როგორიცაა ძალაუფლება, იდეოლოგია. დისკურსის მეშვეობით იქმნება, გადაკეთდება, იცვლება ადამიანთა დამოკიდებულება ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა გენდერი, ეთნიკური უმცირესობები და ა. შ. დისკურსს შეუძლია გარკვეული იდეოლოგიის დანერგვა, იდეოლოგიური საკითხების საზოგადოებამდე მიტანა იმგვარად, თითქოს ესა თუ ის მოცემულობა იყოს ნორმა (ვან დაიკი 1995; ფეარკლო 1992, 2003).

საინტერესოდ მიმაჩნია, წარმოგიდგინოთ ვან დაიკის მიერ დარწმუნებასთან დაკავშირებული ხედვა, რომელიც მან გაგვაცნო კრებულში

Discourse as Interaction in Society (დისკურსი, როგორც საზოგადოებაში ინტერქცია, 1997:18): ნაცვლად იმისა, რომ ვინმეს მოქმედება პირდაპირი ფორმით ვუბრძანოთ ან ღიად მოვუწოდოთ, შეგვიძლია, იმპლიციტურად დავარწმუნოთ იგი და ჩვენთვის სასურველი ქმედებისკენ ვუბიძგოთ. მართვის დისკურსი ამ შემთხვევაში ხდება მკრთალი, ტექსტში იგი გამოხატულიც კი არ არის. მსმენელის/შეტყობინების მიმღების წინაშე წარმოვაჩინოთ უარყოფით ალტერნატივას ისე, რომ იგი ჩვენთვის სასურველ არჩევანს აკეთებს. „თუ ჩვენ დისკურსს შეუძლია ადამიანების ამგვარად დარწმუნება, და არაპირდაპირ ვაკონტროლებთ მათ მოქმედებას ჩვენი ინტერესებისამებრ, მაშინ წარმატებით მოვახდინეთ მათი მანიპულირება ტექსტისა და მეტყველების მეშვეობით. ამ შემთხვევაში სოციალური ძალაუფლების გამოსახატად გამოიყენება ტერმინი ჰეგემონია: ჰეგემონიური ძალაუფლება ადამიანებს აიძულებს იმოქმედონ ისე, თითქოს ეს იყოს ბუნებრივი, ნორმალური... ბრძანება, მოთხოვნა შეთავაზებაც კი არ ხდება საჭირო.“ (ვან დაიკი, 1997). ავტორს მაგალითად მოჰყავს დასავლეთში მეტად პოპულარული თემა - მიგრაცია: როდესაც მთავრობა მოქალაქეებს მიგრაციის ეკონომიკური და სოციალური საფრთხეების შესახებ „უხსნის“, ახდენს, ასე ვთქვათ, მოსახლეობის „ინფორმირებას“, იგი ამავდროულად აყალიბებს მოსახლეობაში მისთვის მისაღებ დამოკიდებულებას მიგრაციასთან მიმართებაში. ასეთი ჩამოყალიბებული შეხედულების საფუძველზე მოსახლეობამ, შესაძლოა, პროტესტი გამოხატოს იმიგრანტების მიმართ. ავტორი აქვე დასძენს, რომ მიგრაციის პოლიტიკა მრავალ დასავლურ ქვეყანაში უმეტესწილად სწორედ ამგვარი დისკურსის დახმარებით ხორციელდება (ვან დაიკი, 1997).

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2004) დისკურსს ასე განმარტავს: „მიშელ ფუკოს მიერ გამოყენებული ცნება იმის ასახსნელად, თუ როგორ ცდილობენ ადამიანები შეიტანონ წესრიგი სოციალური ცხოვრების ქაოსში. დისკურსი არის ურთიერთდაკავშირებული დებულებების ან ცნებების ერთობლიობა, ერთგვარი „ენა“, რომელიც განსაზღვრავს სოციალური სამყაროს ელემენტებს შორის ურთიერთობას. სოციალური მოვლენები ყოველთვის არსებობს მხოლოდ გარკვეული დისკურსის ფარგლებში და სხვაგვარი არსებობა არ გააჩნია... ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დისკურსი არამხოლოდ ქმნის (ან აღწერს)

სოციალურ ურთიერთობებს, არამედ იყენებს ცოდნას ძალაუფლების დასაფუძნებლად. ფუკოს მიხედვით, ცოდნა სხვებზე ძალაუფლების წყაროა, რამდენადაც დისკურსი გამოიყენება ქცევის გასაკონტროლებლად და სახელმძღვანელოდ. ის, ვინც აკონტროლებს დისკურსს, ფლობს იმის ძალას, რომ განსაზღვროს სხვათა პოზიციები“ (*სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი*, 2004).

რა აძლევს დისკურსს პოლიტიკურ ელფერს?

სამეტყველო კომუნიკაცია, წერილობითი ტექსტი, რომელიც შეეხება **პოლიტიკას** ხდება პოლიტიკური დისკურსი. მას ქმნიან პოლიტიკოსები და პოლიტიკურ პროცესებში ჩართული სხვა პირები: საზოგადოება, მოქალაქეები, ყველა მონაწილე. წინამდებარე ნაშრომი იზიარებს შეხედულებას, რომელიც განავითარეს იზაბელა და ნორმან ფეარკლოებმა, რომ პოლიტიკური დისკურსი არის არგუმენტაციის ფორმა, უფრო კონკრეტულად კი - პრაქტიკული არგუმენტაციისა, „რომელიც ემხრობა ან უარყოფს მოქმედების კონკრეტულ გზებს, არგუმენტაცია, რომელსაც შეუძლია შექმნას გადაწყვეტილების საფუძველი“ (ფეარკლო ი., ფეარკლო ნ., 2012). აქვე, ავტორები განმარტავენ, რომ არგუმენტაცია არ არის პოლიტიკური დისკურსის ერთადერთი შემადგენელი ნაწილი და დასძენენ, რომ „პოლიტიკა უკავშირდება გადაწყვეტილებების მიღებას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ გარკვეული გარემოებებისა და მიზნების საპასუხოდ... არჩევანი და მოქმედება კი პრაქტიკულ არგუმენტაციაზეა დაფუძნებული“ (ფეარკლო ი., ფეარკლო ნ., 2012).

I თავის დასკვნა

ამ ნაშრომის პირველ თავში საუბარია კლასიკურ რიტორიკასა და პოლიტიკური დისკურსის შორის არსებულ კავშირზე. ცნება, რომელმაც ისინი ერთმანეთს წინამდებარე კვლევაში დაუკავშირა არის **დარწმუნება** – ენის გამოყენება პოლიტიკურ კონტექსტში მსმენელის / ინფორმაციის მიმღების დარწმუნების მიზნით. საჯაროდ სიტყვის წარმოთქმამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში და ეს პროცესი ანტიკური ათენის წიაღიდან დაიწყო, სადაც მოქალაქეობის საკითხი სწორედ საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვას უკავშირდებოდა. პოლიტიკური სახის

ენობრივ კომუნიკაციას საუკუნეების წინ არისტოტელე რიტორიკის **სათათბირო სიტყვაში** განიხილავდა. რიტორიკა წვრთნიდა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულ პირებს. მიგვაჩნია, რომ ანტიკურ ხანაში ჩამოყალიბებული წესები პოლიტიკური ხასიათის წარმატებული ენობრივი კომუნიკაციის შესახებ **დღევანდელობაში ზედმიწევნით რელევანტურია.**

მას შემდეგ, რაც ლინგვისტიკის შესწავლის სფერო გასცდა სიტყვათა ჯგუფისა თუ ცალკეული წინადადებების შესწავლის ფარგლებს, მკვლევრებმა ლინგვისტური ანალიზის განხორციელების დროს ეტაპობრივად სხვადასხვა დისციპლინას მიმართეს. მეოცე საუკუნის მკვლევართა მხრიდან ხშირია დისკურსისა და რიტორიკის დაკავშირების შემთხვევა, მაგალითისთვის, განსაკუთრებით საინტერესოა ედუარდ კორბეტის (კორბეტი ე., კონორსი რ., 1999) მიერ წარმოდგენილი განმარტება, რომლის მიხედვითაც რიტორიკა დისკურსის გამოყენებას შეისწავლის მსმენელის ინფორმირების, დარწმუნების ან მოტივირების მიზნით.

II თავი დარწმუნება, არგუმენტი და დისკურსის კრიტიკული ანალიზი (CDA)

2.1 დარწმუნების შესახებ

Peitheim, dicendo persuadere ... (დაარწმუნე, დაარწმუნე საუბრით)

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, დარწმუნებაზე ყურადღების გამახვილება გადაწყვიტე თავისი უძველესი ისტორიიდან გამომდინარე. დარწმუნების შესწავლა მრავალი სხვადასხვა დისციპლინის ინტერესს წარმოადგენს. მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება კომუნიკაციის, ფსიქოლოგიის, იურისპრუდენციის, მარკეტინგის და მრავალი სხვა დარგის ფარგლებში. დღეს მეტად აქტუალური და ოცდამეერთე საუკუნის ყურადღების ცენტრში მყოფი დარწმუნება უძველესი დროიდან მოდის. „Aristotele’s theory of rhetorical discourse has withstood the test of time, furnishing axioms that guide today’s practitioners of persuasion and campaigns”

„არისტოტელეს თეორიამ რიტორიკის დისკურსის შესახებ დროის გამოცდას გაუძლო, ფორმა მისცა იმ აქსიომებს, რომელთაც დარწმუნების თანამედროვე პრაქტიკოსები ეყრდნობიან (პფაუ მ., ფეროტ რ., 1993:25).

დარწმუნება და რიტორიკა ერთმანეთთან ფაქტობრივად გააიგივეს ჟონსმა და ჰერბერტ საიმონსმა. განიხილავენ რა რიტორიკის მიმართ ანტიკურ პერიოდში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას, ავტორები აღნიშნავენ, რომ „პლატონისეული კრიტიკა და არისტოტელეს მხრიდან რიტორიკის დაცვა - ორივე შეიცავს უდიდეს სიბრძნეს...რიტორიკის გამოყენება შეიძლება მოტყუების, შეცდომაში შეყვანის, გამოყენებისა და დაჩაგვრის მიზნით. (ჯონს ჟ., საიმონს ჰ., 2001:7). დარწმუნების თეორიას და კვლევის ასპექტებს საინტერესო შრომა მიუძღვნა დალიელ ო’კიფიმ დასაწყისშივე, სანამ ცნების განმარტებას შეუდგება, იგი ზოგადად დეფინიციებთან დაკავშირებულ სირთულეზე საუბრობს:

„Definitions can be troublesome things, precisely because they commonly are treated as providing sharp-edged distinctions, as somehow drawing sharp lines (between what is and is not persuasion, in the case of definitions of persuasion) What is troublesome about sharp lines is that no matter where they are drawn, it is possible to sustain objection to their locations (O’Keefe, 2002).

(დეფინიცია შეიძლება სახათაბალო რამ იყოს, რადგან მას ევალება მკვეთრი განსხვავებების წარმოჩენა, გამყოფი ხაზის გავლება – დარწმუნების შემთხვევაში დეფინიციამ მკვეთრად უნდა განასხვავოს ეს ცნება საპირისპირო მნიშვნელობისგან. მკვეთრი ხაზების გავლებაში კი საპრობლემო ის არის, რომ სადაც არ უნდა გავავლოთ ხაზები, მათი მდებარეობისადმი წინააღმდეგობა მაინც დარჩება (ო'კიფი 2002).

მართლაც, როდესაც საქმე ეხება ასეთ ინტერდისციპლინურ ცნებას, შესაძლოა, ჩვენეული განმარტება აღმოჩნდეს ძალიან ფართო, ან პირიქით - მეტისმეტად კონკრეტული. როგორც ავტორი აღნიშნავს, კონცეპტთა უმრავლესობას აქვს „ბუნდოვანი ნაპირები“ (Fuzzy edges) – „Grey areas in which application of the concept is arguable“ (ნაწილი, სადაც კონცეფტის შინაარსი დავის საგანია) (ო'კიფი 2002). და სულ ერთია, როგორ გავავლებთ ზემოაღნიშნულ ხაზს, კონცეპტის დეფინიციის დროს ყოველთვის წავაწყდებით წინააღმდეგობას - რაღაც ყოველთვის დარჩება მიუღებელი. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალია კონცეპტის პარადიგმულ ნიმუშებზე (**Paradigm cases**) ყურადღების გამახვილება. დარწმუნებას ავტორი სწორედ პარადიგმული ნიმუშებისა და ზოგადი მახასიათებლების ჭრილში განიხილავს. დანიელ ო'კიფი მიიჩნევს, რომ დარწმუნების პარადიგმა შემდეგ ელემენტებს შეიცავს:

- 1) წარმატებული მცდელობა (დავარწმუნეთ, მაშასადამე წარმატებულად გავართვით თავი დასახულ ამოცანას);
- 2) ამოცანა (ის, რისი მიღწევაც გვსურს);
- 3) სურვილი;
- 4) თავისუფლება, ადამიანთა თავისუფალი ნება;
- 5) კომუნიკაცია, კომუნიკაციის შედეგად მიღწეული მიზანი;
- 6) ცვლილება (იმ ადამიანის გონებაში, ვისი დარწმუნებაც გვაქვს განზრახული);

დარწმუნება გამოირჩევა თავისი დემოკრატიული მემკვიდრეობითა და ხასიათით. ავტორის მიერ წარმოდგენილ პარადიგმაში „თავისუფლება“ სწორედ მის დემოკრატიულ ხასიათს უკავშირდება. ეს კომპონენტი მრავალ სხვა ავტორთან გვხვდება, როგორც დარწმუნების უმთავრესი მახასიათებელი (როგორც წესი, სხვა შემთხვევებში იგი რიგითობის მიხედვით მეოთხე ადგილს არ იკავებს), რომელიც ადამიანს ანიჭებს გადაწყვეტილების თავისუფლებას:

„When the persuadee's freedom is minimized or questionable, it becomes

correspondingly questionable whether persuasion is genuinely involved. One no longer has straightforward exemplary case of persuasion ”(O’Keefe, 2002).

(როდესაც ადამიანის თავისუფლება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, სათუთა დარწმუნების მონაწილეობაც. ასეთ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, რომ კომუნიკაციაში დარწმუნებას აქვს ადგილი (ო’კიფი 2002).

დარწმუნების დეფინიციას ავტორი სწორედ ზემოაღნიშნული პარადიგმის წარდგენის შემდგომ აყალიბებს - „A successful intentional effort at influencing another’s mental state through communication in the circumstance in which the persuadee has some measure of freedom”(O’Keefe, 2002).

(სხვა ადამიანის გოებრივ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენის წარმატებული მცდელობა კომუნიკაციის მეშვეობით, ისეთ გარემოებაში, სადაც ინფორმაციის მიმღების თავისუფლება არ იზღუდება (ო’კიფი 2002).

ჩემი აზრით, დარწმუნებას სწორედ **ნებაყოფლობითი ხასიათი** ანიჭებს მნიშვნელოვან როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში. ადამიანის თავისუფალი ნების დაცვა ჯერარდ მილერის (მილერი 2012) მიხედვით, დარწმუნების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. დარწმუნება მისთვისაც ემიჯნება იძულებას (ინგლისურენოვან ლიტერატურაში ამ კონტექსტში ხშირად გვხვდება სიტყვა **coercion**), თუმცა, რიგ შემთხვევებში შეიძლება შეიცავდეს ირიბ იძულებას, არაპირდაპირ მუქარას (Miller, 2012).

დარწმუნებასა და იძულებასთან დაკავშირებით ავტორებს სხვადასხვა შეხედულება აქვთ. ჯერარდ მილერის მიხედვით, შესაძლებელია, რომ გარკვეული ფორმით დარწმუნება შეიცავდეს იძულებას. ჰერბერტ საიმონსი (Simons, Morreale, & Gronbeck, 2001) კი კატეგორიულად გამორიცხავს იძულების თუნდაც ირიბ მონაწილეობას დარწმუნების პროცესში. სურს რა შეცვალოს ადამიანთა აზროვნება, მოქმედება, გრძნობა, იგი გავლენის მოხდენის მცდელობის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ მას თან აუცილებლად უნდა ახლდეს ნებაყოფლობა.

2.2 მუქი ფერები დარწმუნებაში

თანამედროვე პირობებში დამარწმუნებელი კომუნიკაცია ბუნდოვანი გახდა და ხშირად შეიცავს ხარვეზებს. ჰერბერტ საიმონსი ასეთ ხარვეზებს უწოდებს

დარწმუნების ნაცრისფერ მხარეებს - “The gray areas of persuasion are cases in which intent to persuade is not so clear” (საიმონსი 2001) (დარწმუნების ნაცრისფერი მხარეები, როდესაც დარწმუნება არ არის ცხადად გამოხატული). ადამიანები ყოველთვის არ ამუღავენებენ თავიანთი მხრიდან მსმენელის / შეტყობინების მიმღების დარწმუნების სურვილს:

„Human communication is often multimotivated. It takes place through multiple channels. It is seldom fully explicit. Even then, intended meanings and received meanings can be different (საიმონსი 2001).

(ადამიანთა კომუნიკაცია ხშირად არის მრავალმხრივ მოტივირებული და ვრცელდება სხვადასხვა არხის მეშვეობით. იგი იშვიათად არის ბოლომდე გამომხატველობითი. მნიშვნელობა, რომელსაც ინფორმაციის გამცემი გულისხმობს და აღქმული მნიშვნელობა შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს).

ბიზნესისა თუ პოლიტიკის წარმომადგენლები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, რათა შეტყობინების მიმღები თავიანთ შეხედულებას, მოსაზრებას აზიარონ და საკუთარი გავლენა გააძლიერონ. რიჩარდ პერლოფი თავის წიგნში მეტად საინტერესო მაგალითს წარმოგვიდგენს. როგორც თავად განმარტავს, ეს არის მედიაში გამოყენებული ხარვეზიანი დარწმუნების მაგალითი. რამდენიმე წლის წინ აშშ-ის მთავრობის ინტერესის გათვალისწინებით მომზადდა 90 წამიანი სატელევიზიო პროდუქტის სერია, რომელიც ჰგავდა ახალ ამბებს, გადაიცემოდა ადგილობრივი სატელევიზიო არხებით აშშ-ს უდიდეს ქალაქებში. ხელოვნურად შექმნილი „ახალი ამბები“ ემსახურებოდა მოსახლეობის შემზადებას და მთავრობის მიერ გატარებული წარმატებული ღონისძიებების „გაშუქების“ გზით საზოგადოებაში გარკვეული დამოკიდებულების შექმნას. როგორც ჩანს, დარწმუნების ასეთი ხერხი მოქმედი PR კონსულტანტის ქნი კარენ რაიენის ჩვეული პრაქტიკაა (თუმცა იგი ჟურნალისტის სახით მოვევლინა ამერიკის საზოგადოებას). თუ გავეცნობით მისი კომპანიის ვებ-გვერდს, ვნახავთ, რომ Karen Ryan Group მომხმარებელს სთავაზობს თავიანთი იდეების წარდგენას „to help clients present their ideas in compelling ways“ (ისე, რომ მომხმარებლებს დაეხმაროს თავიანთი იდეების სასურველი ფორმით გაუღერებაში) კომპანიის გუნდს დიდი გამოცდილება აქვს სატელევიზიო, რადიო, ბეჭდური მედიის სფეროში, რისი დამსახურებითაც კომპანია

მომხმარებელს ეფექტიან მომსახურებას სთავაზობს www.karenryangroup.com (გებ-გვერდი უკანასკნელად გადამოწმდა 2017 წლის 8 აგვისტოს). ეს გახლავთ ერთ-ერთი მაგალითი კარგად შენიღბული (არც თუ ისე სამართლიანი) დარწმუნებისა - საზოგადოებაში გარკვეული დამოკიდებულების შექმნის მცდელობისა (პერლოფი 2003).

როდესაც ვსაუბრობთ დარწმუნების თავისუფალ არჩევანზე, ნებაყოფლობითობაზე და იძულებისაგან მკვეთრ გამიჯვნაზე, ზემოაღნიშნული მაგალითები ჩაგვაფიქრებს და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ რაოდენ რთულია, გაავლო ზღვარი დარწმუნებასა და იძულებას შორის.

2.3 არგუმენტი

ცნობილია, რომ არსებობს მრავალი სხვადასხვა სახის არგუმენტი, რომელსაც აქვს განსხვავებული სტრუქტურა და მიზანი, ეს შეიძლება იყოს მსმენელის დარწმუნება, დავის გადაწყვეტა, მოლაპარაკება და ა.შ. რიტორიკის ენციკლოპედია არგუმენტაციას განმარტავს, როგორც ადამიანთა მსჯელობას გაამართლონ თავიანთი რწმენა, ღირებულებები და გავლენა მოახდინონ სხვათა აზროვნებასა და ქმედებაზე (რიტორიკის ენციკლოპედია, Oxford University Press 2001:33). მნიშვნელოვანია, რომ რიტორიკის ენციკლოპედია არგუმენტაციას გარკვეული სახის **დისკურსად** განიხილავს. არგუმენტაციული დისკურსი სხვა სახის დისკურსისაგან თავისი მთავარი მახასიათებლით გამოირჩევა: მასში წარმოდგენილია მტკიცება და მტკიცების გამამყარებელი მსჯელობა -

„Argumentative discourse is distinguished from narration, description, and exposition by the fact that it makes claims on the audience and seeks to justify them. (რიტორიკის ენციკლოპედია, Oxford University Press 2001:34).

(არგუმენტაციული დისკურსი განსხვავდება ნარატივისაგან, აღწერისაგან, რადგან იგი აუდიტორიის წინაშე წარადგენს გარკვეულ მტკიცებას და განიხილავს მისი გამყარების გზებს).

ნორმან ფეარკლო და იზაბელა ფეარკლო წიგნში „პოლიტიკური დისკურსის ანალიზი წერენ: „An argument is a set of statements (explicit or implicit) one of which is **a conclusion** (a claim) while the others are **premises**. The conventional view is that

premises give reasons in support of the conclusion or attempt to justify the conclusion and the conclusion purportedly follows from the premises” (ფეარკლო ი., ფეარკლო ნ., 2012:36)

(არგუმენტი არის მტკიცება (ექსპლიციტური ან იმპლიციტური), რომელსაც აქვს დასკვნა და წინამძღვრებები ამ დასკვნის გასამყარებლად. აღნიშნული წინამძღვრებები წარმოადგენენ მცდელობას, გაამყარონ ძირითადი დასკვნა/ მოწოდება).

არგუმენტაცია ასევე აღიქმება, როგორც სოციალური და რაციონალური აქტივობა - ეცადო გარკვეული მტკიცების გამართლება და მიზნად დაისახო დარწმუნება. იგი არის „**complex speech act**” (კომპლექსური სამეტყველო აქტი), რომლის დროსაც მსჯელობა ვითარდება ინფორმაციის მიმღების შეხედულებისა თუ რწმენის შეცვლის მიზნით.

ავტორები ჯოზეფ უილიამსი და გრეგორი ქოლომი არგუმენტს კრიტიკულ აზროვნებას უკავშირებენ. სიტყვა ‘კრიტიკა’ ბერძნული წარმომავლობისაა და ნიშნავს ადამიანს, რომელსაც მსჯელობა შეუძლია. ავტორების მიხედვით, მსჯელობის მთავარი ინსტრუმენტია **სწორი შეკითხვების დასმა**. კრიტიკული მსჯელობა შეხედულებების გამოცდას, მათ გადახალისებას უკავშირდება: When you use argument to think critically, you test old ideas and develop new ones (Joseph M. Williams, Gregory G. Colomb:2007:7)

(როდესაც არგუმენტს იყენებ კრიტიკული აზროვნებისათვის, ცდი ძველ იდეებს ახალი იდეების განვითარების მიზნით (უილიამსი ჯ. ქოლომი გ. 2007:7).

აღინიშნა, რომ არგუმენტაციული მსჯელობის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი სხვა სახის კომუნიკაციისაგან არის მისი შემადგენლობა: **აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს გარკვეული მტკიცება და წინამძღვრება**. ავტორების - ირვინგ კოპის და ქეით ბურგეს-ჯექსონის (Irving M. Copi, Keith Burgess–Jackson, 1992) მიხედვით, არგუმენტი არ არის უბრალოდ წინადადებათა ნაკრები, მას აქვს დამახასიათებელი სტრუქტურა, აუცილებლად შეიცავს დასკვნასა და დასკვნის გასამყარებელ წინადადებაებს. ყველაზე მარტივი შემადგენლობის არგუმენტი დასკვნის მხოლოდ ერთ გასამყარებელ მოცემულობას შეიცავს. ავტორები ასევე განმარტავენ, რომ წინამძღვრებებისა და მტკიცების მიმდევრობას არგუმენტში განმსაზღვრელი მნიშვნელობა არ აქვს. დასკვნა, მტკიცება შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს აგუმენტის დასაწყისში,

დასკვნით ნაწილში, ან სულაც – აბზაცში იყოს გაბნეული. გარდა აუცილებელი შემადგენელი ნაწილებისა: დასკვნისა და წინამძღვრებებისა, არგუმენტს ხშირ შემთხვევაში ახლავს ტექსტი, რომელიც დამატებით ინფორმაციას გვაწვდის გარემოებათა, მიზანთა თუ სხვათა შესახებ:

„A passage containing an argument also may contain prepositions that are neither premises nor conclusion of that argument, but presents information that helps the reader or hearer understand what the premises and conclusion are about (Irving M. Copi, Keith Burgess–Jackson, 1992:13)“.

(არგუმენტის შემცველი აბზაცი შესაძლოა ასევე შეიცავდეს ერთეულებს, რომელიც არც მტკიცებაა და არც მისი გამამყარებელი ნაწილი, არამედ ინფორმაციის მიმღებს დამატებით ინფორმაციას აწვდის დასკვნისა და წინამძღვრებების შესახებ (კოპი ი., ბურგეს-ჯექსონი ქ., 1992:13).

მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტში დასკვნის არსებობა სრულიად აუცილებელია, შესაძლოა, დასკვნა არ იყოს დიად, ექსპლიციტურად გაუღერებული. ასეთ შემთხვევაში სახეზეა ლინგვისტურად გამოუხატავი დასკვნა (**Unstated conclusion**) (კოპი ი., ბურგეს-ჯექსონი ქ., 1992:11). ავტორების მიხედვით, იმპლიციტური დასკვნა კონტექსტის მეშვეობით უნდა გავაანალიზოთ.

2.4 არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში

ცნობილია, რომ პოლიტიკოსები გამუდმებით ცდილობენ მსმენელის / ინფორმაციის მიმღების დარწმუნებას თავიანთი ხედვის, უკვე გადადგმული თუ მომავალში დაგეგმილი ნაბიჯების სისწორეში. პოლიტიკაში ხდება გადაწყვეტილებების მიღება და გადაწყვეტილება ეფუძნება მსჯელობას. პოლიტიკური დისკურსის მკვლევრები ნორმან და იზაბელა ფეაკლოები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური დისკურსი სწორედ ამით განსხვავდება სხვა სახის დისკურსისაგან: მასში ასახულია წინასწარგაანალიზებული, განზრახული, ნაფიქრი კომუნიკაცია:

“Because politics is concerned with decision-making, **political discourse is inherently deliberative**...deliberation involves weighting reasons in favour of one or several proposals and reasons against” (Isabela Fairclough & Fairclough, 2012).

(ვინაიდან პოლიტიკა უკავშირდება გადაწყვეტილებების მიღებას, პოლიტიკური დისკურსი არის სათათბირო ხასიათის. მსჯელობა მოიცავს გარკვეული წინადადების მხარდამჭერ ან მის საპირისპირო არგუმენტაციას) (ფეარკლო ი., ფეარკლო ნ., 2012:36).

პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღება ხდება გარკვეული გარემოების, სიტუაციის საპასუხოდ. მაგალითისთვის, ზემოაღნიშნული ავტორები თავიანთ წიგნში განიხილავენ იმ პოლიტიკურ არგუმენტებს, რომელიც ბრიტანეთში გაუღერდა არსებული ფინანსური კრიზისის საპასუხოდ “Argument on what has to be done in response to crisis”. პოლიტიკური დისკურსი შეიცავს **პრაქტიკულ არგუმენტაციას**. ზოგადად, თეორიული მსჯელობისაგან განსხვავებით, პრაქტიკული მსჯელობა მიმართულია მომავალში განსახორციელებელი ნაბიჯებისკენ: რა უნდა გაკეთდეს, რა ღონისძიება უნდა გატარდეს. მეორეს მხრივ, თეორიული მსჯელობა ემსახურება იმის დადგენას, თუ რა არის სიმართლე (არ განიხილავს სამომავლოდ რაიმე ნაბიჯების გადადგმას). აქვე, ავტორები განმარტავენ, რომ პრაქტიკული არგუმენტაცია არ არის პოლიტიკური დისკურსის ერთადერთი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ის ნამდვილად არის აღნიშნული დისკურსის ცენტრალური ნაწილი. ვნახოთ, თუ როგორია ავტორების მიერ შემოთავაზებული პრაქტიკული მსჯელობის სტრუქტურა (საინტერესოა, რომ პრაქტიკულ არგუმენტში მიზანი და არსებული მდგომარეობა წარმოდგენილია, როგორც წინამდებარეობა). პრაქტიკული არგუმენტის შემადგენელი ნაწილებია:

- 1) **არსებული გარემოება** - წინამდებარეობის ჩამოყალიბებისას გარემოებას, არსებულ სიტუაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ის, ვინც არგუმენტს წარადგენს, არსებულ მდგომარეობას წარმოაჩენს როგორც წინამდებარეობას, როგორც მიზეზს, რომელსაც მიუყვებათ მიზნამდე (არსებული გარემოების გათვალისწინებით ყალიბდება მიზანი). გარკვეული ნაბიჯები გადაიდგმება არა მხოლოდ მიზანთა, არამედ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. მსჯელობა ემსახურება არსებული მდგომარეობის შეცვლას მიზნის მისაღწევად.
- 2) **მიზანი** (საითაც მივდივართ, მდგომარეობა, რომელშიც სამომავლოდ გვინდა აღმოვჩნდეთ).

3) **Means-Goals** – მიზან-შედეგობრივი კავშირი (ვარაუდი იმის შესახებ, თუ რა მოხდება როდესაც სუბიექტი კონკრეტულ ღონისძიებას გაატარებს, რა შეიძლება მოჰყვეს გადაღებულ ნაბიჯებს).

4) **ღირებულება** – ასევე განიხილება წინამძღვრების ჭრილში. ღირებულება ამყარებს წინამძღვრებასაც და არგუმენტში წარმოდგენილ ძირითად მოწოდებასაც.

5) **მტკიცება** – მოწოდება გარკვეული მოქმედებისაკენ მომავალში გადასადგმელი ნაბიჯი;

პრაქტიკული არგუმენტი მსჯელობის ერთ-ერთი სქემაა. ყველა სხვა სქემას თავისი შემადგენელი ნაწილები და შეკითხვები აქვს. პრაქტიკული არგუმენტის შემთხვევაში, ავტორები - იზაბელა და ნორმან ფეარკლო გვთავაზობენ, რომ წინამძღვრებები, მიზანი, მიზნის განხორციელების გზები განხილვის საგნად ვაქციოთ, დავსვათ შეკითხვები - იქნებ, გარდა მსჯელობის დროს შემოთავაზებული ნაბიჯებისა, არსებობს ალტერნატიული გზა, რომელსაც ასევე მივყავდით მიზნამდე; (ფეარკლო ი., ფეარკლო ნ. , 2012). წინამძღვრებაში წარმოდგენილი მოქმედება ნამდვილად დაგვეხმარება მიზნის მიღწევაში? დასახული მიზანი ნამდვილად უპირველესია? იქნებ სხვა მიზნებს მეტი უპირატესობა უნდა მივანიჭოთ. კვლევას ავტორები დისკურსის კრიტიკული ანალიზის (CDA) მეთოდით ახორციელებენ. ცნობილია, რომ დისკურსის კრიტიკული ანალიზი სხვა სახის სოციალური ანალიზისაგან განსხვავდება თავისი დიდი ყურადღებით ტექსტის ანალიზის მიმართ (ფეარკლო 1992; ვან დაიკი 2001). დისკურსის კრიტიკული ანალიზის მკვლევარი შეისწავლის ტექსტს (ტექსტში იგულისხმება როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი მასალა, ჩანაწერი ინტერვიუებიდან, გადაცემების სკრიპტები და ა.შ). CDA-ს ის ვერსია, რომელსაც ავტორები იყენებენ, შეისწავლის ურთიერთობას ენასა და სოციალურ ცხოვრების სხვა ასპექტებს შორის, სხვა ასპექტში იგულისხმება, მაგალითისთვის, ძალაუფლება, იდეოლოგია, იდენტობა, სოციალური ცვლილებები და სხვა.

გარდა ამისა, დისკურსის კრიტიკული ანალიზის მკვლევრები პოლიტიკური დისკურსს განსაკუთრებული დაკვირვებით და ინტერესით შეისწავლიან (ჩილტონი 2004; ფეარკლო 1995). ზოგადად, CDA-ს ფარგლებში ტერმინი კრიტიკული გულისხმობს ორ რამეს: კრიტიკა შესაძლოა იყოს

ნორმატიული და განმარტებითი. ნორმატიული კრიტიკა ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებაში არსებულ უარყოფით მოვლენებზე, უარყოფით მდგომარეობაზე. განმარტებითი კრიტიკა კი განმარტავს, თუ რატომ და როგორ მივიდა საზოგადოება ამ უარყოფით გარემოებაზე, როგორ წარმოიქმნა პრობლემები. განმარტებითი კრიტიკა ასევე განიხილავს, თუ როგორ ხდება რომელიმე დისკურსი დომინანტი, რა წვლილი შეაქვს მას საზოგადოებრივ ცვლილებაში (ფეარკლო ი., ფეარკლო ნ., 2012; ვოდაკი რ., კენდალი გ., 2007).

არგუმენტის შეფასების შესახებ ვეთანხმებით ავტორის, ენტონი ბლერის მოსაზრებას: ყველა არგუმენტს აქვს ლოგიკური, დიალექტიკური და რიტორიკული მხარე და მათი შეფასება შეიძლება სწორედ ლოგიკის, დიალექტიკის ან რიტორიკის მიხედვით. ბლერის მიხედვით, არგუმენტაციის ლოგიკური, დიალექტიკური და რიტორიკული მხარეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. შესაძლოა, არგუმენტი ერთ-ერთი მათგანის მიხედვით იყოს ძალიან კარგი, მაგრამ სხვა მხრივ იყოს სუსტი და არადაამაკმაყოფილებელი (ბლერი 2012).

2.5 ხარვეზები მსჯელობაში – (ე.წ. **Fallacious arguments**)

ხშირად ვეცნობით მტკიცებას, ზოგ შემთხვევაში მეტად დამაჯერებელს, სადაც, თუ კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ძირითადი დასკვნა არის სუსტი, მას არ ახლავს წინამძღვრება, საკამათოა წინადადებების ლოგიკური ბმა. ასეთ განცხადებებს ავტორები არგუმენტის ხარვეზს უკავშირებენ (ცდომილებიანი არგუმენტი). ქრისტოფერ ტინდეილი მათ ახასიათებს, როგორც არგუმენტაციის კარგი სტრატეგიების მცდარ ვერსიებს **„Incorrect versions of good argument strategies”** (ტინდეილი 2013). ავტორს მიაჩნია, რომ არგუმენტის ასეთი არასწორი ვერსია მსმენელს „ასულელეებს”.

არგუმენტის წარმოჩენის ასეთივე ხარვეზიანი ფორმაა **Ad hominem** - ოპონენტზე თავდასხმა, ოპონენტის პიროვნულ თვისებებზე მინიშნება, მისი უარყოფითი მხარეების წარმოჩენა, დისკრედიტაცია მაშინ, როდესაც ეს პიროვნული თვისებები არ უკავშირდება მსჯელობის საგანს. **Ad-**ტიპის ხარვეზს ხარვეზიანი არგუმენტების ცალკე კატეგორიად წარმოადგენს ფილოსოფოსი ჯონ ლოკი:

- Argumentum ad baculum - მუქარის, ძალდატანების გამოყენება;
- Argumentum ad misericordiam (appeal to pity) ემოციაზე დაფუძნებული არგუმენტი).

მსმენელზე ზემოქმედების კიდევ ერთი ხერხია **დილემა** - როდესაც მომხსენებელი გვთავაზობს არჩევანს ორ უარყოფით შედეგს შორის.

Argument Ad Ignorantiam (the argument from ignorance) მსჯელობა ნამდვილია, რადგან მისი საწინააღდეგოს დამტკიცება შეუძლებელია.

Ad Verecundiam (Argument from authority) მსჯელობის დროს ავტორიტეტის შეხედულების მოშველიება. ასეთი არგუმენტის მოსმენის დროს ქრისტოფერ ტინდეილი გვთავაზობს, დავსვათ შემდეგი შეკითხვები:

- 1) დასახელებული პიროვნება ან წყარო, ნამდვილად ავტორიტეტულია?
- 2) ავტორიტეტულმა პირმა ნამდვილად გააკეთა ეს განცხადება?
- 3) ავტორიტეტული პირი და მისი განცხადება მოცემულ საგანს, განსახილველ საკითხს შეესაბამება?

დუგლას უოლტერი საუბრობს არგუმენტაციის დროს სტატისტიკური ინფორმაციის მოშველიებაზე. სტატისტიკის არაზუსტ (ან არაკონტექსტუალურ) გამოყენებას იგი არგუმენტაციული მსჯელობის ხარვეზად მიიჩნევს (ფოგლინი 2019; უოლტონი 1992).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის მიმღებს შეეძლოს მცდარი და ნამდვილი არგუმენტის ერთმანეთისაგან განსხვავება. კრიტიკული აზროვნება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ასეთ შემთხვევაში სიყალბის თავიდან ასარიდებლად, „კრიტიკული აზროვნება შეგიძლიათ მიიჩნიოთ არგუმენტისა და მსჯელობის შემფასებელ მექანიზმად, რომელიც განსაზღვრავს რამდენად გამართლებულია დასკვნა და მოწოდება (ბადენი 2007).

ქრისტოფერ ტინდეილი აღნიშნავს, რომ არგუმენტის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კომუნიკაციის კონტექსტიც: უნდა დავაკვირდეთ, თუ რა გარემოების გამო ხდება მსჯელობა შეუსაბამო, საჭიროა დავუსვათ **კრიტიკული** სახის შეკითხვები არგუმენტის იმ ნაწილს, სადაც ხარვეზი

გვეგულება. მაგალითისთვის, ერთ-ერთი გარემოება, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწეოს არგუმენტში ხარვეზების შექმნას, არის მსმენელისთვის სენსიტიური თემაზე საუბარი (ტინდეილი, 2013). შეცდომაში შემყვანი მსჯელობის თავიდან არიდება, ავტორის აზრით, განათლებასა და გამოცდილებასთანაა მჭიდრო კავშირში. არგუმენტის გააუღრების დროს სიტყვის ემოციური შეფერილობა გარკვეული დოზით, ბუნებრივია, მისაღებია. ზოგ შემთხვევაში აუცილებელიც კი არის, რომ მომხსენებელმა მსმენელში გარკვეული ემოციები აღძრას. თუმცა, მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა. მაგალითისთვის, ტინდეილს მოჰყავს სტუდენტის მიერ ლექტორისადმი მიწერილი ელფოსტა – სტუდენტი უმორჩილესად სთხოვს ლექტორს შეფასების ქულის გაზრდას. სტუდენტის არგუმენტია, რომ შეფასების მომატება მას დაეხმარება სტიპენდიის მიღებაში. ავტორი გვთავაზობს, რომ ემოციურად დატვირთული კომუნიკაციის შემთხვევაში, დავსვათ შემდეგი სახის შეკითხვები:

- 1) მომხსენებელი მწუხარების და თანაგრძნობის გამოწვევას იმისთვის იყენებს, რომ სიმართლე წარმოაჩინოს თუ ამით გვიბიძგებს რაიმე სახის (თავისთვის სასურველი) ქმედებისკენ?
- 2) მოცემულ კონტექსტში ემოციის გამოწვევა რელევანტურია?
- 3) მწუხარების წინამძღვრება დასკვნის რელევანტურია (ტინდეილი 2013)?

2.6 დარწმუნება არგუმენტის ჩამოყალიბების გზით

ჩემი აზრით, დარწმუნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არის სწორად ჩამოყალიბებული არგუმენტი. შესაბამისად, წინამდებარე კვლევა ც პოლიტიკურ დისკურსში სწორედ არგუმენტის გამოყენებას შეეხება. ჩვეულებრივ, არგუმენტის წარდგენა ნიშნავს, რომ გააუღერო დასკვნა (მტკიცება, აზრი, რომლის დაცვა და დამკვიდრება გვსურს) და მას აუცილებლად დაურთო წინამძღვრება, მსჯელობა დასკვნის გასამყარებლად (ფეარკლო 1992; უოლტონი 2016; უესტონი 2000) . „არგუმენტაცია გულისხმობს კომუნიკაციის იმ ფორმას, როდესაც მინიმუმ ერთი ადამიანი ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად წარადგენს მტკიცებას და ასევე განავითარებს მის გასამყარებელ მსჯელობას” (ფერლაიდენი 2005:5).

არგუმენტის შედგენისა და გაანალიზების შესახებ წერს ენტონი ვესტონი ნაშრომში - *A rulebook for Arguments* (უესტონი, 2000). ავტორის განმარტავს, რომ არგუმენტის ჩამოყალიბების დროს მნიშვნელობა აქვს წინადადებათა წყობას - მტკიცებას უნდა მოჰყვეს გამამყარებელი წინამძღვრება (Premises) ან პირიქით. მნიშვნელოვანია, რომ არგუმენტი იყოს თანმიმდევრული და განვითარდეს მწყობრად (**'unfold smoothly'**). ავტორის მიხედვით, არგუმენტი შეიძლება იყოს მოკლე, მაგრამ ძალიან სხარტი: მაგალთისთვის, ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკოსის უინსტონ ჩერჩილის არანაკლებ ცნობილი ციტატა (მოკლე არგუმენტის მშვენიერი ნიმუში): *I am an optimist. It doesn't seem to be much use being anything else* (ოპტიმისტი ვარ, რადგან სხვანაირად ყოფნა არაფერი ხეირია). ძირითადი მტკიცება, „*I am an optimist*” მყარდება იმის ახსნით, თუ რატომ აირჩია პოლიტიკოსმა, იყოს ოპტიმისტი: „*It doesn't seem to be much use being anything else*”. მოკლე არგუმენტს, რომელშიც დაცულია თანმიმდევრობა და სათქმელი არის ცხადი, ავტორი **Cristal Clear Argument**-ს უწოდებს.

არგუმენტს ხშირად ახლავს **ლინგვისტური მარკერები**, როგორცაა: ამიტომ, აქედან გამომდინარე, მაშასადამე – ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ცხადად მიგვანიშნებს, რომ სუბიექტი ავითარებს არგუმენტაციულ მსჯელობას. ენნ ტომსონი (ტომსონი 2002) ასეთ ლინგვისტურ ერთეულებს ინდიკატორებს უწოდებს „*Argument indicator words*“. არგუმენტის ამოსაცნობად საჭიროა, დავაკვირდეთ წინამძღვრებს (მიზეზებს) შორის კავშირს და იმას, თუ რამდენად მიყვავართ მათ დასკვნამდე. ენნ ტომსონი (ტომსონი 2002) არგუმენტში უმთავრეს პირობად დასკვნის წარმოდგენას მიიჩნევს. თუ გავეცნობით რომელიმე აბზაცს ან მოვისმენთ სიტყვას, და ვერ აღმოვაჩინებთ მასში ძირითად დასკვნას, მაშინ ეს აბზაცი არგუმენტაციას არ შეიცავს. ავტორის მიხედვით, დასკვნა შესაძლოა ამტკიცებდეს: კონკრეტულ ფაქტს (მაგალითად, ალკოჰოლის მიღების შემდეგ ავტომანქანის მართვა სახიფათოა) ან გამოსატავდეს რეკომენდაციას (მაგალითად, ალკოჰოლის მიღების შემდეგ ავტომობილი არ უნდა მართოთ); მსჯელობის შეფასებისას მსმენელმა / შეტყობინების მიმღებმა აუცილებლად უნდა გაანალიზოს: შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი წინამძღვრებები სიმართლეს, გამომდინარეობს თუ არა დასკვნა წარმოდგენილი წინამძღვრებებიდან. მართალია, შეტყობინების მიმღებს ყველა მიმართულებით ინფორმაციის სისწორის შემოწმება გაუჭირდება, თუმცა, ჩვენ ყველანი

ვიზიარებთ ცოდნას. გვაქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ არის მეტად გათვითცნობიერებული ამა თუ იმ სფეროში და მივმართავთ შესაბამის წყაროს.

2.7 კვლევის მეთოდი - დისკურსის კრიტიკული ანალიზი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში გამოიხილა კვლევის მეთოდი, რომელიც გამოირჩევა დისციპლინათა სიმრავლით და განსაკუთრებულად კრიტიკული ხედვით. მან სწრაფად მიაღწია აკადემიურ წარმატებას და ბიძგი მისცა ენის კრიტიკულ ანალიზს. გარკვეული ეტაპების გავლის შემდგომ, მისი სახელწოდება ჩამოყალიბდა ამგვარად: კრიტიკული დისკურსის ანალიზი (CDA). კვლევის ამ მეთოდის განვითარება უკავშირდება ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან ნორმან ფეარკლო, რუთ ვოდაკი, ვან დაიკი (N. Fairclough, 1995; N. Fairclough, Mulderrig, & Wodak, 2011; T. a. van Dijk, 1994; Teun A Van Dijk, 2001). კრიტიკული დისკურსის ანალიზის განმარტებასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნულ მკვლევრებს მეტ-ნაკლებად შეჯერებული პოზიცია აქვთ. ნორმან ფეარკლოს მიხედვით, ეს არის კვლევის მეთოდი, რომელიც ეხმარება საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს და მათი გამოსწორების შესაძლო გზებს. CDA მკვლევარს საშუალებას აძლევს, რომ შეეწინააღმდეგოს უთანასწორო სოციალურ ურთიერთობებს, გადაჭარბებულ ძალაუფლებას, უსამართლობას და თავისი აკადემიური ანალიზის მეშვეობით გამოხატოს მისთვის ყველაზე პრობლემატური საკითხის მიმართ მწვავე კრიტიკა (ფეარკლო, 1989, 1992a, 1992b, 2001). ვან დაიკი განმარტავს, რომ CDA დისკურსის ანალიტიკური კვლევის ის სახეობაა, რომელიც შეისწავლის, თუ როგორ ამოქმედებს ან ეწინააღმდეგება ტექსტი და მეტყველება სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში სოციალური ძალაუფლების გადაჭარბებას, მბრძანებლობას და უთანასწორობას. ამგვარი დისიდენტური ანალიზით, კრიტიკული დისკურსის ანალიზის მკვლევარს აქვს ღია პოზიცია და სურს შეიცნოს, გამოამჟღავნოს და ბოლოს, შეეწინააღმდეგოს სოციალურ უთანასწორობას (ვან დაიკი, 1995; 1994).

როგორც ვხედავთ, CDA-ს მეთოდის გამოყენება ერთგვარად სოციალურ აქტივობას უკავშირდება. ზემოთ მოყვანილი ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში არსებული უარყოფითი მხარეების მხილებით მკვლევარს

თავისი დადებითი წვლილი შეაქვს მდგომარეობის გაუმჯობესებაში. CDA-ის მკვლევარისთვის უმთავრესია იცოდეს საზოგადოებაში საკუთრი როლის შესახებ. საკითხი უფრო მწვავედაც კი არის დაყენებული - როდესაც კვლევა კრიტიკულად არ ანალიზებს იმ უსამართლო მხარეებს, რაც საზოგადოების კეთილდღეობას მნიშვნელოვნად აფერხებს, მაშინ „მკვლევარი დომინანტი ჯგუფების მიმართ სოლიდარობას გამოხატავს და მასთან თანამშრომლობს“ (ვან დაიკი, 1993).

საინტერესოა, რომ 1992 წელს ნორმან ფეარკლო თავის წიგნში „დისკურსი და სოციალური ცვლილება“ აღნიშნავს, რომ „სხვადასხვა დისციპლინა აღიარებს ენაში მიმდინარე ცვლილების კავშირს ფართო სოციალური და კულტურული სახის ცვლილებებთან, შედარებით მაღალ შეფასებას აძლევს სოციალური ცვლილების შესწავლის დროს ენის ანალიზის გამოყენებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არსებობს ენის ანალიზის ისეთი მეთოდი, რომელიც თეორიულად ადეკვატურია და პრაქტიკულად გამოსადეგი.“ (N. Fairclough, 1992a) სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს ავტორი შესაბამისი მეთოდის განვითარებას და დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდება დისციპლინათა და მეთოდთა კომბინირება. აქვე საუბარია 1970-იანი წლებიდან The University of East Anglia-ში კრიტიკული ლინგვისტიკის განვითარების მცდელობაზე - კრიტიკული ლინგვისტიკა ერთმანეთს უკავშირებდა ტექსტის ლინგვისტურ ანალიზსა და ენის სოციალურ თეორიას პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პროცესებში ფუნქციონირების შესახებ. სხვადასხვა მიზეზთა გამო (იხილეთ თავი „კრიტიკული ლინგვისტიკა“), ავტორისთვის ეს მეთოდი მიუღებელი აღმოჩნდა. მან კრიტიკულ ლინგვისტიკასთან შედარებით უპირატესობა სემიოტიკურ სისტემებს მიანიჭა.

დროთა განმავლობაში ნორმან ფეარკლო იყენებს ტერმინს „ენის კრიტიკული შეცნობა (Critical Language Awareness – CLA), ენის კრიტიკული შესწავლა (Critical Language Studies – SLS). საბოლოოდ კი, 1995 წელს ყველა ეს ცნება ერთიანდება წიგნში სახელწოდებით: „დისკურსის კრიტიკული ანალიზი“ და სწორედ ამ დროიდან მკვიდრდება ტერმინიც.

„CDA იწყება დისკურსის შეცნობისგან, ენის შემეცნებისგან და ემატება სემიოტიკის სხვა ფორმები, სოციალური პრაქტიკის სხვა ელემენტები. მასში ერთიანდება კლასიკური რიტორიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა,

პრაგმატიკა და ის დისციპლინები, რომელსაც საკვლევი თემა დამატებით განსაზღვრავს. „დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდით ხდება ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა გენდერთან, რასიზმთან დაკავშირებული თემები, მედია დისკურსი, პოლიტიკური დისკურსი, ორგანიზაციის დისკურსი. კვლევის ამ მეთოდის განსაკუთრებულ ყურადღებას იბეჭობს ურთიერთობა ენასა და ძალაუფლებას შორის - თუ რა ლინგვისტური ფორმები გამოიყენება ძალაუფლების გამოხატვის დროს (ვაისი ჟ., ვოდაკი რ., 2003).

ვან დაიკი აღნიშნავს, რომ CDA მკვლევარისთვის შესწავლის ობიექტი არის ძალაუფლების მქონე ელიტა, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს, ინარჩუნებს, აკანონებს, პატიობს ან უგულვებელყოფს სოციალურ უთანასწორობას და უსამართლობას (ვან დაიკი, 2001).

ნორმან ფეარკლო განმარტავს, რომ CDA-ს აქვს სამი ძირითადი თვისება, იგი „არის ურთიერთობითი, დიალექტიკური და ტრანსდისციპლინარული (relational, dialectical, transdisciplinary)“ (ფეარკლო 1995). CDA-ს რელაციურ ხასიათს განსაზღვრავს ის, რომ მისთვის საინტერესოა სოციალური ურთიერთობები და არა ცალკეული პიროვნებები (თუ დაწესებულებები). მისი დიალექტიკური ხასიათი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მახასიათებელია - რაც განსაკუთრებით გამოარჩევს მას კვლევის სხვა მეთოდებისაგან. დიალექტიკურია იგი, რადგან „მასში ერთიანდება დისკურსის ანალიზი და დამატებით ურთიერთობის შესწავლა დისკურსსა და სხვა „საგნებს“ შორის“ (ფეარკლო 1995). ავტორს ზემოთქმულის მაგალითად მოჰყავს ურთიერთობა დისკურსსა და ძალაუფლებას შორის. დისკურსი და სხვა „საგნები“ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ერთმანეთის განმსაზღვრელია, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე მდგომი ცნებებია. ამიტომ დისკურსისა და ასეთი სხვა საგნების ურთიერთმიმართების შესწავლა თავისთავად სცდება მხოლოდ დისკურსის ფარგლებს.

CDA-ს მეთოდის გამოყენებისას საჭირო ხდება კვლევაში სხვადასხვა დისციპლინის ჩართვა. ნორმან ფეარკლო ამ პროცესს უწოდებს „დისციპლინათა დიალოგს“. მართლაც, CDA-ის ფაგლებში ლინგვისტიკა, სოციალური მეცნიერებები და სხვა დაკავშირებული დისციპლინები რიგრიგობით შემოდინა კვლევის პროცესში. მესამე მახასიათებელი, მისი ტრანსდისციპლინარულობა სწორედ ამას უკავშირდება. (აქვე განვმარტავ, რომ ტერმინს

‘ტრანსდისციპლინარული’ უპირატესობას ანიჭებს ნორმან ფეარკლო. სხვა ავტორებთან მესამე მახასიათებელი გვხვდება როგორც დისციპლინათაშორისი, მულტიდისციპლინარული). რაც შეეხება სიტყვას „კრიტიკული“ და რას გულისხმობს კრიტიკული ანალიზი. „CDA უპირველეს ყოვლისა, არის ტექსტების ანალიზი“ (ფეარკლო, 1995). კვლევის მასალად აღებულია ტექსტი, რომელიც საგულდაგულოდ არის შერჩეული ავტორის შეხედულებიდან გამომდინარე და იმისდა მიხედვით, თუ რას მიიჩნევს მკვლევარი პრობლემად. CDA კვლევის მასალაში ასახულია ის სოციალური პრობლემა, რომელიც ავტორს ყველაზე მწვავე საკითხად ევლინება და რომლის კრიტიკული ანალიზის შედეგად, ამ პრობლემას გამოააშკარავებს, უკეთეს შემთხვევაში დასახავს პრობლემის გამოსწორების გზებს. სწორედ ამ ნაწილში მოიაზრება ტერმინი ‘კრიტიკული’.

აღინიშნა, რომ CDA-ს მეთოდით მკვლევარი გამოყოფს პრობლემატურ საკითხს. მწვავე პრობლემა და მიუღებელი საკითხი კი შეიძლება მრავლად იყოს: შეეხებოდეს უთანასწორობას, უსამართლობას, არასწორი პოლიტიკის გატარებას და მის შედეგებს, ძალაუფლების გადაჭარბებას, თავისუფლების შეზღუდვას და ასე შემდეგ. თუმცა, მთავარია თუ როგორ ჩამოყალიბდება მკვლევრის მიერ შერჩეული სოციალური პრობლემატიკა კვლევის საგნად. მითუმეტეს, როგორც ხაზგასმით აღინიშნა, CDA-ს მეშვეობით ჩატარებული ანალიზი რამდენიმე დისციპლინას აერთიანებს. ასეთ შემთხვევაში ხომ უფრო გართულებულია საერთო ანალიტიკური ჩარჩოს და კვლევის კითხვების ჩამოყალიბება. ამიტომ, შერჩეული თემა /სოციალური მანკიერება/ ჰარმონიულად უნდა იშლებოდეს დისციპლინებს შორის და უნდა შეეძლოს სემიოტიკასა და „სხვა საგნებს“ შორის „დიალოგი“ (ფეარკლო 1995).

აღსანიშნავია, რომ CDA-ს მიმართ განსაკუთრებული ინტერესია გაერთიანებულ სამეფოში. ანალიტიკის ამ მეთოდს აქტიურად მიმართავენ სხვადასხვა დისციპლინაში. ასეთი მზარდი ინტერესი უკავშირდება თანამედროვე საზოგადოების სურვილს, რომ დაკვირვებული თვალთ შეხედონ მიმდინარე მოვლენებს და ამ მოვლენების დროს ენისა და ენობრივი საშუალებების გამოყენებას. CDA-ის მკვლევრების აზრით, კრიტიკული ხედვის აუცილებლობა საზოგადოებრივმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა განსაზღვრა - ცვლილებებმა, რომელმაც ერთის მხრივ, შესაძლებლობათა ფართო არეალი

წარუდგინა ადამიანთა გარკვეულ წრეს, ხოლო მეორეს მხრივ კი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დააყენა საზოგადოების დიდი ნაწილი. საინტერესოდ მიგვაჩნია, წარმოვადგინოთ ციტატა ნორმან ფეარკლოს ნაშრომიდან CDA-ის ფუნქციასთან დაკავშირებით:

„Critical language awareness in other words should not push learners into oppositional practices which condemn them to disadvantage and marginalisation; it should equip them with the capacities and understanding which are preconditions for meaningful choice and effective citizenship in the domain of language” (ფეარკლო 2013:56).

(„ენის კრიტიკულმა აღქმამ არ უნდა უბიძგოს შემსწავლელებს საწინააღმდეგო მოქმედებებისა და მარგინალიზაციისაკენ. მან უნდა აღჭურვოს შემსწავლელი იმ უნარით, რომელიც წარმოადგენს შინაარსიანი (აზრიანი, მნიშვნელობიანი) არჩევანისა და ეფექტიანი მოქალაქეობის წინაპირობას ენის სფეროში“ (Fairclough, 2013:56)).

II თავის დასკვნა

ნაშრომის მეორე თავში, შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, დარწმუნების განმსაზღვრელ მახასიათებლებად მივიჩნიე შემდეგი:

- ადამიანთა შეხედულების შეცვლა კომუნიკაციის გზით;
- ინფორმაციის მიმღების თავისუფალი ნების გათვალისწინება დარწმუნების პროცესში;
- მიუხედავად დარწმუნების იძულებისაგან მკვეთრი გამიჯვნისა, კომუნიკაციაში იძულება (Coercion) ხშირად არაპირდაპირი ფორმით გვხვდება. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტში აღმოჩენილი იყოს მუქარისა და დაპირების / სხვადასხვა სახის დაინტერესების მცდელობები.
- ტექსტში დამარწმუნებელი კომუნიკაციის ანალიზის დროს გასათვალისწინებელია მსმენელის/ინფორმაციის მიმღების დამოკიდებულება (Attitude) შესაბამის მოვლენათა თუ საკითხთა მიმართ და მომხსენებლის ის შეტყობინებები, რომლებიც შესაძლოა აღნიშნული დამოკიდებულების შეცვლას ემსახურობდეს (Attitude Change).
- დამარწმუნებელ კომუნიკაციას ახლავს „მუქი ფერებიც” – „Grey areas of persuasion”. სანამ მომხსენებელი გაავრცელებს გარკვეულ ტექსტს

(შეტყობინებას), შესაძლოა, მან მიმართოს სხვადასხვა საშუალებას მსმენელში შესაბამისი (მომხსენებლისთვის ხელსაყრელი) განწყობის შესაქმნელად.

ნაშრომის მეორე თავის ნაწილი ეთმობა არგუმენტაციული მსჯელობის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვას და არგუმენტის სხვადასხვა სტრუქტურის წარმოდგენას:

- „არგუმენტი არის განცხადება (შეტყობინება) (ექსპლიციტური ან იმპლიციტური), რომელიც შეიცავს დასკვნას (მტკიცებას) და მის გამამყარებელ წინამძღვრებებს” (Isabela Fairclough & Fairclough, 2012).
- არგუმენტის სხვადასხვა სქემათა შორის უპირატესობა პრაქტიკულ არგუმენტს მივანიჭეთ. ავტორების - იზაბელა და ნორმან ფეარკლოების მიხედვით, პრაქტიკული არგუმენტის სქემა მსჯელობის დროს მიმოიხილავს შემდეგს: 1) არსებულ გარემოებას, 2) მსჯელობის მიზანს, 3) Means-Goals-ს 4) ღირებულებას, რომელიც კომუნიკაციას და მოწოდებას გასდევს ფონად 5) მტკიცებას/ მოწოდებას გარკვეული მოქმედებისკენ;

ამავე თავში წარმოვადგინეთ მიმოხილვა წინამდებარე კვლევის მეთოდის შესახებ. ჩვენ მიერ დისკურსის კრიტიკულ ანალიზზე ყურადღების შექმერება განაპირობა CDA-ის უნარმა, გამართოს დიალოგი დისციპლინათა შორის, აღჭურვოს მკვლევარი აქტიური სოციალური ფუნქციით. დისკურსის კრიტიკული ანალიზის (CDA) მეშვეობით შესაძლებელია უთანასწორო სოციალური ურთიერთობების, გადაჭარბებულ ძალაუფლების, ჰეგემონიის, მნიშვნელოვანი სოციალური ხარვეზების მიმართ პროტესტის და კრიტიკის გამოხატვა.

III თავი ანალიზი

3.1 საქართველოს პრეზიდენტის წლიური ანგარიშების ანალიზი

საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე“. წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის (2004-2013) მიერ სხვადასხვა წელს გაუღებრებული წლიური ანგარიშების ტექსტების ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი. კვლევისთვის საინტერესო უპირველესი საკითხი უკავშირდება **პრაქტიკულ არგუმენტაციას** ანგარიშების ტექსტებში - მიმართავს თუ არა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი პრაქტიკული არგუმენტაციის სქემას საჯაროდ სიტყვის წარდგენის დროს. აღინიშნა, რომ პრაქტიკული მსჯელობა მიმართულია სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე და ნაბიჯებზე:

„This is the core of any normative practical argument: given certain *circumstances* and certain *goals*, a certain type of *action*, informed by certain *values*, is advocated in the *claim* as the right thing to do“ (ფეარკლო ი., ფეარკლო ნ., 2012).

(ნებიმიერი პრაქტიკული არგუმენტის საფუძველი არის შემდეგი: მოცემულია გარკვეული გარემოება და მიზანი, ამოცანად დასახულია გარკვეული ნაბიჯის გადადგმა, რომელსაც ამყარებს ღირებულება და მომხსენებელი იცავს მოწოდებას, როგორც სწორ მოქმედებას).

პრაქტიკულ არგუმენტში მსჯელობა ამყარებს მტკიცებებს. კარგ შემთხვევაში, წარმოდგენილი წინამძღვრებები ერთმანეთთან და მტკიცებასთან კავშირშია. ამ კვლევის ფარგლებში, ჩემთვის საინტერესო საკითხები მოიცავს შემდეგს:

- რომელ რიტორიკულ საშუალებებს მიმართავს მომხსენებელი, რა გზით ცდილობს, რომ კომუნიკაცია გახადოს დამარწმუნებელი;
- რომელი რეპრეზენტაციები იკვეთება პოლიტიკური დისკურსის მოცემულ მაგალითებში;

2005 წლის 10 თებერვალი, საანგარიშო მოხსენება

საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლების შეცვლიდან, დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ ქვეყნის ახალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საანგარიშო მოხსენებით წარსდგა. პრეზიდენტის 2005 წლის ანგარიშის ტექსტი შედგება 3480 სიტყვისგან, რომლის ვრცელი შესავალი – მისაღმების ნაწილი – საინტერესო სტრუქტურით გამოირჩევა, მას ანგარიშის სრული ტექსტის **მესამედი** ეთმობა (მისაღმება 1171 სიტყვისაგან შედგება).

მისაღმება: ანგარიშის ტექსტის დასაწყისში ადრესანტი აუდიტორიას სთავაზობს საქართველოს ახლო წარსულის გახსენებას. ჩნდება რეპრეზენტაცია: „საქართველო ვარდების რევოლუციამდე და ახლა“, რომლის რეალიზება ვითარდება სინტაქსური და სტილისტიკური საშუალებებით. ასევე გვხვდება არგუმენტაციული მსჯელობა. რეპრეზენტაციის რეალიზებას წინ უძღვის შემდეგი აბზაცი:

„ერთი წლის გადმოსახედიდან, სანამ ჩვენს მიღწევებსა და გეგმებზე ვისაუბრებთ, მე გთავაზობთ გავიხსენოთ, თუ რა იყო საქართველო ერთი წლის წინათ.“

ვხედავთ, რომ წარმოდგენილია ერთის მხრივ დადებითი კონოტაცია: **ჩვენი მიღწევები და გეგმები**, მეორეს მხრივ კი წარსულის ფორმულირება ასეთია: „რა იყო საქართველო ერთი წლის წინათ“. ვარდების რევოლუციამდელი საქართველოს აღწერას მომხსენებელი **რვა აბზაცს** უთმობს, საიდანაც **ორი აბზაცი** წარმოადგენს არგუმენტაციულ მსჯელობას: უღერდება მტკიცება, რომელსაც მოჰყვება მტკიცების გამამყარებელი წინამძღვრება. მართალია, აქ **პრაქტიკული არგუმენტაციის** სქემა არ ჩანს (რადგან საუბარი მთლიანად შეეხება განვლილ პერიოდს და არა მომავალში გადასადგმელ ნაბიჯებს), თუმცა არგუმენტის ორი აუცილებელი კომპონენტი – მტკიცება (**Claim**) და წინამძღვრება (**Premise**) სახეზეა. ეს ორი აბზაცია:

1) „საქართველო თავდაცვისუნარო ქვეყანა იყო – არცერთი ტანკი გამართული არ იყო და ერთსაათიანი ბრძოლისთვის საჭირო ტყვია-წამალიც კი არ გვქონდა, გვყავდა რამდენიმე თვის უჭმელი ჯარი“.

მტკიცება: საქართველო თავდაცვისუნარო ქვეყანა იყო (იმიტომ რომ);

წინამძღვრება: არცერთი ტანკი გამართული არ იყო;

წინამძღვრება: ერთსაათიანი ბრძოლისთვის საჭირო ტყვია-წამალიც კი არ გვქონდა;

წინამძღვრება: გვყავდა რამდენიმე თვის უჭმელი ჯარი;

2) „გვქონდა ქვეყანა, რომელშიც კლანები, ფაშები და ფეოდალები თარეშობდნენ. დღეს, ამ დარბაზში აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვა ხელმძღვანელები იმყოფებიან. ერთი წლის წინათ კი, აჭარას სეპარატისტი ფეოდალი მართავდა, რომელიც დედაქალაქში პრინციპულად არ ჩამოდიოდა და საქართველოს პრეზიდენტი მასთან სამათხოვროდ დადიოდა.“

მოცემულ აბზაცში მსჯელობა იმპლიციტურია და მოითხოვს მომხსენებელსა და ინფორმაციის მიმღებს შორის გარკვეული საერთო ცოდნის არსებობას. მაგალითად ისეთის, როგორიც არის, სიტყვის “ფეოდალი” და აჭარის მაგალითის მოყვანის რელევანტურობა ამ კონტექსტში. მომხსენებლისთვის ცნობილია, რომ აუდიტორია ფლობს ასეთ ცოდნას, იგი არ ასახელებს, ვინ იგულისხმება ფეოდალის მიღმა და ინფორმაციის სტრუქტურირებას შესაბამისად უზრუნველყოფს:

მტკიცება: გვქონდა ქვეყანა, რომელშიც კლანები, ფაშები და ფეოდალები თარეშობდნენ;

წინამძღვრება: ერთი წლის წინათ აჭარას სეპარატისტი ფეოდალი მართავდა;

წინამძღვრება: საქართველოს პრეზიდენტი მასთან სამათხოვროდ დადიოდა;

დანარჩენი ექვსი აბზაცი ახლო წარსულის აღწერაა სტილისტური ხერხების გამოყენებით (დასაბუთების გარეშე), სადაც კარგად ვლინდება ენის პოეტური ფუნქცია. რაც შეეხება შედეგებს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როგორც ადრესანტი ანგარიშის დასაწყისშივე აღნიშნა, იგი წარმოადგენს ბოლო ერთი წლის მიღწევებს. კომუნიკაცია არის არგუმენტაციული. მომხსენებელი აუღერებს მტკიცებას (Claim): „დღეს საქართველო არის სახელმწიფო“ და ავითარებს მასთან დაკავშირებულ წინამძღვრებებს. გამოყენებულია დარწმუნების შემდეგი სტრატეგია: ერთი წლის განმავლობაში სხვადასხვა სფეროში მიღწეული წარმატება ნაჩვენებია კონკრეტული პირების მაგალითზე. როგორც ადრესანტი თავად აღნიშნავს, თითოეულ წარმატებულ სფეროს თავისი „კონკრეტული გმირი“ ჰყავს. სწორედ „კონკრეტული გმირების“ მაგალითზე ხდება ვარდების რევოლუციის შემდგომი პროგრესის ჩვენება. მაგალითების დასახელებას ემოციურ დატვირთვას ჰმატებს ის, რომ დასახელებული პირები საქართველოს პარლამენტის დარბაზში იმყოფებიან ანგარიშის წარდგენის დროს. ვფიქრობ, ეს

არის ერთგვარი სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც კომუნიკაციის პათეტურობა მიიღწევა. ამავდროულად, აღნიშნული სტრატეგია ქმნის საფრთხეს, რომ მსჯელობა ხარვეზით განვითარდეს (**Hasty Generalization**).

მტკიცება (Claim): „**დღეს საქართველო არის სახელმწიფო**“ გამყარებულია შემდეგი წინამძღვრებებით:

- 1) ფინანსური პოლიციის წარმატებული საქმიანობა – ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის დასახელება – მისაღმება და მადლობის გამოხატვა;
- 2) წარმატება აჭარის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს კონტროლის აღდგენის კუთხით – დასახელება, „ორი სრულიად დაუცველი ადამიანი, რომლებსაც კბილებამდე შეიარაღებული „ბაბუნები“ სცემდნენ“ – მისაღმება;
- 3) წარმატება სამართალდაცვის კუთხით – საპატრულო პოლიციელის დასახელება – მისაღმება;
- 4) წარმატება სვანეთში ბანდასთან დაპირისპირების დროს – განხორციელებული ოპერაციის გმირის დასახელება – მისაღმება;
- 5) წარმატება განათლების სფეროში – განათლების მუშაკის დასახელება – მისაღმება და მადლობის გამოხატვა;
- 6) წარმატება ქვეყნის თავდაცვის კუთხით – ჯარისკაცების დასახელება – მისაღმება;

ტექსტის დინამიურობას უზრუნველყოფს სტილისტური ხერხები, როგორცაა **ანაფორა და პარალერული კონსტრუქციები**: ფრაზა „საქართველო იყო ქვეყანა“ ტექსტში მეორდება შვიდჯერ. აბზაცების დასაწყისში გვხვდება შემდეგი ფრაზების გამეორება:

„ერთ წელზე ცოტა მეტი დრო გავიდა მას შემდეგ...“

„დრო გავიდა მას შემდეგ...“

„ერთი წლის გადმოსახედიდან...“

ანაფორა - აბზაცების დასაწყისში მეორდება ფრაზა „ეს ნიშნავს იმას..“

გამეორება (ხაზგასმა): „ერთი წუთითაც არ დაუხევია უკან, არ დაუხევია არც მაშინ, როდესაც ათეულობით მანქანა აფეთქდა“.

გამოყენებულია უარყოფითი კონოტაციის შემცველი ეპითეტები: „არშემდგარი, დეზინტეგრირებული, ღირსებაშელახული და სრულიად დემორალიზებული სახელმწიფო“.

მოვლენებთან მიმსგავსებული მეტაფორა: „ვერავენ ველარასდროს ააფეთქებდა დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელ ხიდებს“.

ძირითადი ნაწილი: 2005 წლის ანგარიშში განსაკუთრებით ყურადსაღებად მიმჩნია ტექსტის ის მონაკვეთი, რომელიც, ჩემი აზრით, უკავშირდება ქვეყნის ერთიანობის აღდგენასა და საქართველოს შეიარაღებული ძალების NATO-ს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობას. მომხსენებელი წარმოადგენს შემდეგ არგუმენტაციულ მსჯელობას საქართველოს მხრიდან ზემოაღნიშნულ მისიაში მონაწილეობასთან დაკავშირებით:

„ნურავინ დასვამს კითხვას, თუ რატომ ვართ ჩვენ იქ. საქართველო უნდა იყოს ამ პროცესების მონაწილე რადგან ჩვენმა ქვეყანამ, მშვიდობიანი გზით, ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღადგინოს. ჩვენ ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა არ ვართ. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც მშვიდობიანი პროცესების განსახორციელებლად, დღეს, როგორც არასდროს, საერთაშორისო მხარდაჭერა და რესპექტაბელურობა სჭირდება. მშვიდობის მოსაპოვებლად უმნიშვნელოვანესია, რომ ქვეყანა ძლიერი იყოს.“

ზემოთ მოყვანილი აბზაცი ვრცელი არ არის, მაგრამ იგი მოიცავს პრაქტიკული არგუმენტაციისათვის დამახასიათებელ სქემას თითქმის სრული შემადგენლობით: დასახულ მიზანს, არსებულ გარემოებას, მიზნის უკან მდგომ ღირებულებას მიყვავართ მოქმედებისკენ (Claim for action) – იმ ნაბიჯებისკენ, რაც უნდა გადაიდგას. აბზაცში გვხვდება არგუმენტის მარკერი – „რადგან“. გადაწყვეტილების სიმტკიცეზე და მისი განხორციელების აუცილებლობაზე მეტყველებს ვალდებულების გამომხატველი მოდალური ნაწილაკი „უნდა“. ამასთან, მსჯელობას წინ უძღვის აკრძალვითი ბრძანებითი წინადადება: „ნურავინ დასვამს კითხვას, თუ რატომ ვართ ჩვენ იქ.“ ვნახოთ, თუ როგორია ზემოთმოყვანილი აბზაცის არგუმენტის სტრუქტურა:

რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ: „საქართველო უნდა იყოს ამ პროცესების მონაწილე.“ მტკიცების პერეფრაზი შეგვიძლია ასე ჩამოვაყალიბოთ: საქართველომ უნდა განაგრძოს საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობა.

მიზანი: „ჩვენმა ქვეყანამ, მშვიდობიანი გზით, ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღადგინოს“.

გარემოება (არსებული მდგომარეობა): ჩვენ ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა არ ვართ.

ღირებულება: მშვიდობა, ქვეყნის ერთიანობა;

ეს მსჯელობა ანგარიშის ტექსტის პირველ ნაწილში გვხვდება. მოხსენების დასკვნით მონაკვეთში კი, ვფიქრობ, უდერდება ის ინფორმაცია, რომელიც მეტ სიცხადეს შეიტანს აღნიშნულ გარემოებაში:

„ჩვენ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას სხვა ალტერნატივა არ აქვს. ქვეყანას, რომელსაც დასაბრუნებელი აქვს ყველაზე თვალწარმტაცი ადგილი, მას კი ძლიერი და აგრესიული ძალები ეწინააღმდეგებიან: ქვეყანას, რომელმაც ძალა უნდა იპოვნოს, რათა თავის პრობლემა გადაჭრას.“

პრაქტიკული არგუმენტის სქემის კიდევ ერთი ნაწილია „**Means-Goal**“ (მიზეზ-შედგობრივი კავშირი). დაუბრუნდებით მის განმარტებას და შევეცდებით, მოცემულ ტექსტში, განმარტების მიხედვით, აღმოვაჩინოთ მიზეზ-შედგობრივი კავშირი (Means-Goal premise):

„ When we reason practically, the means appear to us as a *conjecture*, a *hypothesis* that could presumably lead us from our circumstances to our goals, from one state of affairs to another. If we nevertheless become aware that the action may not lead us to our goals, or might even compromise our goals, then we might want to revise the claim (Fairclough, Fairclough 2012).

(პრაქტიკული არგუმენტის ფარგლებში, მიზეზ-შედგობრივი კავშირი არის ჰიპოთეზა, რომელმაც, შესაძლოა, მიგვიყვანოს არსებული გარემოებიდან დასახული მიზნის მიღწევამდე, ერთ მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობამდე. თუ შევნიშნავთ, რომ დასახული ამოცანა, მოქმედება ვერ მიგვიყვანს მიზნამდე, მაშინ ამოცანის რელევანტურობა უნდა გადაიხედოს (ფეარკლო ი., ფეარკლო ნ., 2012)

მომხსენებელი მტკიცების (Calim) ალტერნატიულ გზასთან დაკავშირებით ანგარიშის დასკვნით ნაწილში აღნიშნავს: „ჩვენ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას სხვა ალტერნატივა არ აქვს.“ ქვეყანა მიზნამდე აუცილებლად უნდა მივიდეს. მოწოდების გაუქმების დროს გამოიხატება მომხსენებლის თავდაჯერება, ბრძანებითი კილო. მიზნის მიღწევის საშუალებად კი სახელდება ქვეყნის

სიძლიერე. ვნახოთ, როგორ გამოიყურება განხილული პრაქტიკული არგუმენტის სქემა:

რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ / Claim for Action
საქართველო უნდა იყოს ამ პროცესების მონაწილე

მიზანი/Goal

ჩვენმა ქვეყანამ, მშვიდობიანი გზით, ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღადგინოს; ქვეყანას, დასაბრუნებელი აქვს ყველაზე თვალწარმტაცი ადგილი;

გარემოება/ Circumstances

ჩვენ ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა არ ვართ; ქვეყანას ძლიერი და აგრესიული ძალები ეწინააღმდეგებიან.

ღირებულება/Values Concerns

მშვიდობიანი გზით მოპოვებული ქვეყნის ერთიანობა

Means-Goal:

- მშვიდობის მოსაპოვებლად უმნიშვნელოვანესია, რომ ქვეყანა ძლიერი იყოს.
- მშვიდობიანი პროცესების განსახორციელებლად, დღეს, როგორც არასდროს, საერთაშორისო მხარდაჭერა და რესპექტაბელურობა სჭირდება.

საკითხი, რომელსაც პრეზიდენტი მოხსენების დროს შეეხო, ვფიქრობ, ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ეხება. მიუხედავად ამ მნიშვნელობისა, მსჯელობას აკლია შესაბამისი განმარტებები: დასახელებული არ არის საერთაშორისო ოპერაციები, არ კონკრეტდება ადგილმდებარეობა - „იქ“. იგულისხმება, რომ ინფორმაციის მიმღებმა/ აუდიტორიამ იცის და გათვითცნობიერებული აქვს, თუ რა კავშირია

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას (მიზანსა) და საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობას შორის, კონკრეტულად რა საერთაშორისო ოპერაცია იგულისხმება. ემოციურ ფონზე, პათეტიკურად ხდება აღნიშნული კავშირის ლეგიტიმაცია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „1994 წელს საქართველო გახდა ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP - Partnership for Peace) პროგრამის თანამონაწილე. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში ერთობლივად იმართება სამხედრო წვრთნები და სამეთაურო-საშტაბო სწავლებები. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სემინარებსა და კონფერენციებში.

2002 წელს ნატო-ს პრადის სამიტზე საქართველომ გააკეთა ოფიციალური განაცხადი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის ძალისხმევა და მოსამზადებელი პროცესი. 2004 წლიდან, საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდგომ, ნატო-საქართველოს თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდა. საქართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნატო-ს ეგიდით ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF - International Security Assistance Force) ოპერაციაში. ამჟამად, ავღანეთში საქართველოს გააჩნია სიდიდით მეორე სამხედრო კონტიგენტი ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის.”

ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის მიერ ზემოაღნიშნული მსჯელობის დროს ნებისმიერი წინამძღვრების წარმოდგენისას მეტი განმარტება არგუმენტაციას და დარწმუნებას გახდიდა რაციონალურს. დისკურსის კრიტიკული ანალიზის (CDA) მიხედვით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მტკიცება / მოწოდება: კონკრეტულად რომელი საერთაშორისო ოპერაცია სახელდება დასახული მიზნის – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის – მიღწევის გზად? აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობა და ნაგულისმევი ოპერაცია ნამდვილად ერთადერთი და აუცილებელი პირობაა მიზნის მისაღწევად? რა განაპირობებს გადაწყვეტილების უალტერნატიულობას? წინამდებარე კვლევის პირველ ნაწილში ვისაუბრეთ ენაზე დამოკიდებულ და ენისაგან დამოუკიდებელ

მსჯელობის ხარვეზებზე, რომელთა კლასიფიკაციაც საუკუნეების წინ მოახდინა არისტოტელემ. იმ ხარვეზებს შორის, რომელიც ენაზეა დამოკიდებული, იგულისხმება აზრის ბუნდოვნად გადმოცემა, ლექსიკური ერთეულების იმგვარად გამოყენება, რომ სიცხადე და კონკრეტიკა იყოს ნაკლები. ჩვენს მიერ განხილული ზემოაღნიშნული პრაქტიკული არგუმენტის შემთხვევაში, ვფიქრობ, უკავშირდება საზოგადოებაში გარკვეული შეხედულების იმპლიციტურად შექმნას.

2005 წლის ანგარიშის ტექსტის მომდევნო ნაწილი შეეხება სამომავლო გეგმებს. ტექსტში იკვეთება კიდევ ერთი პრაქტიკული არგუმენტი, რომელიც ზემოაღწერილი მსჯელობის მსგავსად, სიტყვათა სიმრავლით არ გამოირჩევა (აბზაცი სულ 192 სიტყვისგან შედგება). მსჯელობის თემა არის პრივატიზაციის პროცესი. ვფიქრობ, რომ მომხსენებელი ცდილობს, საზოგადოების დარწმუნებას პრივატიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების პოზიტიურობაში. ამასთან, აბზაცი წარმოადგენს მომხსენებლის მიერ პრივატიზაციასთან მიმართებაში საზოგადოების აზრის ჩამოყალიბების (attitude shaping) მცდელობას.

„დავიწყეთ ჩვენი ქონების პრივატიზაცია და უნდა გვესმოდეს რისთვის ხდება ეს. ეს არ არის ქონების გასაღების პროცესი, პირიქით, ჩვენ გვაქვს ქონება, რომელშიც ფული უნდა ჩაიდოს. დღეს, საპრივატიზაციო პროცესები ადრინდელისგან სრულიად განსხვავდება; ე.წ. საპრივატიზაციო პროგრამები. აქამდე ეს პროგრამები იმას გულისხმობდა, რომ ობიექტი უფასოდ გადაეცემოდათ და ოცი წლის შემდეგ ოც მილიონს ჩადებდნენ. ფული ეხლავე უნდა ჩაიდოს იმისათვის, რომ ხვალ მისი ამოღება შესაძლებელი გახდეს. ხალხი უნდა დაასაქმონ და ობიექტები ამუშავდეს, იმისათვის, რომ შემოსავალი გაგვიჩნდეს, რაც ფრიად მომგებიანი იქნება. მომავალი ჩვენვე უნდა შევიქმნათ“. მომხსენებელი ასახელებს იმ სფეროებს, სადაც ინვესტირებაა საჭირო: ენერგომომარაგება, ჯანდაცვა, განათლება, თავდაცვა.

რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ:
უნდა გაგრძელდეს ქონების პრივატიზაცია

მიზანი:
დასაქმება,
ობიექტების
ამუშავება;

არსებული მდგომარეობა:
დღეს, საპრივატიზაციო
პროცესები
ადრინდელისგან
სრულიად განსხვავდება

Means-Goal: ფული ჩაიდება
ენერგომომარაგების,
ჯანდაცვის, განათლების,
თავდაცვის სფეროში;
შესაძლებელი გახდება
ჩადებული ფულის ამოღება;

არგუმენტში გაუღერებული მოწოდება - „ფული ახლავე უნდა ჩაიდოს“ – არის ძირითადი მტკიცების ერთგვარი პერფორანო, მისი მეშვეობით მეტი ყურადღებაა გამახვილებული მოქმედებაზე. როგორც იზაბელა და ნორმან ფეარკლოები მსგავს მტკიცებებს უწოდებენ, ეს არის „*need to take action*“ მოწოდება (Isabela Fairclough & Fairclough, 2012). მომხსენებელი, ერთის მხრივ, ნაბიჯების დროულად გადადგმის აუცილებლობაში არწმუნებს მსმენელს, ხოლო მეორეს მხრივ – კიდევ ერთხელ წარმოადგენს შეპირისპირებას ახლო წარსულთან: ადრე „ობიექტი უფასოდ გადაეცემოდათ და ოცი წლის შემდეგ ოც მილიონს ჩადებდნენ“. აბზაცს ემოციურ ელფერს ჰმატებს მოწოდება: „**მომავალი ჩვენვე უნდა შევიქმნათ**“, მეტაფორული გამომსახველობა: „ქვეყანა საჯირითო ადგილი აღარ უნდა იყოს“.

ტექსტის დანარჩენ ნაწილში მომხსენებელი მიმართავს მრავალფეროვან ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს, როგორცაა: **ანტითეზისი** - „საქართველოს არ აქვს ნავთობი, ჩვენი მთავარი სიმდიდრე ხალხია.“ ანტითეზისს ახლავს სინონიმური სიტყვის ჩანაცვლება (ნავთობი – სიმდიდრე). საინტერესოა, რომ მომხსენებელი ანტითეზის ერთგვარ „ხელსაწყოდაც“ კი იყენებს არგუმენტის გაუღერების დროს:

„ჩვენ ვისწავლეთ ქართულ სიმბოლიკის პატივისცემა. საქართველოში არცერთი ბავშვი არ იყო, რომელმაც საქართველოს ჰიმნი იცოდა. დღეს კი, არ არის არცერთი ბავშვი, რომელმაც ახალი ქართული ჰიმნი არ იცის“.

გაპიროვნება - „ვართ თუ არა ისეთი პარლამენტი, რომელიც თავის ამომრჩეველს უსმენს“.

ირონია - „მართლაც აღფრთოვანებული ვარ ჩვენი პარლამენტით, ეს პირველი საკანონმდებლო ორგანოა, სადაც აბსოლუტური რეკორდი დაფიქსირდა – პარლამენტარებს ერთმანეთი არ უცემიათ“.

აღუზია - „ჩვენი დიდი კულტურიდან ვიწავლეთ, რომ ძალა ერთობაშია, ეს ყველაზე უკეთ დავით აღმაშენებელმა გვასწავლა“.

2005 წლის ანგარიშის დამამთავრებელი ფრაზა ფორმულირდება ლოცვა-კურთხევით - დმერთი იყოს ჩვენი ქვეყნის მფარველი, დიდება საქართველოს!

2006 წლის 14 თებერვალი

რიტორიკული ხერხებით გაჯერებული და დარწმუნების თვალსაზრისით შთამბეჭდავია 2006 წლის ანგარიში. იგი **7365 სიტყვისგან** შედგება. 2005 წლის ანგარიშის ტექსტის ვრცელი მისაღმებისაგან განსხვავებით, 2006 წელს ადრესანტი საჯარო სიტყვის დაწყებისთანავე სვამს შეკითხვებს: „საიდან და რით დავიწყეთ? სადამდე და რით მოვედით? საით და რით მივდივართ?“, რომელიც მოცემული წლის ანგარიშის ტექსტის შინაარსობრივ ღერძს წარმოადგენს. მჭერმეტყველების ხუთი წესიდან მეორე, **Dispositio** (ბერძნული შესატყვისი – Taxis, რაც გულისხმობს საჯარო სიტყვის ტექსტის განლაგებას) მოცემულ ანგარიშში შემოქმედებითად არის გამოყენებული.

ანგარიშის ტექსტი სამ ნაწილად დავყავით სწორედ ზემოაღნიშნული შეკითხვების გათვალისწინებით: I ნაწილი - „საიდან და რით დავიწყეთ?“ II ნაწილი - „სადამდე და რით მოვედით?“ III ნაწილი - საით და რით მივდივართ?

I ნაწილი - „საიდან და რით დავიწყეთ?“

ისევე, როგორც უკლებლივ ყველა ანგარიშში, 2006 წლის საპარლამენტო ანგარიშის ტექსტშიც ფოკუსირებულია რეპრეზენტაცია „საქართველო ვარდების რევოლუციამდე და ახლა“. მოცემული რეპრეზენტაციის რეალიზება ამ მონაკვეთში პრაქტიკული არგუმენტის მეშვეობით არ ხდება. მომხსენებლის ძალისხმევა გადატანილია ემოციური გამომსახველობის გაძლიერებაზე. იგი სხვადასხვა ენობრივ საშუალებას მიმართავს. ვარდების რევოლუციამდელი საქართველოს აღწერისას გამოყენებულია უარყოფითი, ხოლო რევოლუციის შემდგომი პერიოდის აღწერისას – დადებითი კონოტაციის შემცველი სტილისტური ერთეულები:

- გამეორება და ანტითეზისი, ოპოზიცია დაწყება – დასრულება:

„**დავიწყეთ** იქიდან, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არსებობა **დამთავრებული** ჰქონდა... **დავიწყეთ** იქიდან, სადაც სახელმწიფოები და ერები არსებობას **ასრულებენ**“.

- უყოლობა-უქონობის აღმნიშვნელი წარმოქმნილი ზედსართავი სახელები / ასონანსი/ ჩამონათვალში მეორდება ბოლო მარცვალში:

„**დავიწყეთ უიმედობიდან, უპერსპექტივობიდან, უუფლებობიდან, უძლურებიდან, უსამართლობიდან, უდენობიდან, უფულობიდან, უხელფასობიდან, უპენსიობიდან, უწესრიგობიდან.**“

- მეტაფორული გამონათქვამები და ეპითეტები:
„ქვეყნის უკუღმამოტრიალე ბედის ბორბლის გაჩერება და წაღმა დატრიალება“, „იარები გვაქვს მოსაშუშებელი“... „წელში გამართული“ საქართველო.

II ნაწილი - „სადამდე და რით მოვედით?“

საინტერესოა, რომ ამ ნაწილში მეორდება მტკიცება (Claim for action), რომელიც 2005 წლის ანგარიშის ტექსტშიც გაუღერდა:

„საქართველო სრულფასოვანი და სწრაფად განვითარებადი სახელმწიფოა“ (2006). „დღეს საქართველო არის სახელმწიფო“ (2005). მტკიცებას მოჰყვება 255 სიტყვიანი დინამიური ნარატივი, რომელიც გაჯერებულია **გამეორებით**: გვხვდება ცალკეული ფრაზათა გამეორება - „მოვედით იქამდე, რომ“, ასევე ფრაზების დაბოლოებისას მარცვლის გამეორება:

„საქართველო სახელმწიფოა თავისი ყველა ატრიბუტით: კარგად გამართული და ეფექტიანი სახელმწიფო აპარატით; ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებით; სწრაფი ტემპებით მზარდი საფინანსო მაჩვენებლებით; ხალხის სამსახურში მყოფი ძლიერი სამართალდამცავი სისტემით; ძლიერი, კარგად მოტივირებული, ასევე კარგად აღჭურვილი და გაწვრთნილი ჯარით, რომლითაც მე ძალიან ვამაყობ; განახლებული და განახლებადი ინფრასტრუქტურით; ყველა სფეროში აქტიურად მიმდინარე რეფორმებით; აღმშენებლობისა და ზრდის აქამდე არნახული მაჩვენებლებით“.

პრაქტიკული არგუმენტის ვრცელი სქემაა წარმოდგენილი მეორე ნაწილის შემდეგ მონაკვეთში: „ჩვენ დავიწყეთ უფულობიდან, უხელფასობიდან და უპენსიობიდან ... როგორც უცხოელი ინვესტორებისათვის, ისე ჩვენი მოქალაქეებისათვის.“ - **2159** სიტყვა. საკითხი შეეხება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მონაკვეთის ძირითადი მოწოდება არის **რეფორმების გაგრძელება** ლიბერალური ეკონომიკის განვითარების მიზნით. პრაქტიკული არგუმენტის ნაწილი - **არსებული მდგომარეობა** საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი. მასში თერთმეტი მიმართულებაა ასახული. ზოგიერთ შემთხვევაში არსებული მდგომარეობის აღწერისას გამოყენებულია მოკლე არგუმენტებიც. საქართველოში 2006 წლისთვის არსებულ ეკონომიკურ ვითარებას მომხსენებელი ასე აღწერს:

- 1) „ქვეყნის ეკონომიკა არნახული ტემპებით ვითარდება“;
- 2) ქართველ მეწარმეებს ხელსაყრელ პირობებში შეუძლიათ ბიზნესის კეთება;
- 3) ქვეყნის ბიუჯეტში დაგეგმილზე მეტი თანხა შევიდა;
- 4) პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა;
- 5) მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა გაიზარდა;
- 6) ინფლაციამ განიცადა კლება;
- 7) უპრეცედენტო მასშტაბს მიაღწია პრივატიზაციამ;
- 8) „საქართველო მყარი ნაბიჯით იმტკიცებს საერთაშორისო ეკონომიკურ რეიტინგს“
- 9) „გამარტივდა და მოწესრიგდა საგადასახადო სისტემა.“
- 10) დაიწყო ტურიზმის განვითარება;
- 11) ქვეყნის ეკონომიკა რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურად ითვლება; არსებული მდგომარეობის შეჯამებას კი მეტაფორულად არის წარმოდგენილი:

„ეს იმას ნიშნავს, რომ ადრე გამოუსწორებელი ოროსნები ვიყავით, ხოლო ესლა ოთხოსნები გავხდით“.

მიზნის ჩამოყალიბების დროს მომხსენებელი არის თავდაჯერებული, რასაც მის მიერ აღწერილი აწმყო და საერთაშორისო ორგანიზაციათა პროგნოზი განაპირობებს:

„2009 წლის შემდეგ კი, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კატეგორიების მიხედვით, საქართველო ღარიბი ქვეყანა აღარ იქნება. სიღარიბეს ერთხელ და სამუდამოდ დავტოვებთ წარსულში“.

აბზაცის დამარწმუნებელ ეფექტს ზრდის სამომავლოდ **კონკრეტული თარიღის დასახელება**. მომხსენებელი საუბრობს არა ზოგადად სიღარიბის დაძლევაზე, რომელიც ოდესმე მიიღწევა, არამედ კონკრეტულად 2009 წლის შემდგომ პერიოდზე.

მტკიცება/რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას – რეფორმა უნდა დაჩქარდეს და გაგრძელდეს, ეკონომიკის ლიბერალიზაცია უნდა გაგრძელდეს.

არგუმენტის ძირითადი წინამძღვრება, მსჯელობის საფუძველი არის 1) არსებული მდგომარეობა და 2) ის პროგნოზი, რასაც საერთაშორისო დონეზე ავტორიტეტული ფინანსური დაწესებულებები გასცემენ. რეფორმა და

ლიბერალური ეკონომიკა კი ამ შემთხვევაში გვევლინება იმ მოქმედებად, რომელიც დაწყებულია და საჭიროა, სამომავლოდაც გაგრძელდეს.

მოწოდება/ რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას (Claim for action)
რეფორმა უნდა დაჩქარდეს და გაგრძელდეს,
ეკონომიკის ლიბერალიზაცია უნდა გაგრძელდეს.

მიზანი (Goal)
სიღარიბის დაძლევა;
ქართული ეკონომიკის
განვითარება:

არსებული მდგომარეობა
„ადრე გამოუსწორებელი
ოროსნები ვიყავით, ხოლო ახლა
ოთხოსნები გავხდით.“

ტექსტის მიხედვით, რეფორმის სწრაფ და შეუქცევად განხორციელებაზეა დამოკიდებული ქვეყანაში სოციალური სფეროს განვითარებაც. ზემოაღნიშნულ მოწოდებას (**Claim for action**) ეთმობა მომდევნო არგუმენტაციული მსჯელობაც განათლების სფეროს შესახებ. კვლავ გამოყენებულია ოპოზიცია – „საქართველო ვარდების რევოლუციამდე და ახლა“ სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ უსამართლობის ცნება, ეპითეტები: „გაპარტახებული, გაჩანაგებული და დაცარიელებული სკოლები“, „ჭაობად ქცეული უმაღლესები“, ხოლო მეორეს მხრივ – რეფორმის შედეგად მიღწეული სამართლიანობის ცნება.

რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას: უნდა გაგრძელდეს რეფორმა განათლების სისტემაში; ის რეფორმა, „რომელმაც უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების სისტემა მთლიანად შეცვალა“.

არსებული მდგომარეობა: განათლების მიღების სამართლიანი გარემო, „საქართველო დიდ ნაბიჯებს დგამს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცისკენ“.

ფასეულობა/value premise: სამართლიანობა.

სამართლიანი პირობების სადემონსტრაციოდ პრეზიდენტს მოჰყავს ერთ-ერთი აბიტურიენტის მაგალითი, რომელიც წარმოდგენილია რეფორმის შემდეგ

არსებული განათლების სისტემის წარმატების სიმბოლოდ. „ანა ახალი საქართველოს ნამდვილი სახეა და ის და მისთანანი მომავალი საქართველოს ბატონ-პატრონები არიან“.

მომხსენებლის მტკიცებასთან დაკავშირებით მკვეთრად განსხვავებულია ეკონომისტების გარკვეული ნაწილის მოსაზრება. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვლადიმერ პაპავა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში გატარებულ რეფორმებთან მიმართებაში აღნიშნავს, რომ კორუფციასთან ბრძოლამ, ახალმა საგადასახადო კოდექსმა, ბიზნესის წამოსაწყებად გამარტივებულმა პროცედურებმა, ახალმა შრომითმა კანონმდებლობამ საქართველოს ნეო-ლიბერალური რეფორმების გამტარებელი ქვეყნის იმიჯი შეუქმნა. მეორეს მხრივ კი - დაფიქსირდა საკუთრების უფლების შელახვის ფაქტები, ეკონომიკის მოლოპოლიზაცია, ელიტარული კორუფცია (პაპავა ვ., 2013).

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავრობის შესახებ სოციოლოგი სტივენ ჯონსი (Jones, S. F. 2013) აღნიშნავს, რომ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა იყო გამანადგურებელი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემები იყო გაფეტიშებული:

„The government’s disastrous economic policy was an ideological neo-liberal fancy which fetishized Foreign Direct Investment (FDI), eliminated jobs, neglected the rural economy, stimulated corruption, and economically and socially marginalized the vast majority of Georgians“.

(მთავრობის დამანგრეველი ეკონომიკური პოლიტიკა იყო იდეოლოგიური ნეო-ლიბერალური ფანტაზია, რომელმაც გააფეტიშა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი, მოსპო სამუშაო ადგილები, უწყურადღებოდ მიატოვა სოფლის მეურნეობა, მოახდინა კორუფციის სტიმულირება, მოახდინა უამრავი ქართველის ეკონომიკური და სოციალური მარგინალიზაცია).

III ნაწილი - საით და რით მივდივართ?

ანგარიშის ტექსტის მესამე მონაკვეთი უკავშირდება ქვეყნის ერთიანობას, უსაფრთხოებასა და საგარეო კურსს.

არსებული ვითარება: საქართველოს ჰყავს მრავალი საერთაშორისო მეგობარი. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ანექსია სურთ;

მიზანი: საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება, მალე „საქართველოს საზღვარი ნატო-ს საზღვარი იქნება.“

Means - Goal: თუ გაგრძელდება რეფორმები, „თუ ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც დღეს მიდის, თუ ვერავინ ჩაგვითრევს რაიმე მძიმე პროვოკაციაში, საქართველოს... ნამდვილად აქვს შანსი, რომ 2008 წელს ნატოს წევრი ქვეყნები გახდეს, ხოლო წელს უკვე, შეგვიძლია ნატო-ს წევრობის ოფიციალური კანდიდატი გავხდეთ.“

Means - Goal: ცნობიერების ამაღლება საქართველოს შესახებ „უნდა იცოდნენ, რომ გალელ მასწავლებელს, რომლის მოსწავლედ ამბობს: "გაუმარჯოს ჩემს ქვეყანას" - იჭერენ;“

რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას (Claim)
უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება

მიზანი (Goal):
საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება, ნატო-ში გაწევრიანება

არსებული ვითარება:
საქართველოს ჰყავს მრავალი საერთაშორისო მეგობარი

Means - Goal მიზნის მიღწევის საშუალება
საქართველოს შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; რეფორმების გაგრძელება;

2006 წლის ანგარიშის ტექსტი გამოირჩევა იმით, რომ მასში წარმოდგენილია მრავალი მოწოდება, აფორიზმი, ალეგორია, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ტექსტის რიტორიკულ დისკურსს:

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას“

ნათქვამია: "ისე უგლის, თითქოს თავისი იყოსო".

საზგასმულია ქართველი ერისთვის ყველაზე ამაღელვებელი ღირებულებები, როგორცაა თავისუფლების სიყვარული, სიკეთე. წარმოდგენილია მტრის – ბოროტების ხატი, კონკრეტული დასახელების გარეშე. მრავლად არის წარმოდგენილი გზის მეტაფორები:

„ჩვენ დავიწყეთ ნანგრევებიდან და უგზობიდან“.

„ჩვენს მიერ უკვე განვლილი გზა მხოლოდ იმას გვიჩვენებს, თუ რამდენი გვაქვს კიდევ გასავლელი“.

რაც შეეხება მოხსენების დასაწყისში დასმულ შეკითხვებს: საიდან დავიწყეთ, სადამდე მოვედით და საით მივდივართ? როგორც ვნახეთ, სამივე ნაწილს ახლავს შეკითხვა – **რით?** რაც ხაზგასმით აღნიშნავს მექანიზმის, საშუალების მნიშვნელობის შესახებ. მიგვაჩნია, რომ მომხსენებელი ქვეყნის განვითარებაში სახელისუფლებო გუნდის მონაწილეობის ყველა ეტაპს - დასაწყისს, აწმყოსა და სამომავლოდ გადასადგმელ ნაბიჯებს – უკავშირებს რეფორმას: დავიწყეთ, აქამდე მოვედით და გავაგრძელებთ **რეფორმის** საშუალებით. 2006 წლის ანგარიშის დამამთავრებელი ფრაზა (წინა წლის საანგარიშო მოხსენების ტექსტის მსგავსად) ფორმულირდება გზის მეტაფორისა და ლოცვა-კურთხევის გამომხატველი ლექსიკით: „ამ გზაზე გამარჯვებით სვლაში, ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!“

2007 წლის 15 მარტი

2007 წლის ანგარიშის ტექსტის დასაწყისშივე ჩნდება **პასუხისმგებლობის** რეპრეზენტაცია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მსჯელობის მიზნის უკან მდგომ ტრადიციულ ფასეულობასთან – **რეფორმასთან**. ამ თვალსაზრისით, 2007 წლის ანგარიშის ტექსტი გამორჩეულია, რადგან ანგარიშვალდებულების შესახებ პუნქტობრივად ჩამოყალიბებულ ინფორმაციას ამოცანათა განხორციელების მექანიზმად **რეფორმა** ახლავს. შესაბამისად, რეფორმა გვევლინება არა მხოლოდ ფასეულობად, არამედ კონკრეტულ მექანიზმად. მომხსენებელი არაერთხელ აღნიშნავს ხალხისაგან მიღებული დავალების შესახებ, სწორედ ეს ხდება სიტყვის პირველი ნაწილის ძირითადი თემა: თუ რა დავალება მიიღო ხელისუფლებაში მყოფმა გუნდმა საქართველოს მოსახლეობისაგან და როგორ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობებს.

ხალხისაგან მიღებული დავალება ტექსტში შვიდ პუნქტად არის წარმოდგენილი. ზოგადად, ამოცანათა პუნქტობრივი ჩამოყალიბება, ვფიქრობ, მეტი კონკრეტიკისა და პრაგმატული კომუნიკაციისაკენაა მიმართული და მსმენელს განაწყობს სწორედ ასეთი კონკრეტული, დინამიური კომუნიკაციისათვის. ტექსტის ასეთი ფორმა, ვფიქრობ, მსმენელის/ ინფორმაციის მიმღების დამოკიდებულების შექმნას (**attitude shaping**) ემსახურება. მოცემული ანგარიშის ტექსტში წარმოდგენილი თითოეული პუნქტი (დავალება) და მათი

საპასუხო ნარატივი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების სიმრავლით ხასიათდება.

„ჩვენ ხალხისაგან მივიღეთ დავალება:

- 1) დაგვებრუნებინა ქვეყნის ღირსება;
- 2) დაგვემყარებინა წესრიგი, დაგვემარცხებინა კრიმინალური და ქურდული სამყარო, რომელიც სიცოცხლეს უმწარებდა ხალხს;
- 3) დაგვემარცხებინა კორუფცია, შეგვეჩერებინა ყოველ ნაბიჯზე ხალხისათვის ფულის წართმევა, სახელმწიფო ორგანოს ყველა დონეზე ქრთამის გამოძალვა, სახელმწიფო და არასახელმწიფო მოხელეების მიერ ხალხის ჯიბეებში ხელის მუდმივი ფათური;
- 4) გაგვეზარდა განიავებული და გაცამტვერებული ბიუჯეტი, პენსიები და ხელფასები, გაგვესტუმრებინა მრავალწლიანი და მრავალმილიონიანი დავალიანებები;
- 5) დაგვეძლია ასევე მრავალწლიანი ენერგოკრიზისი, რომ ხალხს ღირსებოდა ანთებული ნათურა, გამთბარი სახლი, ჩართული ტელევიზორი; რომ საშუალოდ 2 საათის ნაცვლად 24 საათის განმავლობაში კქონოდათ ელექტროენერგია და 21-ე საუკუნეში არ ყოფილიყვნენ ნავთქურისა და ჭრაქის ამარა;
- 6) შეგვექმნა პირობები, სადაც ცოდნა და სიმართლე დაფასდებოდა; სადაც პატიოსანი და შრომისმოყვარე მიაღწევდა წარმატებას, და არა მუქთახორა და ნაძირალა;
- 7) წერტილი დაგვესვა საქართველოს უსუსურობისა და დაბეჩავებულობისათვის. დაგვებრუნებინა ძალა და შეგვექმნა ისეთი ქართული არმია, რომელიც შეძლებდა სამშობლოს მთლიანობისა და უსაფრთხოების დაცვას.

პირველი პუნქტი (1) მეტაფორულად გამოხატული ზოგადი ამოცანაა. მისი საპასუხო აბზაციც ასევე მეტაფორული და ემოციური ნარატივია. მასში სჭარბობს ურთიერთსაწინააღმდეგო ვითარებათა აღწერა, წარმოდგენილია ანტითეზისი: ერთის მხრივ - გაპარტახებული ქვეყანა, ხოლო მეორეს მხრივ - **ახალი საქართველო**. პირველ პუნქტზე საუბრისას მომხენებელი ვარდების რევოლუციამდელ ქვეყანას უპირისპირებს ცნებას „ახალი საქართველო“,

რომელსაც სხვადასხვა ეპითეტური განმარტება ახლავს. იქმნება ოპოზიციაზე წინათ/ახლა დაფუძნებული ორი ურთიერთდაპირისპირებული ხატი:

საქართველო 2003 წლის ნოემბრამდე:

- „გაპარტახებული და წარუმატებლობის ჭაობში ჩაფლული“ ქვეყანა.
- „სტაგნაციაში გაყინული, მაჩანჩალა“ ქვეყანა;
- „თავიდან ბოლომდე კორუმპირებული“ ქვეყანა;
- “ქურდული გაგების ქვეყანა”;
- „დემორალიზებული, დაჩოქილი, ღირსებაშეგარბული და უიმედო“ ქვეყანა;

საქართველო 2003 წლის ნოემბრის შემდეგ „ახალი საქართველო“:

- „მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი სახელმწიფო“;
- „მსოფლიომ ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყნად აღიარა“;
- „კორუფციასთან ბრძოლის ტემპითა და შედეგით მთელი მსოფლიოს ლიდერი“;
- „ქურდული ინსტიტუტი ხერხემალშია გადატეხილი“.
- „ამაყი და წელში გამართული „ახალი საქართველო“;
- „ხალხს დაუბრუნდა ეროვნული ღირსების განცდა“
- „ევროპის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა ოპტიმიზმის ხარისხის მაჩვენებლის მიხედვით.“

მეორე პუნქტის საპასუხო ნარატივში იკვეთება **სამართლიანობის** რეპრეზენტაცია - დასახელებულია ქურდული სამყაროს წინააღმდეგ გაწეული სამართლებრივი ქმედებები კანონისა და პროცედურების დაცვით.

მესამე და მეექვსე პუნქტებს ეხმაურება აბზაცი განათლების რეფორმის შესახებ. ტექსტში ვითარდება არგუმენტირებული მსჯელობის სტრუქტურა: მტკიცება - „დღეს ვცხოვრობთ საქართველოში, სადაც ცოდნა ფასდება.“ უმაღლესი განათლებისათვის სახელმწიფო დაფინანსება **სამართლიანად** ნაწილდება. „ჩვენს უნივერსიტეტებში ირიცხებიან ყველაზე უბრალო ოჯახების შვილები“.

წინამძღვრება: მაგალითი იმ კონკრეტული აბიტურიენტის, რომელიც

სიტყვის წარმოთქმის დროს დარბაზში იმყოფება. „მივესალმეთ ამ ნიჭიერ ახალგაზრდას!”

აღინიშნა, რომ წინამდებარე ნაშრომში განხილული საპარლამენტო ანგარიშის ტექსტებისათვის არგუმენტის ზემოთ მოყვანილი სქემა დამახასიათებელია. აბზაცის ემოციურ დატვირთვას ზრდის აბიტურიენტის დარბაზში ყოფნა და მისი მისაღმება. მსმენელში დადებითი განწყობის შექმნის შემდეგ მომხსენებელი ახალი სახელისუფლებო გუნდის რეფორმატორულ კურსზე საუბრობს. ერთი კონკრეტული პირისა თუ მოვლენის მაგალითი, როგორც წინამძღვრება ქმნის არგუმენტირებულ მსჯელობაში ხარვეზის (Hasty Generalisation) განვითარების რისკს. მაგალითად, ვფიქრობ, რომ მსჯელობის დროს ხარვეზია დაშვებული (Hasty Generalisation) შემდეგ მონაკვეთში (რომელიც მესამე პუნქტს უკავშირდება):

„კორუფცია პრობლემა აღარ არის. გუშინწინ დაიჭირეს საგადასახადო სამსახურის თანამშრომლები. ამ ოპერაციას პროკურატურამ მარცხენა ჯიბე დაარქვა. მათ აღმოაჩინეს კორუფციის მთელი სქემა. კორუფცია მთლიანად დაძლეულია.”

მტკიცება (Claim): კორუფცია მთლიანად დაძლეულია.

წინამძღვრება (Premise): გუშინწინ დაიჭირეს საგადასახადო სამსახურის თანამშრომლები... აღმოაჩინეს კორუფციის მთელი სქემა.

ხარვეზი აღნიშნულ მონაკვეთში არის ის, რომ საგადასახადო სამსახურში გატარებული ოპერაცია არის განზოგადებული: დასაშვებია, რომ საგადასახადო სამსახურის ფარგლებში აღნიშნული სქემის მიღმა იყოს დარჩენილი კორუფციის სხვა მექანიზმები. ამასთან, საგადასახადო სამსახურის განზოგადება ქვეყნის მასშტაბით გაზვიადებაა.

მსგავსი ტიპის არგუმენტაციული აბზაცი აქვს წარმოდგენილი პრეზიდენტს ქვეყნის ზრდის მაჩვენებელთან დაკავშირებით:

- (1) „მარშანდელი წელი იყო წელი, როდესაც პირველი ქართული კომპანია - საქართველოს ბანკი გავიდა ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

(2) და თუ ცოტა ხნის წინათ, ქართული ეკონომიკა ვლადიკავკაზისა და ერგნეთის ბაზრობებზე - კეთდებოდა, ახლა მან ლონდონის საფონდო ბირჟაზე გადაინაცვლა.

(3) ესეც ჩვენი ქვეყნის ზრდის მაჩვენებელია.

ზემოთმოყვანილი აბზაცის პირველი და მეორე ნაწილი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც წინამძღვრება იმ მტკიცების გასამყარებლად, რომელიც მესამე ნაწილში უღერდება: **ქვეყნის ზრდა**. „ლონდონის საფონდო ბირჟაზე 70 ქვეყნის წარმომადგენელი 3,000-მდე კომპანიაა განთავსებული. აქედან, მხოლოდ 1000-მდე კომპანიაა პრემიუმ ლისტინგში, ხოლო კავკასიის რეგიონიდან მხოლოდ ერთი - „საქართველოს ბანკი“. საქართველოს ბანკი ასევე ერთადერთი უცხოური ბანკია ხუთ წამყვან ბრიტანულ ბანკს შორის - HSBC, Lloyds, RBS, Barclays, Standard Chartered - რომელსაც აქციები პრემიუმ ლისტინგში აქვს განთავსებული (გაზეთი 24 საათი, 01.03.12. სტატია სახელწოდებით - კავკასიის რეგიონიდან მხოლოდ ერთი - საქართველოს ბანკი უკვე ლონდონის საფონდო ბირჟაზე პრემიუმ ლისტინგშია).“ მიუხედავად აღნიშნული ბანკის წარმატებისა, ვფიქრობთ, ერთი კონკრეტული მაგალითით განზოგადება არგუმენტაციული მსჯელობის ხარვეზს წარმოადგენს (Hasty Generalisation).

2007 წლის ანგარიშის ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი (4815 სიტყვა ანგარიშის სრული ტექსტიდან, 6898 სიტყვიდან) წარმოადგენს გასული წლის სირთულეებისა და შესაძლებლობების სტილისტური ხერხებით გაჯერებულ მიმოხილვას. ტექსტში ძირითადად წარმოდგენილია პათეტიკური მტკიცებები (შესაბამისი წინამძღვრებების გარეშე). ნაკლებად გვხვდება მსჯელობა სამომავლოდ გადასადგმელ ნაბიჯებზე. პრაქტიკული არგუმენტაციის კონტექსტში ტექსტის ეს ნაწილი მეტად ღარიბია, მაგრამ გამომსახველობითი ლექსიკური ერთეულების ანალიზის თვალსაზრსით, მასალა ნამდვილად იძლევა საინტერესო კვლევის საშუალებას. დამარწმუნებელი ეფექტის მოხდენის მიზნით მომხსენებელი ხშირად იმეორებს გარკვეულ ლექსიკურ ერთეულებს, ფრაზებს. მაგალითად, ანაფორას: ტექსტის პირველ მონაკვეთში ფრაზა „შარშანდელი წელი იყო“ მეორდება თხუთმეტჯერ და თითოეული მათგანი ვითარდება კონკრეტულ სფეროში მიღწეული შედეგის აღწერით. ტექსტში არაერთხელ გვხვდება აბზაცი, რომელიც ერთდროულად რამდენიმე გამომსახველობით

საშუალებას შეიცავს. მაგალითად, განპიროვნება, გამეორება და ალუზია ერთად გვხვდება შემდეგ მონაკვეთში:

„ევროპა ხელახლა მოდის საქართველოში, ისევე როგორც საქართველო ხელახლა უშინაურდება მას. ევროპა საქართველოში პირველად მოვიდა თავისი მითებით პრომეთეს დასახსნელად. მოვიდა მაშინაც, როდესაც საქართველო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სახელმწიფო გახდა“.

რაც შეეხება მსჯელობას სამომავლოდ გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, პრაქტიკული არგუმენტაციის სქემასა და მსმენელის / ინფორმაციის მიმღების დარწმუნებას აღნიშნული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობასა და სისწორეში, საინტერესოდ მიგვაჩნია 2007 წლის ანგარიშის ტექსტის მონაკვეთი: „საქართველოში განვითარების უახლოეს ეტაპზე...ყველაფერი ეს ერთად აუცილებლად მოგვცემს შედეგს“ (725 სიტყვა), რომლის ძირითადი მოწოდებაა – უნდა შემცირდეს უმუშევრობა და სიღარიბე. აღნიშნული მონაკვეთის პრაქტიკული არგუმენტაციის სქემის მიხედვით, ანალიზის შედეგად მივედით შემდეგ დასკვნამდე: სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევის ერთ-ერთ გზად მომხსენებელი ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივებას ასახელებს. მიზნის მიღწევის საშუალება, Means Goal - „a hypothesis that could presumably lead us from our circumstances to our goals, from one state of affairs to another“ (Isabela Fairclough & Fairclough, 2012) უკავშირდება **რეფორმებს**.

მიზანი: „საქართველოში განვითარების უახლოეს ეტაპზე უმუშევრობა ორჯერ უნდა შემცირდეს და მკვეთრად შემცირდეს სიღარიბე“.

მტკიცება / რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას/claim for action:

„პროცედურები უნდა დაიხვეწოს, გამარტივდეს და დაჩქარდეს, რათა მეწარმისათვის პასუხისმგებელი კითხვები აღარ დარჩეს“.

Means-Goal: ეკონომიკური სისტემის რეფორმა;

Means-Goal: ლიბერალური საგადასახადო კოდექსი;

Means-Goal: სასამართლო რეფორმა;

მიმაჩნია, რომ მოცემული ტექსტი ემსახურება საზოგადოებაში **რეფორმისა** და **ლიბერალური** ეკონომიკის მიმართ დადებითი შეხედულების ჩამოყალიბებას. ეს ხდება შესაფერისი არგუმენტაციული მსჯელობით, კონტექსტის შერჩევით, პირდაპირი მოწოდების გზით ან იმპლიციტურად. 2007 წლის ანგარიშის ტექსტში სიტყვა „რეფორმა“ დადებითი კონოტაციის, წარმატებისა და

სამართლიანობის მნიშვნელობის შემცავ სიტყვებთან სინონიმური მნიშვნელობით არის გამოყენებული:

„რეფორმატორული, უანგარო შრომა“;

„რეფორმატორული და მოწინავე პარლამენტი.“ („ყველაზე გაბედული რეფორმისტული კანონები“ – 2006 წლის ანგარიშიდან).

„ჩვენი ხალხი ასჯერ უფრო ბრძენია, ვიდრე ზოგიერთი ის პოლიტიკოსი, რომელიც რეფორმების წინააღმდეგ გამოდის.“

„ყველა რეფორმა, რომელ სფეროშიც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი, საბოლოოდ, მიზნად ისახავს ერთს – გაუმჯობესდეს ჩვენი მოქალაქეების ცხოვრება. არ არსებობს არაპოპულარული რეფორმები“. ანგარიშის ტექსტში რეფორმა წარმოდგენილია უარყოფითი კონოტაციის ცნებებთან შეპირისპირებით და დადებითი კონოტაციის ამოცანებთან პარალელურად:

„კორუმპირებული და უღირსი მოსამართლეების წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერის ნაცვლად, ზოგიერთებმა პოლიტიკური ომი გამოუცხადეს რეფორმას“.

„ხალხი არც ერთხელ არ აყვა ამ რეფორმების წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას. ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ განვითარდეს ჩვენი ეკონომიკა, ხალხს გაუჩნდეს უფრო მეტი შესაძლებლობა...“

2009 წლის 12 თებერვალი

ომისა და ბუნებრივი კატაკლიზმების მეტაფორათა სიმრავლით გამოირჩევა 2009 წლის საპარლამენტო ანგარიშის ტექსტი. მოხსენება შეიცავს 5800 სიტყვას, საიდანაც მისაღმების ნაწილში 601 სიტყვაა წარმოდგენილი – ტექსტის 10 პროცენტზე მეტი ეთმობა კომუნიკაციას, რომელიც კონკრეტულ შეტყობინებას არ მოიცავს, თუმცა რიტორიკული თვალსაზრისით მდიდარია და დარწმუნების ეფექტს ახდენს. წინა წლებში წარდგენილი საპარლამენტო ანგარიშების ტექსტების მსგავსად, 2009 წელს გაუდერეხული ტექსტის მისაღმებაშიც ემოციურ დატვირთვას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და ენობრივი საშუალებები ამისათვის მაქსიმალურად არის გამოყენებული. წამყვანი რიტორიკული ფიგურა აღნიშნულ ნაწილში არის ანაფორა – აბზაცების

დასაწყისში **თოთხმეტჯერ** მეორდება სიტყვა „**მივმართავ**“, რომელსაც მომხსენებლის მხრიდან საზოგადოების გასაჭირის ხაზგასმა მოსდევს. შედეგად, მომხსენებელი ატყობინებს მსმენელს/ინფორმაციის მიმღებს, რომ ყველა მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემის საქმის კურსშია. ტრადიციულად, საანგარიშო სიტყვის დასაწყისშივე ჩნდება **პასუხისმგებლობის** რეპრეზენტაცია:

„ნოემბერში მე წარვსდექი პარლამენტის საგამოძიებო კომიტეტის წინაშე და მრავალი საათის განმავლობაში ვპასუხობდი დასმულ ყველა შეკითხვას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამას არ მავალდებულებს, დღეს მე ვაპირებ, დავრჩე ჩემი მოხსენების შემდეგ და მონაწილეობა მივიღო საპარლამენტო დებატებში.”

ანგარიშის მომდევნო ტექსტში პრიორიტეტს წარმოადგენს ფოკუსირება ეკონომიის გაჯანსაღებაზე და დასაქმების გაზრდაზე. საინტერესოდ მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ მოხსენების პირველ ნაწილში წარმოდგენილ მონაკვეთზე: „საქართველო დიდი ეროვნული გამოწვევების წინაშე დგას . . . საქართველოს ეკონომიკაში უფრო მეტი ფული ჩაიდოს (795 სიტყვა)”. მიმაჩნია, რომ ამ მონაკვეთში პრაქტიკული არგუმენტაციის საინტერესო მაგალითი გვხვდება.

წინამდებარე კვლევის მეორე თავში ჩვენ მიმოვიხილეთ დარწმუნების ძირითადი მახასიათებლები. აღვნიშნეთ, რომ დარწმუნების ხიბლი მის ნებაყოფლობით ხასიათში მდგომარეობს. ოკიფის განმარტების მიხედვით, დარწმუნება არის „წარმატებული წინასწარგანზრახული ძალისხმევა, რომ შეცვალო სხვათა გონებრივი მდგომარეობა კომუნიკაციის მეშვეობით ისეთ გარემოში, სადაც დარწმუნებას აქვს თავისუფლება გარკვეული დოზით” (ოკიფი 2002) ჟერალ მილერი კი დარწმუნების ფარგლებში არაპირდაპირ იძულებაზე საუბრობს: „დარწმუნების დისკურსი არის არაპირდაპირ იძულებითი, რაც გულისხმობს, რომ შეტყობინებათა დამარწმუნებელი ეფექტი ხშირად დამოკიდებულია საფრთხეებსა და დაპირებებზე, რასაც შეტყობინების გადმომცემი აჟღერებს” (მილერი 2012). 2009 წლის ანგარიშის ტექსტის პირველ ნაწილში, მას შემდეგ, რაც სრულდება ვრცელი და სხვადასხვა ენობრივი საშუალებით გაჯერებული მისაღმება, მომხსენებელი ინაცვლებს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის თემაზე, რომელიც სტიქიის მეტაფორით არის გამოხატული. პრეზიდენტი საუბრობს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად დაზარალებული უკრაინის მდგომარეობის შესახებ:

„ბევრი თქვენგანი ბოლო ხანებში, ალბათ, იყო ბალტიისპირეთში, უნგრეთში ან უკრაინაში. უკრაინაში იმ მანქანების მესამედიც კი არ დადის, რამდენიც თუნდაც ერთი წლის წინათ დადიოდა. ცარიელია მაღაზიები და კაფეები. ქალაქის ცენტრში შუქებიც ჩამქრალია”.

მომხსენებლის მიერ საპარლამენტო ანგარიშის წარდგენის პერიოდში, ფინანსური კრიზისი ამერიკის შეერთებული შტატებიდან მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა. პრეზიდენტი განსაკუთრებით გამოჰყოფს უკრაინის მაგალითს და, როგორც ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჩანს, განზოგადებულ მტკიცებას წარმოგიდგენს. არის თუ არა ამ აბზაცში გაზვიადება გამოყენებული, დამოკიდებულია მონაცემებზე და მსჯელობის საგანია, თუმცა, საინტერესოა, რომ უკრაინაში არსებულ მძიმე ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლისუუნარობას პრეზიდენტი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას უკავშირებს:

„ჩვენზე ასჯერ მეტი პოტენციალისა და რესურსების მქონე ქვეყანა, პოლიტიკური კინკლაობის ფონზე არა თუ ვერ ახერხებს კრიზისიდან გამოსვლას, არამედ სულ უფრო ღრმად შედის ამ კრიზისში”.

ვფიქრობ, რომ სწორედ ეს ნაწილი შეიცავს **იმპლიციტურ მუქარას** – თუკი საქართველოში პოლიტიკური დაპირისპირება გაგრძელდება, მაშინ ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის სავალალო შედეგებს გაიზიარებს. წინამდებარე კვლევის მეორე თავში ჩვენ მუქარის შემცველი კომუნიკაცია დარწმუნებისგან გავმიჯნეთ. ანგარიშის ტექსტის მომდევნო აბზაცები წარმოადგენს მსჯელობას იმაზე, რომ ეკონომიკური კრიზისისაგან თავის დაღწევის მიზნით, საქართველოში უნდა შენარჩუნდეს პოლიტიკური სტაბილურობა. ვნახოთ, თუ რა კომპონენტებისაგან შედგება მსეჯლობა:

არსებული მდგომარეობა: მომხსენებელი გლობალური კონტექსტის წარმოდგენის და ამ კონტექსტში საქართველოს მდგომარეობის ასახვისას პირდაპირ აღნიშნავს, რომ მიუხედავად მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული კრიზისისა, საქართველოში კრიზისული მდგომარეობა მოხსენების პარლამენტში წარდგენის დროისთვის არ არის. შეგვიძლია, რომ ეს მოსაზრებაც, გარკვეულწილად, გაუღერებულ მტკიცებად (claim) მივიჩნიოთ, რადგან პრეზიდენტი პუნქტობრივად მიჰყვება მტკიცების გამყარებას და წარმოადგენს წინამდებარეებს (premises), აყალიბებს როგორც სირთულეებს, ასევე შესაძლებლობებს:

მტკიცება (claim): საქართველოში სახეზეა ეკონომიკური სირთულეები.

(არგუმენტის მარკერები, ისეთი, როგორიცაა: „ამიტომ“, „შესაბამისად“, „იმიტომ რომ“ პუნქტობრივი ჩამოყალიბების დროს არ გამოიყენება). ჩამოთვლილია ორი სახის წინამძღვრები: სირთულეები და შესაძლებლობები. სირთულეებს განაპირობებს: სამუშაო ადგილების დაკარგვა საფინანსო სისტემაში, პრობლემები უძრავი ქონების ბაზარზე, საშუალო ფენის საბანკო კრედიტები – ყველა ეს თემა პირდაპირ კავშირშია მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან და ეხმაურება მსოფლიოში არსებულ პრობლემებს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სირთულეთა ჩამონათვალში არ არის ისეთი საკითხი, რომლის თავიდან არიდება შეეძლო სახელმწიფოს საანგარიშო პერიოდისათვის. ყველა დასახელებული სირთულე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის თანმდევაა. ვფიქრობ, რომ ანგარიშის ტექსტის ამ ნაწილში მომხსენებელი საინტერესო დამარწმუნებელ სტრატეგიას მიმართავს: იგი აუღერებს პრობლემატურ საკითხებს, რაც მსმენელს კარგად შეახსენებს მსოფლიოში არსებული კრიზისის თანმდევი ვითარების შესახებ. მსმენელისთვის ასევე ცნობილია, რომ ეს პრობლემები საქართველოს ხელისუფლების არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი არ არის. ამავე აზრად ვიხილავთ ხელისუფლების დადებითი იმიჯია გათვალისწინებული წინადადების იმ სქემით, რომელსაც მომხსენებელი საკმაოდ ხშირად მიმართავს:

„საფინანსო სისტემაში ბევრი კვალიფიციური მოხელე კარგავს იმ სამუშაო ადგილს, რომელიც, საზგასმით აღვნიშნავ, ბოლო ორი წლის განმავლობაში შეიქმნა“.

მოცემულ წინადადებაში ინფორმაცია ასეა წარმოდგენილი: გვაქვს მტკიცება უარყოფითი მდგომარეობის, პრობლემის არსებობის შესახებ და - მტკიცება, რომელიც მომხსენებლის (ან მისი გუნდის) უპირატესობაზე, პოზიტივზე მიუთითებს. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვან როლს თამაშობს წინადადების სინტაქსური სტრუქტურა.

მიზანი: ეკონომიკის გადარჩენა, სამუშაო ადგილების შენარჩუნება, დასაქმების გაზრდა;

რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ / Claim for action: უნდა შევინარუნოთ პოლიტიკური სტაბილურობა. ომის მეტაფორით გამოხატავს მომხსენებელი არგუმენტის მტკიცებას და მოწოდებას:

„ჩვენ წინ დიდი ბრძოლა გველის, ეს არის ბრძოლა ეკონომიკის გადასარჩენად, ბრძოლა სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად, ბრძოლა

სიღარიბის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ჩვენი წარმატება დამოკიდებულია ერთ რამეზე, შევძლებთ თუ არა ჩვენ შევინარჩუნოთ ერთიანობა და სტაბილურობა”.

რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ/ Claim for action:
უნდა შევინარჩუნოთ პოლიტიკური სტაბილურობა

მიზანი/ Goal:
ეკონომიკის გადარჩენა, სამუშაო ადგილების შენარჩუნება, დასაქმების გაზრდა;

არსებული მდგომარეობა:
მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია;
საქართველოში სახეზეა ეკონომიკური სირთულეები;

Means-Goal:
თუ პოლიტიკური სტაბილურობა არ შენარჩუნდება, ქვეყანა შევა კრიზისში;

მოცემულ შემთხვევაში რთულია ვთქვათ, რომ მომხსენებელი ცდილობს მსმენელის / ინფორმაციის მიმღების დარწმუნებას არგუმენტაციის გზით, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, დარწმუნება მუქარას (იმპლიციტურსაც კი) არ უნდა შეიცავდეს. კრიტიკული დისკურსის ფარგლებში ჩნდება კითხვები: დასახელებული მიზნიდან გამომდინარე, მოწოდება რელევანტური და აუცილებელია? პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება ნამდვილად არის ის ერთადერთი გზა, რომელიც ეკონომიკის გაჯანსაღებამდე მიიყვანს საზოგადოებას? მსჯელობის დროს მხოლოდ უკრაინის მაგალითის მოყვანას გარკვეული სუბიექტური სარჩული ხომ არ უდევს?

2009 წლის ანგარიშის ტექსტი ასევე გამოირჩევა კონკრეტული პიროვნებების მაგალითებით, ცალკეული პირების შემთხვევის განზოგადებით. კვლავ საზგასმით არის აღნიშნული რეფორმის დადებითი წვლილი ქვეყნის განვითარების საქმეში. წარმოდგენილია ანტითეზისი: ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და მტერი, რომელიც ქვეყნის ერთიანობას უქმნის საფრთხეს.

2009 წლის საანგარიშო სიტყვა საინტერესოდ მიმაჩნია **Dispositio**-სთან (რიტორიკის ხუთი წესიდან ერთ-ერთი) მიმართებაში. **Dispositio** (ბერძნული შესატყვისი – **Taxis**) გულისხმობს საჯაროდ წარმოთქმული სიტყვის განლაგებას, მიმდევრობას. ვფიქრობ, რომ მოცემული ანგარიშის ტექსტი ამ კუთხით

რიტორიკის მოცემულ კანონს - **Dispositio**-ს სრულად ითვალისწინებს და შთაბეჭდილებას ახდენს. მოხსენების ბოლო ნაწილში პრეზიდენტი კვლავ უბრუნდება მათ, ვისაც მიმართა სიტყვის დასაწყისში - მისალმების დროს:

„მინდა დაუბრუნდე მათ, ვისი მოხსენიებითაც დავიწყე საუბარი და კიდევ ერთხელ მივმართო ყველა პენსიონერს, ყველა უმუშევარს, გაჭირვებაში მყოფს, ყველა მასწავლებელს და ექიმს...”

აბზაცს მოჰყვება ოპტიმიზმითა და მოწოდებით გაჯერებული ნარატივი, რომელიც გამომსახველობით ლექსიკურ ერთეულებს მრავლად შეიცავს. მეტაფორულად არის წარმოდგენილი იმედიანი მომავალი:

„ნუ იფიქრებთ რომ აღარსოდეს მოვა გაზაფხული”,

„დავატრიალებთ წაღმა ბედის ბორბალს!”,

„იცოდეთ, რომ ახლა არ არის ხელის ჩაქნევის დრო, ახლა არის ძალების მოკრების, რწმენის შენარჩუნების, მტკვრის ჩამოფერთხვის, წელში გამართვის, ერთმანეთისთვის ხელების ჩაკიდების და იმედის შენარჩუნების დრო.”

ჩემი აზრით, 2009 წლის საანგარიშო მოხსენების ტექსტის მიხედვით, პრეზიდენტი ყველაზე მეტად ავლენს საკუთარ თავს ერის წინამძღოლად, მოსახლეობაზე მზრუნველ ლიდერად. რაც შეეხება სხვა პრაქტიკული არგუმენტების იდენტიფიცირებას, 2009 წლის საანგარიშო მოხსენება ამ მხრივაც მდიდარია. პრაქტიკული არგუმენტები გამოვლინდა შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- სამპუნქტიანი გეგმა საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით (478 სიტყვა);
- სახელმწიფო ინსტიტუციების ხარჯების შემცირება, ქაშვების მოჭერის პოლიტიკა ეკონომიკის სირთულეების დაძლევის მიზნით (234 სიტყვა);
- სოციალური ინიციატივა - ხელმისაწვდომი დაზღვევის პროგრამის ინიცირება (774 სიტყვა);
- დევნილების მდგობარეობის გაუმჯობესება (442 სიტყვა);
- ზრუნვა პენსიონრებზე (308 სიტყვა);
- ზრუნვა მასწავლებლებზე (491 სიტყვა);
- ზრუნვა სოფლის დასაქმებაზე (865 სიტყვა);

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სამშვიდობო მისიების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ინსტიტუტების მაქსიმალური ჩართულობის გზით (421 სიტყვა).

განვიხილოთ ტექსტის ის ნაწილი, სადაც პრეზიდენტი მსჯელობს

საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის გაზრდის შესახებ: **არსებული მდგომარეობა** „ახლა ჩვენს ეკონომიკას სჭირდება ფული და მსხვილი ინვესტიციები”

მიზანი/ Goal: „ამ სამივე მიმართულების მიზანია, რომ სახელმწიფო დაეხმაროს ქართულ კომპანიებს იმ სახელმწიფო დაკვეთებით, რომლებზეც ახლა ცხადდება ტენდერები, რათა ჩვენმა კომპანიებმა შეინარჩუნოს ბიზნესი, აკეთოს საქმე და არ დაკარგოს სამუშაო ადგილები.

ღირებულება/ value: ეკონომიკური სტაბილურობა, მოქალაქეების გამდიდრება, უკეთესი მომავალი.

რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ/ Claim for action: „ჩვენ ვიწყებთ სამპუნქტიანი გეგმის განხორციელებას, რომელიც გულისმობს: 1. ნაბიჯებს, რომლებიც უცხოურ დახმარებას აკავშირებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან; 2. ეკონომიკის სტიმულირების ახალ პროგრამას, რომლის მიხედვითაც მოხდება 2,2 მილიარდი ლარის სახელმწიფოს მიერ ინვესტირება ისეთ პროექტებში, რომლებიც ამ იერებს ეკონომიკას და ქმნის პირობებს 25000-ზე მეტი სამუშაო ადგილისთვის. 3. უცხოური კერძო ინვესტიციების მოზიდვას.”

მიზეზ -შედგობრივი კავშირი/ Means-Goal premise: „ამ სამივე მიმართულების მიხედვით, სახელმწიფო ხდება ყველაზე მსხვილი ინვესტორ ქართულ ეკონომიკაში. სახელმწიფო ახლა, მსოფლიო კრიზისისა და საგარეო ინვესტიციების შემცირების ფონზე დებს ეკონომიკაში იმაზე მეტ თანხას, ვიდრე ბოლო წლების განმავლობაში ერთად აღებული ჩაუდია.”

Means-Goal premise /მიზეზ-შედგობრივი კავშირი: „4.5 მილიარდ დოლარიანი დონორთა დახმარების ნაწილია 500 მილიონ დოლარიანი პაკეტი საბანკო სექტორისთვის...მიხარია, რომ ბანკები ნელ-ნელა იწყებენ ფიქრს საქართველოში ფართომასშტაბიანი სესხების გაცემის თაობაზე.”

დისკურსის კრიტიკული ანალიზის მიხედვით, ზემოაღნიშნულ მსჯელობაში ისმის არა ერთი კითხვა: მომსენებლის მიერ დასახელებული მიზანი და მიზნის მიღწევის გზები რამდენად თანხვედრაშია ერთმანეთთან? ქვეყანაში

ეკონომიკური სტაბილურობის პერსპექტივის დასახვას სახელმწიფო დაკვეთები (ტენდერების შეთავაზება კომპანიებისთვის) ჰყოფნის? თუკი (როგორც თავად მომხსენებელი აღნიშნავს) მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია და საგარეო ინვესტიციები იკლებს, რამდენად რელევანტურია უცხოური დახმარების, ერთ-ერთი პირველ პუნქტად იდენტიფიცირება? სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი ინვესტორობა ეკონომიკაში ნამდვილად შექმნის ეკონომიკურ სტაბილურობას და უზრუნველყოფს უკეთეს მომავალს? ამ მსჯელობაში ფართო ასპარეზი დაეთმობა ეკონომიკის მიმართულებას, თუმცა ზემოაღნიშნული არგუმენტის შინაარსის განხილვის გარეშე იკვეთება მიზნის, არსებული ვითარების, სამოქმედო გეგმისა და მიზეზ-შედეგობრივ კავშირების შეუსაბამობა.

2010 წლის 26 თებერვალი

2010 წლის 26 თებერვალს გაუდერებული ანგარიშის მისაღმების ნაწილში პრეზიდენტი ითვალისწინებს კონტექსტს და საზოგადოების მოლოდინს. საჯარო მიმართვა იწყება ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპული ქართველი სპორტსმენის ნოდარ ქუმარიტაშვილის გახსენებით: მისი ცხოვრების ისტორიის მოთხრობით. კონტექსტის გათვალისწინებით, წარმოდგენილია საკმაოდ ემოციური ნარატივი, რომელსაც კიდევ უფრო ამძვრებს სპორტსმენის მშობლების ყოფნა საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში და მომხსენებლის მიმართვა მსმენელისადმი: „ისინი დღეს საქართველოს პარლამენტში იმყოფებიან და მინდა მივესალმოდეთ მათ!“

2012 წლის 28 თებერვალს პრეზიდენტის სიტყვა ანალოგიური სახის მიმართებით იწყება:

„მინდა გთხოვოთ, რომ წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მათ და ავღანეთში დაღუპული 15 გმირის ხსოვნას“.

ორივე შემთხვევაში სწორედ ემოციური ფონის შემდეგ ჩნდება **პასუხისმგებლობის რეპრეზენტაცია**.

2010 წლის თებერვალი: „მას შემდეგ, რაც ხალხმა საქართველოს პრეზიდენტად ამირჩია, უკვე მეექვსედ ვდგავარ საქართველოს პარლამენტის წინაშე, რათა ჩაგაბაროთ პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიში.“

2012 წლის თებერვალი: „ჩემთვის დიდი პატივია კიდევ ერთხელ წარვდგე თქვენს წინაშე და ჩაგაბაროთ ანგარიში ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“.

ვფიქრობ, წარმოდგენილი აბზაცების დამარწმუნებელი ეფექტი მათ კონტექსტს უკავშირდება - სიტყვის თუ რომელ ნაწილშია გაჟღერებული **პასუხისმგებლობის რეპრეზენტაცია**. ნოდარ ქუმარიტაშვილისა თუ ავღანეთში დაღუპული ქართველი მებრძოლების გახსენების ტექსტის შემდეგ პრეზიდენტის მხრიდან ანგარიშვალდებულებაზე საუბარი დამარწმუნებელი და ძლიერია, რადგან მსმენელის დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, გარკვეული ემოციური გაგლენის ქვეშ იმყოფება. ამასთან, ანგარიშვალდებულების თემაზე გადასვლის დროს მომხსენებელი წარმოადგენს **გამბედაობის, მოდერნიზაციისადმი ღიაობის რეპრეზენტაციას**, რომელიც უკავშირდება ხელისუფლებაში მყოფ გუნდს. იგი მიმოიხილავს განვლილი წლების სირთულეს და ხელისუფლების მიდგომას ამ სირთულეების მიმართ მეტაფორულად გამოხატავს:

„იმის ნაცვლად, რომ გვეკითხა „რატომ?“, ვიკითხეთ „რატომაც არა?“.

ანგარიშის ტექსტის მიხედვით, აღნიშნული ფრაზა შეგვიძლია განვიხილოთ და განვაზოგადოთ, როგორც მთავრობის მიდგომა ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და პრობლემების მიმართ. ამავე კონტექსტში გვხვდება **ანაფორა** - სამი აბზაცი იწყება სიტყვებით „გვექონდა წლები“. წარმოდგენილია 2008 და 2009 წლების მიმოხილვა. 2009 წლის ძირითად სირთულეებს, მომხსენებლის მიხედვით, წარმოადგენდა: რუსული აგრესია, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და შიდა პოლიტიკური დაძაბულობა. აღნიშნული მოვლენების შედეგების აღწერისას პრეზიდენტი მიმართავს კიდევ ერთ მძლავრ ენობრივ საშუალებას და მათ აღარებს დამანგრეველ **სტიქიურ ძალას**:

„ამ სამივე მოვლენამ ცუნამის ტალღებით გადაუარა ჩვენს ახლად ფეხზე დამდგარ ეკონომიკას“.

საინტერესოდ მიმაჩნია აღნიშნო, რომ ანგარიშის ტექსტის პირველ ნაწილში მომხსენებელმა წარმოადგინა 501 სიტყვისაგან შემდგარი ნარატივი, რომლის მიზანს საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან მოსახლეობის მიმართ მადლიერებისა და პატივისცემის გამოხატვა წარმოადგენს. პრეზიდენტი მადლობას ეუბნება ხალხს იმისთვის, რომ მან ზემოაღნიშნული კატასტროფული სირთულეების გადალახვა შეძლო. მოცემულ ნარატივში: სიტყვა „მადლობა“

მეორდება **თერთმეტჯერ**. შვიდჯერ მეორდება ფრაზა „ეს მადლობა ეკუთვნის“, სამჯერ მეორდება ფრაზა „თქვენი დამსახურებაა“, სიტყვა ხალხი განსაზღვრულია, როგორც „ჩვენი ქვეყნის პირველი პირი“. ვფიქრობ, რომ მოცემული მონაკვეთი საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებას ისახავს მიზნად. რიტორიკის კანონების დაცვით, მომხსენებელი ითვალისწინებს სოციალურ კონტექსტსა და საზოგადოების მიმართ ყურადღების გამოჩენის მნიშვნელობას.

ვფიქრობ, რომ მოცემული ანგარიშის ტექსტში სათათბირო მსჯელობა (deliberation) ან პრაქტიკული არგუმენტაცია თავისი შემადგენელი სქემებით **წარმოდგენილი არ არის**. ხშირია შემთხვევა, როდესაც გაუღებელი მტკიცებების გამამყარებელი ტექსტი არის კონკრეტული შესაბამისი პირების დასახელება და მათი მაგალითების მოყვანა. მომხსენებელს უფრო მეტად ახასიათებს კონკრეტულიდან ზოგადი მსჯელობის გამოყვანა. მაგალითისთვის, გვაქვს შემდეგი სახის მტკიცება:

„მხოლოდ ლიბერალური ეკონომიკის შენების გზით შევძლებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ნამდვილ გაჯანსაღებას“.

მტკიცების გასამყარებლად მომხსენებელს მოჰყავს ახალგაზრდა ამერიკელი წყვილის მაგალითი, რომელიც საქართველოში დამკვიდრდა. მათ საქართველო აღმოაჩინეს, როგორც ქვეყანა, „სადაც არის ძალიან დაბალი გადასახადები, ძალზე მარტივია ყველა ბიზნეს პროცედურა, არც ბიუროკრატია აწუხებს მეწარმეს და არც კრიმინალი.“ ამგვარი მაგალითი, პირთა დასახელებითა და მათი ისტორიის წარმოდგენით პრეზიდენტს მხოლოდ მოცემულ მოხსენებაში მოყვანილი აქვს **ექვსჯერ**. მოყვანილ მაგალითებში ვლინდება არაფორმალური ლოგიკის შეფასებით არგუმენტაციის ხარვეზი, განზოგადება. **Secundum quid** – hasty Generalization;

2010 წლის ანგარიშის ტექსტის ნაწილი – საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი (რომელიც 1786 სიტყვისაგან შედგება), მიზნად ისახავს მსმნელის/ შეტყობინების მიმღების დარწმუნებას ერთ ძირითად საკითხში: მომხსენებლის მიერ გაცემული დაპირებები სრულდება, შესაბამისად, მომდევნო ინიციატივაციებიც განხორციელდება. ეს სხვადასხვაგვარად ხდება: მისაღმების ემოციურ ფონზე **პასუხისმგებლობის** რეპრეზენტაციის წარმოჩენით, გადაღებული წარმატებული ნაბიჯების განხილვით, თუ სხვადასხვა ავტორიტეტული გამოცემის დამოწმებით.

ამ კუთხით მრავლად არის გამოყენებული ანგარიშვალდებულების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები და ფრაზები, მაგალითისთვის, სამართალდამცავთა ტერმინს მიმართავს პრეზიდენტი შემდეგი განცხადების დროს:

„დღეს მე შემიძლია სრული პასუხისმგებლობით **ფუბატაკლ** ჩვენს ხალხს, რომ ეს პირობა შესრულებულია!”

გაუღერებელია **მტკიცება (claim)**, რომ 2010 წელი იქნება ეკონომიკური გაჯანსაღების წელი. შედეგის ხაზგასმის მიზნით, ტექსტში ხშირად ეკონომიკური გაუმჯობესება მეტაფორულად არის წარმოდგენილი და გამოყენებულია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები:

„შეინიშნება **გაჯანსაღება**”

„ეს ყველაფერი არის **გაჯანსაღების** კონკრეტული ნიშნები, მნიშვნელოვანი **სიმპტომები**”.

მტკიცებას არ მოჰყვება პრაქტიკული არგუმენტაციის სქემა, რადგან მომხსენებელი ძირითადად წარსულში დაწეულ პროექტებზე, დაფინანსებასა თუ სხვადასხვა მექანიზმზე საუბრობს იმის დასადასტურებლად, რომ დანაპირები შესრულებადია და ეკონომიკური გაჯანსაღების პირობები ქვეყანაში არსებობს. ოპიმიისტური კონტექსტის ფარგლებში ჩნდება კვლავ **რეფორმის კონცეპტი** – ლიბერალური ეკონომიკური რეფორმა, როგორც ეკონომიკური გაჯანსაღების მექანიზმი. ვფიქრობ, რომ გარდა ეკონომიკური გაჯანსაღების საფუძვლების აღწერისა, რასაც აღნიშნული 1786 სიტყვა ემსახურება, იქმნება დადებითი, ოპტიმიისტური კონტექსტი, რომლის ცენტრში იმპლიციტურად ექცევა **რეფორმა**. მსმენელში / ინფორმაციის მიმღებში, ასე ვთქვათ, ილექება ხვადასხვა სახის რეფორმის ირგვლივ გაუღერებული კონოტაცია. მაგალითისთვის, ანგარიშის ტექსტის ფარგლებში თემატურად შეგვიძლია გამოვყოთ 516 სიტყვისაგან შემდგარი ნარატივი, რომელიც სრულად ეთმობა განათლების რეფორმის მეორე ტალღას (ნაწილი: შეუძლებელია ვილაპარაკოთ ჩვენი ქვეყნის გრძელვადიან გაჯანსაღებაზე ... გახსნილი შესაძლებლობებით და თვითრეალიზაციის დიდი ასპარეზით). საინტერესო ის არის, რომ რეფორმაზე მსჯელობა ამჯერად, გარკვეულწილად, არგუმენტაციულად არის წარმოდგენილი. ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიზანი, მტკიცება და ის საშუალებები, რისი

მეშვეობითაც მიზანი მიიღწევა. ვფიქრობ, რომ თითოეულ ამ საშუალებას პრეზიდენტი თანმიმდევრულად განმარტავს. მსჯელობის მიღვენება არ არის რთული, დამახასიათებელია ზმნების მომავალ დროში გამოყენება. ყველა ღონისძიება, რაც არის ჩამოთვლილი უკვე დაგეგმილია და / ან განხორციელების პროცესშია. ამიტომ აქ არ მიმდინარეობს მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება იმაზე, თუ რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას მომავალში, ან არის თუ არა ამ ნაბიჯების გადადგმა საჭირო. თუმცა ის, რაც უკვე დაიგეგმა, ნათლად და დამაჯერებლად არის ჩამოყალიბებული. აღენიშნეთ, რომ დასახულ მიზნებს ფასეულობის სახით აყარებს **რეფორმის** მეორე ტალღა.

მიზანი: „ჩვენ უნდა ვიყოთ კონკურენტუნარიანი, რადგან ბევრი გვეჯობებდა მთელ მსოფლიოში“;

მტკიცება: დაიგეგმება და ხორციელდება ისეთი ინიციატივები, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მაღალ ხარისხს.

Means-Goal: სასკოლო ატესტაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება;

Means-Goal: მასწავლებელთა სერტიფიცირება;

Means-Goal: სკოლის გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

Means-Goal: შეხვედრები პროკურატურის, იურიდიული დახმარების სამსახურის და პოლიციის წარმომადგენლებთან;

Means-Goal: დადგენილი სტანდარტებით მოსწავლეთა კვების უზრუნველყოფა;

Means-Goal: ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ახალი საგნების გათვალისწინება;

Means-Goal: სპორტის გაკვეთილების დანერგვა; სპორტის სხვადასხვა სახეობაში სასკოლო ლიგების შექმნა;

Means-Goal: პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდა;

Means-Goal: საქართველოში მცხოვრები უმცირესობისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასაბარებლად სპეციალური კვორტების დაწესება;

2010 წლის 26 თებერვლის ანგარიშში საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსზე საუბარს, ტრადიციულად, მოხსენების ბოლო ნაწილი ეთმობა (მონაკვეთი: მაგრამ მტერს ჰგონია, რომ ადვილია ჩვენი გათიშვა და დახლეჩა...მაგრამ იქ ჩავდიოდეთ, როგორც თავისუფალი ვროპელები. 1282 სიტყვა). მონაკვეთი საინტერესოა მასში იმპლიციტურად არსებული

არგუმენტაციული მსჯელობის თვალსაზრისით. წინამდებარე კვლევის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ ხშირად ძირითადი მტკიცება ღიად არ არის გამოხატული. ასეთ შემთხვევაში დასკვნა კონტექსტიდან გამომდინარე გამოგვაქვს. ვფიქრობ, რომ მოცემული მონაკვეთის ძირითადი მტკიცება არის ის, რომ საქართველომ უნდა განაგრძოს თავისი ძალისხმევა ევროინტეგრაციისა და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების კუთხით. ტექსტი შეიცავს **მიწოდებას**: ქართველმა ხალხმა „უკვე დიდი გაკვეთილები მივიღეთ და დიდი ცოდნა დავაგროვეთ საიმისოდ, რომ უშეცდომოდ მივხვდეთ სად არის მტერი და სად არის მოყვარე“. ისევე როგორ **2009 წლის** საპარლამენტო ანგარიშის ტექსტში, მოცემულ მოხსენებაშიც ერთმანეთს უპირისპირდება ორი ცნება: **მტერი და საგარეო კურსი**.

სიტყვა „მტერი“ (მოხსენების მოცემულ ნაწილში 5 ჯერ არის გამოყენებული), თავდაპირველად დაკონკრეტების გარეშეა წარმოდგენილი შემდეგი ლექსიკური ერთეულებით: გახლენჯა, გათიშვა, გაბაიბურება. მას ახლავს მნიშვნელოვანი ეპითეტი: **„ერთმორწმუნე“**. გამოყენებულია აღუზია - მომხსენებელს მოჰყავს მაგალითი საქართველოს ისტორიიდან, რომელიც ქვეყნის რუსიფიკაციის წინააღმდეგ მებრძოლ სასულიერო პირებს ეხება. მოცემულ ნარატივში არ არის შემდეგი წინადადება გაუღერებული: „რუსეთი ჩვენი ქვეყნის მტერია“. თუმცა, ვფიქრობ, მსმენელისთვის აღნიშნული აზრის ირიბად მიწოდება გაცილებით ეფექტიანი და დამარწმუნებელია:

„25 თებერვლის წლისთავთან ერთად გვახსოვს, რომ წელს სრულდება 180 წლისთავი იმ შავი დღიდან, როდესაც დაიჭირეს და გადაასახლეს გაენათელი და ქუთათელი ეპისკოპოსები იმიტომ, რომ ისინი აპროტესტებდნენ საქართველოს რუსიფიკაციას. დოსითეოს ქუთათელი გზაში მოკლეს წამებით, ექვთიმე გაენათელმა კი ველარასოდეს იხილა სამშობლო“.

მსგავსი ისტორიული წარსულის მოყვანა, ჩვეულებრივ, საქართველოს მოქალაქეში გარკვეულ ემოციას უნდა აღძრავდეს. **მტრის** ცნების საწინააღმდეგოდ წარმოდგენილია ევროკავშირში და ჩრდილო ატლანტიკურ ალიზანსში გაწევრიანება შემდეგი ლექსიკური ერთეულებით: ცივილიზება, მოდერნიზება, ევროპული, დემოკრატიული ფასეულობები. მსმენელში მყარდება შეხედულება, რომ მტრის ხატი უკავშირდება არაცივილიზებულ, არადემოკრატიულ, განუვითარებელ, ჩამორჩენილ ქვეყანას.

მომხენებელი არჩეული პოლიტიკური კურსის ალტერნატივის წარმოჩენისას (აქ იგი იყენებს რიტორიკულ ხერხს) მიმართავს საბჭოთა წარსულის ალუზიას. საბჭოთა წარსული „არ არის ჩვენი არჩევანი“. მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს ფრაზა არის დასკვნითი მონაკვეთის ძირითადი არგუმენტაციული მსჯელობა. აქვე, ამ ემოციურ ფონზე პრეზიდენტი ახდენს სამხედრო პოლიტიკის ლეგიტიმაციას:

„ჩვენი კურსია კაცობრიობის ცივილიზებული და დემოკრატიული ფასეულობების დაცვა, იქნება ეს ერაყში თუ ავღანეთში.“

მაშასადამე, საქართველოს ჩართვა ნატო-ს სამხედრო მისიაში გამართლებულია იმით, რომ ეს არის „დემოკრატიულობისაკენ, კეთილდღეობისაკენ და მოდერნიზაციისაკენ“ მიმავალი ერთ-ერთი საშუალება.

2011 წლის 11 თებერვალი

2011 წლის 11 თებერვალს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ტრადიციულად, წლიური ანგარიშით წარსდგა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. **6128** სიტყვისაგან შემდგარი ტექსტიდან გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც ეთმობა ქვეყანაში ფასების მატების პრობლემატურ საკითხს, რადგან მიგვაჩნია, რომ პრაქტიკული არგუმენტაციის სტრუქტურა 2011 წელს წარდგენილ ანგარიშში ყველაზე მეტად სწორედ ამ ნაწილში ვლინდება („დღეს ჩვენი ხალხისთვის არ არსებობს არც ერთი სხვა უფრო მტკივნეული პრობლემა... შესაბამისად, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები. 2916 სიტყვა). აღსანიშნავია, რომ მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილ პრაქტიკულ არგუმენტს აქვს სხვებისაგან განსხვავებული აგებულება: წინამძღვრებად გამოყენებულია ტექსტში გაუღერებული მომდევნო არგუმენტი (რომელსაც, თავის მხრივ საკუთარი წინამძღვრება აქვს). იქმნება ძირითად მტკიცებაზე დამოკიდებულ მსჯელობათა ჯაჭვი: ხდება დამატებითი თემების ჩართვა. მიმსაჩნია, რომ ამგვარი მსჯელობის აღქმა არის რთული და იგი აფერხებს ანგარიშში გათვალისწინებული ძირითადი სათქმელის გაგებას. რთულდება ტექსტში შემავალი თემების ცხადად განსაზღვრა, მათი მიმდევრობისა და ურთიერთკავშირის დადგენა.

ვფიქრობ, რომ ანგარიშის ტექსტის ზემოთ მითითებული მონაკვეთის მიხედვით, მომხსენებლის მიზანს (Goal) წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესება, „მათი პრობლემების შემსუბუქება“. ძირითადი მტკიცება (Claim) კი შემდეგია: გაზრდილი ფასების პირობებში გამოსავალის პოვნა - „ჩვენი ვალდებულებაა, რომ ამ პრობლემის (გაზრდილი ფასების) მოსაგვარებლად ადგილობრივი გამოსავალი ვეძებოთ.“ არსებული მდგომარეობა კი ასეთია - „ბევრი ოჯახი სასოწარკვეთილია გაზრდილი ფასების გამო“. არსებული მდგომარეობის აღწერისას მომხსენებელი იმპლიციტურად ახდენს მსმენელის/შეტყობინების მიმღების დამოკიდებულების ჩამოყალიბებას (attitude shaping). ერთის მხრივ, იგი გამოხატავს თანაგრძნობას სოციალური წრის ყველა ფენის მიმართ, ვინც მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ სასოწარკვეთამდე მიიყვანა. წარმოდგენილია სამი აბზაცი, თითოეული მათგანი იწყება ფრაზით: „ერთი წუთით წარმოიდგინეთ...“ და აღწერს დედების, უმუშევარი მამების, სტუდენტების რთულ მდგომარეობას. რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ ცოდნის გამოვლენით მომხსენებელი ცდილობს, ანუგეშოს მსმენელი. თანაგრძნობის გამომხატველი აბზაცების შემდეგ კი ადრესანტი ახსენებს ფასების მატების საერთაშორისო მიზეზებს და იმპლიციტურად აყალიბებს ვითარებას იმგვარად, რომ შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გამოტანა: ფასების ზრდასთან დაკავშირებული ყოველივე სასოწარკვეთა მოსალოდნელი და ბუნებრივი პროცესი იყო საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით. ამ პროცესის შეჩერებას საქართველოს ხელისუფლება ვერ შეძლებდა. აბზაცის რიტორიკულ ეფექტს აძლიერებს გამეორება („ერთი წუთით წარმოიდგინეთ“) და ანტონიმური სიტყვების ურთიერთშეპირისპირება: **საერთაშორისო** მიზეზებით გამოწვეული პრობლემის გადასაჭრელად **ადგილობრივი** გამოსავალი.

Means-Goal /მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალებები: მონეტარული პოლიტიკისა და ფისკალური ღონისძიების გატარება შემდგომი ინფლაციური პროცესებისაგან დასაცავად;

მომხსენებლის მიერ მონეტარული პოლიტიკისა და ფისკალური ღონისძიების გატარება დასახელებულია, როგორც დასახული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი პირველი საშუალება. ამასთან დაკავშირებული აბზაცი შეიცავს 53 სიტყვას, მძიმე სიტუაციიდან გამოსავლის ძიება მეტაფორულად არის გამოხატული - „მოვახერხოთ ნავიგაცია ფასების ზრდის გამო შექმნილი

ტურბულენტური ზონიდან“. მთავრობის მხრიდან გაწეული ძალისხმევის საზღვარს მიზნით, მეორდება ლექსიკური ერთეულები (გამეორება) - „ყველა საჭირო.“ აბზაცი არ აღწერს კონკრეტულ ღონისძიებებს, იგი შემოიფარგლება ზოგადი განცხადებით: მასში არ არის აღწერილი თუ რა კონკრეტული ღონისძიებები ტარდება ხელისუფლების მიერ. ბუნდოვანია ასევე, თუ რა იგულისხმება „ყველა საჭირო მონეტარტულ და ფისკალურ ღონისძიებაში“. შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემული **Means-Goal** სრულად ემსახურება რიტორიკული ეფექტის შექმნას.

Means-Goal /მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალებები: ელექტრო ენერჯის ვაუჩერი, სასურსათო ვაუჩერი;

წინამორბედისაგან გასხვავებით, დასახელებული საშუალებები კონკრეტულია და ინფორმაციული. აბზაცი შეიცავს განმარტებას ვაუჩერების დანიშნულების, ღირებულებისა და გამოყენების წესის შესახებ. ვნახოთ, თუ როგორია წარმოდგენილი პრაქტიკული არგუმენტის პირველი ნაწილის სქემა:

მტკიცება/ რა უნდა გაგაკეთოთ
დავწიოთ საქართველოში გაზრდილი ფასები,
ვებრძოლოთ ფასების ზრდას

მიზანი:
ქვეყნის
მოსახლეობის
ცხოვრების
გაუმჯობესება,
უკეთესი ხვალისდელი
დღე.

არსებული მდგომარეობა
„ბევრი ოჯახი
სასოწარკვეთილია“.
„ეს სასოწარკვეთა არ
არის მარტო
საქართველოში -
მსოფლიო ეკონომიკური
კრიზისი მძვინვარებს“

Means-Goal:
მონეტარული
პოლიტიკისა და
ფისკალური
ღონისძიების გატარება
შემდგომი
ინფლაციური
პროცესებისაგან
დასაცავად;

Means-Goal:
ელექტროენერჯის
ვაუჩერი,

სასურსათო ვაუჩერი;

არგუმენტის შეფასება: პრაქტიკული არგუმენტაციის კონტექსტში მიზნის მიღწევის აუცილებელ და საკმარის პირობებზე მსჯელობენ იზაბელა და ნორმან ფეარკლოები წიგნში „პოლიტიკური დისკურსის ანალიზი“

„Doing something that is necessary in view of a goal may not be sufficient to fulfill that goal, but doing something that is sufficient in view of the goal may not really be necessary, if other better or easier means are available” (Isabela Fairclough & Fairclough, 2012)

(მიზანთან მიმართებაში რაიმე მოქმედება, რომელიც მიიხნევა, როგორც აუცილებელი მოქმედება, შესაძლოა, სულაც არ იყოს საკმარისი დასახული მიზნის მისაღწევად. ასევე, რაიმე საკმარისი შესაძლოა არ იყოს აუცილებელი ისეთ შემთხვევაში, თუ სხვა უკეთესი საშუალებები ხელმისაწვდომია).

ვნახეთ, რომ უკეთესი ხვალისდელი დღის (მიზანი) მისაღებად გადასადგმელი ნაბიჯი გაზრდილ ფასებთან ბრძოლაა. მომხსენებლის მიხედვით, მომავალში სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს 1) გარკვეული მონეტარული პოლიტიკისა და ფისკალური ღონისძიების გატარება და 2) ვაუჩერების დარიგება. რამდენად აუცილებელი ან საკმარისია დასახელებული ღონისძიებები მიზნის მისაღწევად? კრიტიკული დისკურსის ანალიზის (CDA) ფარგლებში, აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა დარგის ექსპერტთა შეხედულების გაზიარება. №1 Means-goal მომხსენებელს დაკონკრეტების გარეშე აქვს წარმოდგენილი და მასში ნაგულისხმები ღონისძიებების შეფასება, ცხადია, ვერ მოხერხდება. მიზნის მისაღწევად მომხსენებლის მიერ დასახელებული საშუალების აუცილებლობა (და რელევანტურობაც კი) დარგის ექსპერტთა ერთი ნაწილის მიერ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

წინამდებარე კვლევა არ ისახავს მიზნად, დაადგინოს ადრესანტის მიერ გაქდერებული სამომავლოდ გადასადგმელი ნაბიჯების რაციონალურობა ან შედეგები. შესაბამისად, ზემოთ წარმოდგენილი არგუმენტის სქემის შეფასებას არ განვაგრცობთ და გადავართ არგუმენტაციული მსჯელობის შემდეგ შემადგენელ ნაწილზე.

მიზნის მისაღწევად საჭირო მომდევნო საშუალება. მსჯელობაში ერთვება ახალი თემა - ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარება. ტექსტის ეს მონაკვეთი საკმაოდ ვრცელია (478 სიტყვა) და თავის მხრივ, შეიცავს პრაქტიკული არგუმენტის კომპონენტებს.

მტკიცება / რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ/claim for action: უნდა განვაავითაროთ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოება.

არსებული მდგომარეობა: ჩვეულებისამებრ, არსებული მდგომარეობის აღწერისას მომხსენებელი გამოხატავს ცოდნას სოფლის მეურნეობაში არსებული არადამაკმაყოფილებელი ვითარების შესახებ. „მდგომარეობა ჩვენს სოფლის მეურნეობაში მთლიანობაში ძალიან არადამაკმაყოფილებელია.“ ამავდროულად, მას მოჰყავს აწმყოს შედარება 5 წლის წინანდელ წარსულთან. გვხვდება რეპრეზენტაცია - საქართველო ვარდების რეკოლუციამდე და ახლა: „5 წლის წინათ ქართული სოფლის მეურნეობა მთლიანად გაცამტვერებული იყო. მას შემდეგ გარკვეული პროგრესი განვიცადეთ“.

Means-Goal / მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალებები: მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაციის პროგრამა;

ანგარიშის ამ ნაწილში ადრესანტი მიმართავს დარწმუნების ეფექტიან საშუალებას - ცალკეულ პიროვნებათა დასახელებასა და მათი კონკრეტული მაგალითის მოყვანას. ვფიქრობ, რომ ამ გზით იგი ხაზს უსმევს თავის ინტერესს სოფლის მეურნეობის სფეროს მიმართ, აჩვენებს მარცვლეულის პროგრამის შესახებ მისი ცოდნის მაღალ დონეს, საკითხში ჩახედულობას. ცდილობს, მსმენელში მეტი რწმენა დანერგოს და ამ გზით კომუნიკაცია დამაჯერებელი გახადოს.

არგუმენტის ზემოაღნიშნული სტრუქტურა გრძელდება და ამჯერად წინამორბედ არგუმენტს (რომელიც თავის მხრივ ზოგადი მიზნის შესრულების ერთ-ერთი საშუალებაა) წინამძღვრებად გასდევს ახალი არგუმენტი:

მტკიცება / რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ:
უნდა განვაავითაროთ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოება

ზოგადი მიზანი:
ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესება, უკეთესი ხვალისდელი დღე.

არსებული მდგომარეობა:
„მდგომარეობა ჩვენს სოფლის მეურნეობაში მთლიანობაში ძალიან არადამაკმაყოფილებელია.“

Means-Goal:
მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაციის პროგრამა

მტკიცება / რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ
 (ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წარმოების გაზრდის მიზნით)
 „სახელმწიფო, ბიზნესთან პარტნიორობის პრინციპით უფრო აქტიურად
 (უნდა) ჩაერთოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში“

Means-Goal:

 სასაწყობე
 მეურნეობების შექმნა

Means-Goal:

 სოფლის მეურნეობის
 დაფინანსების გაზრდა

მსჯელობა გაზრდილი ფასებთან ბრძოლის კონტექსტში ახალი არგუმენტით გრძელდება. კავშირი ძირითად მოწოდებას (უნდა დაეწიოთ საქართველოში გაზრდილი ფასები, უნდა ვებრძოლოთ ფასების ზრდას) და არგუმენტის ამ ნაწილს შორის მეტაფორულად არის წარმოდგენილი „უმუშევრობა არის მიზეზი, რომელიც აათმაგებს ფასების ზრდის შედეგად მიღებულ ტკივილს“. მაშასადამე, კვლავ ჩნდება ახალი თემა - უმუშევრობის დაძლევა;

რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ: უნდა შევქმნათ სამუშაო ადგილები, უნდა ვებრძოლოთ უმუშევრობას;

არსებული ვითარება: წარმოდგენილია ემოციური ნარატივი, კვლავ გაჯერებული ძლიერი გამომსახველობითი ენობრივი საშუალებებით, როგორცაა მეტაფორა: „უმუშევრობის წელში გატეხვა, უმუშევრობა არის ის, რაც კლავს სიცოცხლის ხალისს და ხვალინდელი დღის იმედს“. აბზაცს მოსდევს დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც მომავალში შესრულდება.

მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალებებად კი დასახელებულია ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები კერძოდ, გზებისა და სარკინიგზო ხაზების განვითარება და გაზიფიკაცია.

Means-Goal/ მიზნის მისაღწევად საჭირო საშუალება: ტურიზმისა და ენერჯეტიკის სფეროს განვითარება;

საინტერესოა, რომ ტურიზმის მიმართულებით ამბიციურ გეგმებზე საუბრისას მომხსენებელი ასახელებს მსოფლიოში ცნობილ გამოცემას „ნიუ

იორკ თაიმსი”, რომელმაც საქართველო მსოფლიოს მეექვსე საუკეთესო ტურისტულად მოსანახულებელ ქვეყნად დაასახელა. არის, თუ არა ეს ხერხი **Argumentum Ad Verecundiam** – განხილვის საგანია. **Ad Verecundiam** მსჯელობის დროს ავტორიტეტის შეხედულების მოშველიებას გულისხმობს, იგი მიიჩნევა დარწმუნების საშუალებად, თუმცა მაინც არგუმენტირებული მსჯელობის ხარვეზად, იმ შემთხვევაში, თუკი მოყვანილი ავტორიტეტი არ არის დარგის ექსპერტი. ქრისტოფერ ტინდეილი გვთავაზობს, რომ ასეთ შემთხვევაში დავსვათ შემდეგი კითხვები:

- 1) დასახელებული პიროვნება ან წყარო ნამდვილად ავტორიტეტულია?
- 2) დასახელებულმა ავტორიტეტმა ნამდვილად გააკეთა არგუმენტში მოყვანილი განცხადება?
- 3) ავტორიტეტული პირი და მისი განცხადება განხილვის საგანს შეესაბამება?

„ნიუ იორკ თაიმსის” სექცია – **მოგზაურობა** მკითხველს ყოველწლიურად სთავაობს რჩევას იმის შესახებ, თუ მსოფლიოს რომელ ნაწილს ეწვიოს. 2011 წელს გამოქვეყნებულ, 41 ქვეყნისაგან შემდგარ ჩამონათვალში საქართველო რიგით მეექვსე ქვეყანაა, რომლის მონახულების შესახებაც ავტორი (კიმერლი ბრედლი) რჩევას გასცემს. რეკომენდაცია, ძირითადად, მოიაზრებს საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებს. საინტერესოა, რომ ავტორი პირადად პრეზიდენტ სააკაშვილის წვლილს აღნიშნავს საქართველოში სათხილამურო კურორტების განვითარების საქმეში. მომხსენებლის მხრიდან „ნიუ იორკ თაიმსის” მონაცემების მოყვანა უკავშირდება მის მიერ გაუღებულ პირობას ტურისტების რაოდენობის ზრდასთან მიმართებაში:

„ჩვენი გეგმა ამბიციურია, მაგრამ მას აუცილებლად შევასრულებთ - 2015 წლისათვის საქართველოში წლიური ვიზიტორების რაოდენობა ავა 5 მილიონზე და ამ დროისთვის ჩვენი ქვეყანა ტურისტებისთვის იქნება ზამთრის ტურიზმის ერთ-ერთი მსოფლიო ცენტრი. ბევრისთვის შეიძლება ეს წარმოუდგენლად უღერდეს დღეს, მაგრამ, დამერწმუნეთ, 3 წლის წინათ კიდევ უფრო წარმოუდგენლი იყო ის, რომ "ნიუ იორკ თაიმსი" საქართველოს მსოფლიოს მეექვსე საუკეთესო ტურისტულად მოსანახულებელ ქვეყნად დაასახელებდა”.

კრიტიკული დისკურსის ანალიზის (CDA) მიხედვით, აუცილებლად დაისმება შეკითხვა: არის თუ არა კავშირი ამ აბზაცის პირველ და მეორე

ნაწილებს შორის - ქმნის თუ არა "ნიუ იორკ თაიმსი"-ს 2011 წლის რეკომენდაცია მომხსენებლის მიერ აღწერილი ამბიციური გეგმები განხორციელების არგუმენტს? შესაძლოა, ცნობილი გამოცემა ნამდვილად იყოს ავტორიტეტი, მაგრამ შეგვიძლია კი გამოქვეყნებული სტატია განვიხილოთ წინაპირობად ან ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთად იმისა, რომ დასახელებული გეგმები განხორციელდება?

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის საპარლამენტო მოხსენებაში პრაქტიკული არგუმენტის ჩამოყალიბებისას ადრესანტი აღწერს მძიმე სოციალურ ფონს, საუბრობს სირთულეებზე და მათი გათვალისწინებით (ასე ვთქვათ, მათ საპასუხოდ) ავითარებს ოპტიმისტურ მოწოდებებს. მსმენელს / ინფორმაციის მიმღებს არწმუნებს, რომ ძირითადი მიზანი – უკეთესი ხვალისდელი დღე – რეალისტური და მიღწევადია. ამისთვის იგი მიმართავს არა მხოლოდ მდიდარ ლექსიკურ გამომსახველობით საშუალებებსა თუ ტროპებს, არამედ ყურადღებით არჩევს გრამატიკულ კატეორიებს. მაგალითისთვის, აბზაცი უმუშევრობით გამოწვეული მძიმე სოციალური ფონის შესახებ:

„გზედები მათ, ვისაც პროფესია აქვთ, მაგრამ არ აქვთ შესაბამისი სამსახური და მათაც, ვისთვისაც ხანგრძლივმა უმუშევრობამ უკვე დიდი ხანია აზრი დაუკარგა ერთ დროს მიღებულ პროფესიულ ცოდნას.“

უმუშევრობის დაძლევისთან დაკავშირებული აბზაცი: „2015 წლისთვის საქართველოში აშენებული იქნება 17 პესი საერთო ჯამში 717 მგვტ. ელექტროენერჯის წარმოებით, ხოლო მშენებარე მდგომარეობაში იქნება 13 ახალი პესი, ჯამში 1007 მგვტ. ელექტროენერჯის წარმოების მოცულობით. ეს იქნება ჩვენი ელექტროენერჯის წარმოების გაორმაგება. ეს არის მილიარდობით დოლარი ჩვენი ეკონომიკის განმტკიცებაში და ჩვენი მოქალაქეების დასაქმებაში...“

შევაჯამოთ თუ რა თემებს ეხება მომხსენებელი, როდესაც წლიურ ანგარიშში ქვეყნის წინაშე მიმოიხილავს გაზრდილი ფასების პირობებში გამოსავალის პოვნის სტრატეგიას:

1. მონეტარული პოლიტიკისა და ფისკალური ღონისძიების გატარება;
2. ვაუჩერები,
3. ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარება;

4. მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაციის პროგრამა;
5. სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორობა;
6. სასაწყობე მეურნეობების შექმნა;
7. სოფლის მეურნეობის დაფინანსების გაზრდა;
8. უმუშევრობასთან ბრძოლა - ტურიზმისა და ენერგეტიკის სფეროს განვითარება;

ჩამონათვალი ვრცელია და მოიცავს მრავალ სხვადასხვა თემას: ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია კონკრეტული აქტივობა, მაგალითისთვის, სასურსათო ვაუჩერები, რომლის შესახებაც, ვფიქრობ, მომხსენებელი საკმარის ინფორმაციას აწვდის მსმენელს. ხოლო ზოგი კი – მეტად ფართო მიმართულებაა. მაგალითისთვის, ენერგეტიკის სფეროს განვითარება ან სოფლის მეურნეობის სფეროს დაფინანსების გაზრდა – რის შესახებაც პრეზიდენტი მეტად განზოგადებულ, რიტორიკული ხერხებით გაჯერებულ მსჯელობას წარმოადგენს.

საინტერესოდ მიმაჩნია, დავაკვირდე, თუ როგორ არის წარმოდგენილი ქვეყნის საგარეო კურსი 2011 წლის 11 თებერვლის ანგარიშში და რა სახით ახდენს მომხსენებელი გატარებულ რეფორმათა ლეგიტიმაციას. საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის საგარეო კურსზე მოხსენების დასკვნით ნაწილში საუბრობს. იგი საქართველოს საგარეო კურსსა და ეროვნულ უსაფრთხოებას ერთმანეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს. ერთის მხრივ, წარმოდგენილია საფრთხეები, რომელთა წინაშეც ქვეყანას აყენებს მტერი: „საქართველოს დამოუკიდებლობასა და მთლიანობას კვლავ უპირისპირდება ძლიერი მტერი“, ხოლო მეორეს მხრივ პრეზიდენტი აღუდგენს ქვეყნის საგარეო კურსს: „უფრო და უფრო ღრმავდება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ურყევია ჩვენი კურსი ევროკავშირისა და ნატოსკენ“.

ანგარიშის სიტყვას, ვფიქრობ, ძირითად ფასეულობად გასდევს **რეფორმა**. ის ნაბიჯები და ღონისძიებები, რაც ქვეყანაში, მომხსენებლის შეფასებით, წარმატებით განვითარდა და მიგვიყვანა „უფრო ცივილიზებულ, უფრო პროგრესულ, უფრო დემოკრატიულ სახელმწიფომდე“ სწორედ რეფორმებს უკავშირდება: გატარებულ რეფორმათა და ცვლილებათა დამსახურებით მივიღეთ აწმყო დღევანდელი სახით. რეფორმასთან მჭიდრო კავშირშია წარმოდგენილი

კიდევ ერთი რეპრეზენტაცია - მოდერნიზაცია (ეს ორი ცნება გადაჯაჭვულია მოცემულ ტექსტში). მომხსენებელი აღნიშნავს:

„ჩემი დღევანდელი მოხსენების ერთი სიტყვით დასათაურება რომ მომიწიოს, მე სწორედ ამ სიტყვას - მოდერნიზაციას შევარჩევდი“.

მოდერნიზაციაზე საუბრით მომხსენებელი კვლავ საქართველოს საგარეო კურსს ემხიანება. მისი მიხედვით, მოდერნიზაცია იგივეა, რაც ქვეყნის საგარეო კურსის შესახებ არჩევანი.

ტექსტის ფინალური ნაწილი მოდერნიზაციაზე, ქვეყნის უსაფრთხოების გამოწვევებსა და საქართველოს საგარეო კურსის შესახებ არის ემოციური, გამომსახველობითი ლექსიკური ერთეულებისაგან შემდგარი. აწმყო, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, არის მეტაფორულად წარმოდგენილი - „ჩვენი საზოგადოების დროისა და ეპოქასთან შეჯიბრი“. ტრადიციულად, მომხსენებელი მიმართავს ანტითეზისს: ერთის მხრივ წარმოდგენილია პოსტ-საბჭოთა ქვეყანა: კლანური, თემური აზროვნება, ქურდული გაგება, კორუფცია; მეორეს მხრივ კი - ევროპული, დემოკრატიული სახელმწიფო. „მოდერნიზაცია ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მოქალაქე იყოს უფრო განათლებული, უფრო კონკურენტუნარიანი, ჰქონდეს თანამედროვე ცოდნა და თავს გრძნობდეს საქართველოს პატრიოტად, მაგრამ, ამავე დროს, მსოფლიო მოქალაქედ, კაცობრიობის მედროშედ; თავისუფალ ადამიანად, ვისთვისაც ყველა შესაძლებლობა გახსნილია და რომელსაც არ გააჩნია არასრულფასოვნების კომპლექსი.“

ტექსტში რეფორმა და მოდერნიზაცია, სავარაუდოდ, მრავალი მსმენელის უმნიშვნელოვანეს ღირებულებასთან - თავისუფლებასთან არის გათანაბრებული. პოსტ-საბჭოთა „ნაჭუჭში ჩაკეტილი“ საზოგადოების საპირისპიროდ წარმოდგენილია თავისუფალი საზოგადოება. „თავისუფალი აზროვნებით, თავისუფალი ცხოვრების წესით“. ამის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ 2011 წლის 11 თებერვლის მოხსენება წარმოადგენს მცდელობას, მოხდეს საქართველოში ხელისუფლების მიერ გატარებული და დაგეგმილი რეფორმების ლეგიტიმაცია. რეფორმათა შესახებ ჩამოყალიბდეს უაღრესად დადებითი აზრი, ეს ცნება განიხილებოდეს ისეთ ცნებათა შორის, როგორცაა თავისუფლება და მოდერნიზაცია.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი ლეგიტიმაციას ასე განმარტავს: „მმართველობის ამა თუ იმ სისტემის მიერ შემოღებული კანონიერების დამკვიდრებისა და აღსრულების ისეთი ფორმა, რომელიც მისაღებია მოცემული ქვეყნის მოქალაქეთათვის“ (გვ. 146). „ლეგიტიმურობა - ფართო აზრით ნიშნავს სოციალური წესრიგის, მოქმედების, მოქმედი პირის ან ხდომილების აღიარებასა და გამართლებას, უფრო ზუსტად მათი კანონიერების რწმენას. ხშირად მას უპირისპირებენ ლეგალიობას (მაგ., კ. შმიდტი), როგორც საკუთრივ კანონიერს, ანუ იმას, რაც გამოხატულია იურიდიული ნორმებით (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004)“.

2012 წლის 28 თებერვალი

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, 2012 წლის 28 თებერვალს ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვრცელი ანგარიშით წარსდგა საქართველოს პარლამენტის წინაშე (ანგარიშის ტექსტი შედგება 5280 სიტყვისგან). მომხსენებელი მსმენელის დამოკიდებულების ჩამოყალიბების, გამყარების ან შეცვლის მიზნით მიმართავს სხვადასხვა ენობრივ საშუალებას. მათ შორის გამოირჩევა ანტითეზისის, გამეორებისა და მეტაფორის ხშირი გამოყენება, კონცეპტუალური რეპრეზენტაციების წარმოდგენა. ვფიქრობ, რომ სწორედ ენობრივი საშუალებებით ახერხებს მომხსენებელი გადადგმული ნაბიჯებისა და ქვეყნის არსებული პოლიტიკური კურსის ლეგიტიმაციას. პრეზიდენტის სიტყვა ეთმობა ქვეყნის მდგომარეობის აღწერას (2012 წლის მონაცემებით) და მომავალში გადასადგმელი ნაბიჯების მიმოხილვას. ანგარიშის ტექსტი შემდეგ ნაწილებად დაყავით: მისაღმება, I ნაწილი - საქართველო 8 წლის წინ და ახლა, II ნაწილი - 5 პუნქტიანი გეგმა და დასკვნა.

მისაღმება

დამარწმუნებელ კომუნიკაციას მომხსენებელი დასაწყისშივე, მისაღმებიდანვე უზრუნველყოფს. (მისაღმება: „ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე...საკუთარ სამშობლოს“ - 92 სიტყვა). მისაღმების ნაწილი არის ემოციურად დატვირთული, რასაც განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი: წინადადებათა თანმიმდევრობა, რომელსაც ძირითად შეტყობნებამდე მივყავართ,

გამომსახველობითი ლექსიკური არჩევანი და მომხსენებლის მიერ კონტექსტის გათვალისწინება:

„ვესალმები მათ, ვინც საქართველოშია და მათ, ვინც საქართველოს საზღვრებს გარეთ იმყოფება. განსაკუთრებით ვესალმები იმ ვაჟკაცებს, რომლებიც დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში საქართველოს სახელით იცავენ კაცობრიობისა და სამშობლოს ინტერესებს“.

ცნობილია, რომ საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლისას სიტუაციის გათვალისწინება დარწმუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. დარწმუნებაზე საუბრისას ჰერბერტ საიმონსი აღნიშნავს, რომ სანამ დარწმუნებას შევძლებთ, უნდა შევაფასოთ არსებული ვითარება და ჩვენთვის სასურველი მდგომარეობა. ასევე, უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ ვინ არის ჩვენი აუდიტორია და რა არის მისთვის მნიშვნელოვანი. ავტორის მიხედვით, მომხსენებელმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხო, რას მოელოს მსმენელი მისგან მოცემული სიტუაციის გათვალისწინებით, მომხსენებელი უნდა იყოს „situation sensitive“ (Simons et al., 2001)

საქართველო NATO-ს სამხედრო ოპერაციის, საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების (ISAF) მონაწილე ქვეყანაა. ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს სამხედრო მოსამსახურეები ISAF-ის მისიაში პირველად 2004 წელს გაგზავნა. ჩვენი საკვლევი ტექსტი საქართველოს პარლამენტში გაუღერდა 2012 წლის 28 თებერვალს. სწორედ 2012 წლის თებერვლის ბოლოს ავღანეთში აღნიშნული მისიის შესრულებისას საქართველოს სამი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. მომხსენებელმა თავისი სიტყვის პირველივე ნაწილში ასახა საკუთარი დამოკიდებულება აღნიშნული ტრაგედიის მიმართ. შექმნილი გარემოება განსაზღვრავდა მსმენელის მოლოდინს, რომ ქვეყნის პირველი პირი ზემოაღნიშნულ თემას თავის სიტყვაში გარკვეულწილად გამეხმაურებოდა (მომხსენებლის მხრიდან საკითხის უგულებელყოფა გამოიწვევდა მსმენელის მოლოდინის გაცრუებას).

საინტერესოა, რომ მომხსენებელმა საკითხის გაუღერებისას გამოიყენა არგუმენტის მარტივი სქემა, რაც ძირითადი შეტყობინების მსმენელამდე მიტანას შუეფერხებლად უზრუნველყოფს:

მტკიცება (claim): „საქართველოს სახელით მებრძოლი დაღუპული ვაჟკაცების სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი ქვეყნის იტორიის ფურცლებზე“.

ამ მტკიცების გამამყარებელი მსჯელობა/წინამძღვრება:

„რადგან თავიანთი თავდადებით ისინი იცავდნენ, აძლიერებდნენ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს და წარმატების პერსპექტივას აძლევდნენ საკუთარ სამშობლოს.“

ტექსტს მოჰყვება მომხსენებლის თხოვნა, წუთიერი დუმილით დაღუპული გმირებისადმი პატივისცემის გამოხატვის შესახებ.

ვფიქრობ, რომ მოცემულ მისაღმებაში ასახულია მომხსენებლის პოლიტიკურ კურსი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოების შესახებ. საჯარო სიტყვის ამ ნაწილით მომხსენებელი აღნიშნული კურსის მიმართ საზოგადოების დადებით განწყობას და რწმენას აყალიბებს. დაღუპული მებრძოლების მიმართ პატივისცემა არის დამოკიდებულება, რომელსაც საზოგადოება სრულად იზიარებს. ამ დამოკიდებულების გაზიარებასთან ერთად ხდება ქართველი მებრძოლების ISAF-ის მისიაში ჩართულობისადმი ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაც.

მომხსენების ამ საკმაოდ მცირე ნაწილში გვაქვს ძლიერი რეპრეზენტაცია: **ქვეყნის წარმატების პერსპექტივა**, რომელსაც ქართველი მებრძოლები აძლევენ საკუთარ სამშობლოს. მომხსენებელი მაღალი სტილით, ემოციურად ასრულებს მისაღმებას. მსმენელი, უდავოდ, იზიარებს დაღუპული მებრძოლების მიმართ პატივის მიგებას და ამასთან ერთად იზიარებს იმპლიციტურად წარმოდგენილ პოლიტიკას: საქართველოს ISAF-ის მისიაში მონაწილეობა ხელს უწყობს ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებას, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, არის წარმატების პერსპექტივა.

ვფიქრობ, რომ მომხსენებლის მისაღმებაში წარმოდგენილი დამარწმუნებელი კომუნიკაცია, კერძოდ - არგუმენტი იმპლიციტურად ემსახურება საზოგადოებაში საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოების შეხედულების განმტკიცებას.

ნაწილი I – საქართველო 8 წლის წინ და ახლა

სიტყვის ამ ნაწილში მომხსენებლის კომუნიკაციის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მსმენელის დარწმუნება ვარდების რევოლუციის შედეგად მიღებულ პროგრესში და არებული ხელისუფლების დემოკრატიულობაში. აბზაცი ვარდების რევოლუციის შესახებ არ შეიცავს ჩვენთვის საინტერესო არგუმენტაციულ სქემებს. იგი, ძირითადად, გაჯერებულია სტილისტური

ხერხებით: ანტითეზისით, ეპითეტებით, მეტაფორით. თუცა, ვფიქრობ, რომ ძირითადი ენობრივი საშუალება, რითაც მომხსენებელი მსმენელის შეხედულების ჩამოყალიბებას ცდილობს, არის ანტითეზისი:

„მისი (ვარდების რევოლუციის) მიზანი იყო, კლანური დიქტატურა შეგვეცვალა ნამდვილი დემოკრატიითა და თანასწორობით, ტოტალური კორუფცია ჩაგვენაცვლებინა კანონის უზენაესობით, უფსკრულში გადაჩეხილი, არშემდგარი ქვეყანა დაგვებრუნებინა განვითარების გზაზე და, რაც მთავარია, როგორმე გაგვეფანტა უპერსპექტივობის შავი ღრუბლები და იმედის სხივებით გაგვენათებინა მომავალი“.

მაშასადამე, გვაქვს ვარდების რევოლუციამდელი საქართველოს სურათი: დიქტატურა, კორუფცია, შავი ღრუბლები, არშემდგარი ქვეყანა რომელსაც უპირისპირდება დღევანდელი საქართველოს აღწერა: კანონის უზენაესობა, დემოკრატია, თანასწორობა.

გამომსახველობით სიმძაფრეს აძლიერებს მეტაფორული ეპითეტები: **“ტოტალური კორუფცია... უფსკრულში გადაჩეხილი ქვეყანა”**.

ცნობილია, რომ საქართველოს მოსახლეობის პროტესტი იმუამინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მთავრობის მიმართ, სხვა მრავალ ფაქტორთა შორის, გამოიწვია სწორედ კორუფციამ და უთანასწორობამ. შაზოგადობის უკმაყოფილებას მოჰყვა „ვარდების რევოლუცია“ 2003 წლის 23 ნოემბერს. წარსულის კონტრასტული წარმოდგენა ძლიერი მეტაფორებით ვფიქრობ, კვლავ ემსახურება მსმენელის დამოკიდებულების გამყარებას (**Response reinforcing**). მომხსენებელი (არაერთხელ) მიუთითებს იმის შესახებ, რომ კარგად აქვს გააზრებული ანგარიშგაღებულების მნიშვნელობა საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინაშე:

„ჩვენი დემოკრატიისა და წინსვლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ თქვენ მუდმივად მოითხოვოთ პასუხი ხალხისთვის მიცემული ყველა დაპირების შესრულებაზე“.

განცხადებას მოჰყვება მის მიერ ვრცლად წარმოდგენილი დანაპირების შედეგები. ჩვენთვის საინტერესოა, დავაკვირდეთ წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილ მსჯელობას, მომხსენებლის მიერ გამოყენებულ სქემებს და მსმენელის / ინფორმაციის მიმღების დარწმუნების სხვადასხვა ლინგვისტურ საშუალებებს. შევეცდებით, რომ ანგარიშის პირველ ნაწილში გამოვარჩიოთ პრაქტიკული არგუმენტი, თავისი შემადგენელი ნაწილებით: ძირითადი

მტკიცებით, მიზნით, არსებული მდგომარეობის ასახვით, მიზნის უკან მდგომი ფასეულობებით და დასახული მიზნის შესრულების პირობებით (Means- Goal).

არგუმენტი №1

(ტექსტი: „ამის მიუხედავად, დღეს, ისე როგორც არასოდეს რომ საქართველო ისევ წინ მიდის. 438 სიტყვა, ანგარიშის პირველი ნაწილი).

მტკიცება - სიტყვის ამ ნაწილის ძირითადი შეტყობინებაა, რომ საქართველო ისევ იწყებს წინსვლას. საინტერესოა, რომ ამ განცხადებას წინ უსწრებს მისი ვრცელი პერეფრაზი - მაღალმხატვრული სტილითა და მეტად გამომსახველობითი ლექსიკური ერთეულებისაგან შემდგარი აბზაცი. იგი მეტ ემოციურ დატვირთვას აძლევს მომხსენებლის ძირითად მტკიცებას (claim).

„დღეს, ისე როგორც არასოდეს უკანასკნელი ასწლეულების განმავლობაში, ვგრძნობთ, რომ ყინული დაიძრა, რომ ნავსი ტყდება. რა თქმა უნდა, ჯერ არ მივსულვართ იქ, სადაც გვინდა ყოფნა, მაგრამ ჩვენ ყველამ ერთად შევქმენით მომენტი დიდხანს ნანატრი შესაძლებლობისა, რომელიც ახლა ყველამ ერთად უნდა გამოვიყენოთ.“

მიზანი: მომხსენებელი არ აყალიბებს კონკრეტულ მიზანს და წარმოადგენს ნანატრი მომავლის შესახებ ზოგად ხედვას, რომ ყველას გვინდა “მისვლა იქ, სადაც გვინდა ყოფნა”.

არსებული მდგომარეობის ასახვა: მომხსენებლის მიხედვით, აწმყო არის ოპტიმისტურად წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ აწმყოს აღწერის დროს იგი კვლავ იმეორებს არგუმენტის ძირითად მტკიცებას (მოგვიანებით ვისაუბრებთ ასეთ მოვლენაზე). ასახულია ქვეყნის პროგრესი და აღიარება საერთაშორისო დონეზე:

„ჩვენ მივიპყართ მსოფლიოს ყურადღება - როგორც პლანეტის ერთ-ერთმა საუკეთესო ქვეყანამ ბიზნესის კეთების სიმარტივით და უბრალოდ დასასვენებლად ჩამოსასვლელად. გასული ორი წლის განმავლობაში 100 ათასზე მეტი ახალი ბიზნესი დარეგისტრირდა საქართველოში, ვიზიტორების რაოდენობამ კი 3 მილიონს მიაღწია - ეს ყველაფერი ნიშნავს უფრო მეტ ბიზნეს შესაძლებლობებს ჩვენი ხალხისთვის და რა თქმა უნდა, მეტ სამუშაო ადგილს“.

აწმყოს დამადასტურებელი მსჯელობა/ **ნარატივი №1:** ნათქვამის გამყარება ხდება სტატისტიკური მონაცემების მოყვანით, კვლავ წარსულთან შეპირისპირების გზით:

„გასულ წელს იგი თითქმის 7 პროცენტით გაიზარდა, რაც, უდავოდ, სასურველზე ნაკლებია, მაგრამ უფრო მეტია, ვიდრე მთელი დასავლეთის ქვეყნებში და ჩვენი რეგიონის უმეტესობაში, ასევე ორჯერ მეტი ვიდრე რუსეთში...“

საინტერესოდ მიმაჩნია, ყურადღების გამახვილება ტექსტში წარმოდგენილ მომდევნო რეპრეზენტაციაზე: **პასუხისმგებლობა/ ანგარიშგაღებულება/შესრულებული დანაპირები.** მომხსენებელი არაერთხელ მიუთითებს, რომ გრძნობს უდიდეს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. მაგალითისთვის, სიტყვის დასაწყისში იგი აღნიშნავს, რომ „კიდევ ერთხელ“ წარსდგა აუდიტორიის წინაშე და „ჩააბარა ანგარიში“ საზოგადოებას. ამ გზით იგი მსმენელს არწმუნებს, რომ არის მის სამსახურში: არაერთხელ „ჩაუბარებია“ (და არა, მაგალითად, წარუდგენია) ანგარიში. მომხსენებლის პასუხისმგებლობის გრძნობა გამოსახულია მის მიერ თანმიმდევრულად გაუღერებულ დანაპირებთა შესრულებაში.

წარმოდგენილი მდგომარეობის დამადასტურებელი მსჯელობა/ **ნარატივი №2** 2012 წლის საანგარიშო ტექსტის მომდევნო ნაწილში (როდესაც შარშან ამ ტრიბუნიდან მოგმართეთ... უფრო ფართო მასშტაბით ხორციელდება. **274 სიტყვა**) პუნქტობრივად არის წარმოდგენილი წინა წლის ანგარიშის დაპირებები და მოცემული დროისთვის არსებული შედეგები. ტექსტის ეს ნაწილი არის მეტად დინამიური (აქ მომხსენებელი აღარ მიმართავს მახალმხატვრულ სტილსა) სჭარბობს პროგრესის, განვითარების, შენების, ამოქმედებების, დაპირების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები. შთამბეჭდავად არის გამოყენებული დარწმუნების სტრატეგია - გამეორება: სამი აბზაცი იწყება ფრაზით „შარშან მე დაგპირდით, რომ“. წინადადებებს აქვთ მეტ-ნაკლებად მსგავსი სინტაქსური აგებულება. მაგალითად:

„შარშან მე დაგპირდით, რომ 2015 წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციას გავაორმაგებდით. დღევანდელი მონაცემებით სოფლის მეურნეობის სექტორი უკვე დაახლოებით 35 პროცენტით არის გაზრდილი. შარშან მე დაგპირდით, რომ 2015 წლისათვის ჩვენი მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი იქნება გაზიფიცირებული. დღეისათვის ეს მაჩვენებელი 55 პროცენტია...“

ტექსტის ამ ნაწილში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის მაჩვენებლები, ციფრები, პროცენტული მონაცემები. აღნიშნული სტატისტიკა, მომხსენებლის

ხედვით, გაამყარებს გაუღერებულ განცხადებებს. იგი ამ გზით ცდილობს მსმენელის ნდობის მოპოვებას, რაც რიტორიკის თვალსაზრისით, დარწმუნების ერთ-ერთი უპირველესი წინაპირობაა. მსჯელობა არ ეხება მომავალში გადასადგმელ ნაბიჯებს და შესაბამისად, პრაქტიკული არგუმენტაციისათვის დამახასიათებელ დისკუსიას მომავალში გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ არ შეიცავს. იგი უფრო მეტად უკავშირდება წარსულში გადადგმულ ნაბიჯებს და არსებული ხელისუფლების ქვეყნის სათავეში ყოფნის **ლეგიტიმაციას**. მომხსენებლის მიხედვით, ვარდების რევოლუციას და ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლას მოჰყვა პროგნოზი, დინამიკა, ახალი ღირებულებები. სიტყვაში ფაქტობრივად არ არის ალტერნატიული ხედვა, კონტრ-არგუმენტი, განსხვავებული შეხედულება წარმოდგენილი. იგი ცალსახად ამტკიცებს ვარდების რევოლუციის შემდგ არსებული ხელისუფლების დემოკრატიულობას, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და სწრაფ, დინამიურ პროგრესს.

ეფიქრობ, რომ დამარწმუნებელი ეფექტის მისაღწევად მოცემულ მონაკვეთში მომხსენებელი აქტიურად მიმართავს ენობრივ საშუალებებს: საგულდაგულოდ შერჩეული სინტაქსური სტრუქტურითა და ლექსიკური ერთეულებით, ჰიპერბოლით, მეტაფორებით, შეპირისპირებით, გამეორებით ცდილობს, დანერგოს **პროგრესისა და წარმატებული გარემოს რწმენა** მსმენელში. მაგალითად, წარმოდგენილი ზმნები აწმყო დროში, უსრული ასპექტი მეტ დინამიურობას ქმნის: ნავსი ტყდება, საქართველო იწყებს წინსვლას, ეკონომიკა უკვე სტაბილურად იკრებს ძალასა და სისწრაფეს; მომხსენებელი ხშირად მიმართავს **გაზვიადებას**: „ისე, როგორც არასოდეს უკანასკნელი ასწლეულების განმავლობაში“, „ჩვენ მივიპყარით მსოფლიოს ყურადღება“, „პლანეტის ერთ-ერთმა საუკეთესო ქვეყანამ“;

საიტერესოა, რომ 438 სიტყვისაგან შემდგარ მონაკვეთში არსებული მდგომარეობის ამსახველი უარყოფითი კონოტაციის შემცველი ფრაზები შემოიფარგლება შემდეგით:

„მიუხედავად ბევრი პრობლემისა, თუნდაც ბოლო დროს საწვავზე ფასების მკვეთრი ზრდისა..“ ალტერნატიული მოსაზრებები სრულად არის უგულვებელყოფილი.

ნაწილი II – ხუთ პუნქტიანი გეგმა

(მომხსენებელი სიტყვის ამ ნაწილში პუნქტობრივად აყალიბებს პრიორიტეტებს: დასაქმება, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, პოლიტიკური და სამოქალაქო წარმატება, ქვეყნის უსაფრთხოება).

პუნქტი №1 დასაქმება (ანგარიშის ტექსტი: „მაგრამ ფაქტია, რომ უამრავი ჩვენი თანამოქალაქე... - ეს არის ჩვენი რეფორმების მიზანიც“. 1463 სიტყვა). მონაკვეთი შეიცავს ყველაზე მეტ სიტყვას – ვფიქრობ, რომ დასაქმების თემაზე ქვეყნის პირველი პირი ყველაზე მეტად ამახვილებს ყურადღებას. იგი ერთის მხრივ, საუბრობს იმ მოსახლეობის სახელით, ვინც ყოველდღიურად ეკონომიკურ სიღუბეშია და უამრავ სოციალურ პრობლემას აწყდება. მეორეს მხრივ საკითხის განიხილვა კვლავ პროგრესთან და ძალზედ წარმატებული ქვეყნის კონცეპტთან შეპირისპირებით ხდება. ანალოგიური სტრატეგიაა გამოყენებული 2011 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სადაც ადრესანტი ემოციურად აღწერს მძიმე სოციალურ ფონს და არგუმენტის ფორმით ავითარებს აღწერილი სოციალური პრობლემის საპასუხო, ოპტიმისტურ მსჯელობას. 2012 წლის ანგარიშის ჩვენს მიერ პირობითად დაყოფილი ტექსტის მეორე ნაწილში, სანამ გამოიკვეთება არგუმენტის მთავარი მტკიცება, მოცემული გვაქვს ვრცელი ნარატივი, სადაც ხშირად მეტად ცხადად და ზოგჯერ კი ირიბად მეორდება სიტყვის პირველ ნაწილში გაუღერებული მტკიცება: „საქართველო ისევ იწყებს წინსვლას“. გაუღერებელია ოთხი სტრუქტურულად იდენტური აბზაცი, მაგალითისთვის:

„დღეს ჩვენ გვყავს ათობით ათასი შრომისუნარიანი, განათლებული მოქალაქე, რომელსაც უნდა მუშაობა, მაგრამ ვერ ახერხებს სამუშაოს პოვნას და სამართლიანად სვამს კითხვას: რაში მარგია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროცენტები და მიმზიდველი ბიზნესგარემო თუ პირადად ჩემთვის მაინც არ მოიძებნება სამსახური?“

მომხსენებელი გამოხატავს, რომ მისთვის არ არის უცნობი აღნიშნული სოციალური პრობლემა, ამის დასამტკიცებლად იგი სწორედ იმ შეკითხვას სვამს, რომელსაც უმუშევრობით შეწუხებული ადამიანი დასვამდა, მაგრამ შეკითხვა იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ იგი (ირიბად) კვლავ ემსახურება მსმენელის შეხედულების (დამოკიდებულების) ჩამოყალიბებას (attitude shaping): ქვეყანას აქვს ეკონომიკური ზრდა, რომელიც ასახულია პროცენტებში, ქვეყანაში არის მიმზიდველი გარემო საქმიანობისათვის.

ცნობილია, რომ შეხედულების ჩამოყალიბება ამგვარი ენობრივი საშუალებებით, **პრესუპოზიციით** ძალიან ძლიერია და შესაძლოა, უფრო მეტად ეფექტიანი იყოს, ვიდრე პირდაპირ რაიმე მტიცების გაუღერება. ამავე ნარატივში იკვეთება **სამართლიანობის რეპრეზენტაციაც**. სოციალურ პრობლემებზე მოსახლეობის სახელით შეკითხვების დასმა, უმუშევრობისა და გაჭირვების აღიარება მიუთითებს იმაზე, რომ მომხსენებელი ცდილობს, მდგომარეობა სამართლიანად შეაფასოს. ამასთან, იგი აღნიშნავს: „თითოეული მათგანი (მოსახლეობა) სრულიად სამართლიანად სვამს ასეთ შეკითხვებს და მე ყველა ამ ადამიანის მესმის.“ შემდგომ წარმოდგენილია კიდევ ერთი პრესუპოზიცია:

“მათი მდგომარეობა ხაზს უსვამს ჩვენს უმთავრეს მოვალეობას - ვიზრუნოთ არა მარტო ქვეყნის განვითარებაზე არამედ იმაზე, რომ გაფართოვდეს ამ განვითარებით მოსარგებლე მოქალაქეების წრე“.

მსგავსი სტრუქტურული აგებულებისაა მომდევნო ორი აბზაცი. ვნახეთ, რომ მომხსენებელი სინტაქსური აგებულებისა და ლექსიკური ერთეულების გამეორებას ხშირად მიმართავს. ვფიქრობ, ამით ცდილობს, ხელი შეუწყოს მსმენელის / ინფორმაციის მიმღების გონებაში გარკვეული შეხედულების გაზიარებას და დამახსოვრებას.

საინტერესოდ მიგვაჩნია, გაგაანალიზოთ სიტყვის მომდევნო შემდეგ ნაწილში წარმოდგენილი პრაქტიკული არგუმენტი.

ზოგადი მტკიცება (General claim)/რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას: „ჩვენ უნდა შევქმნათ არა მარტო უფრო მდიდარი ქვეყანა, არამედ უფრო ფართო წრე ხალხისა, ვინც ქვეყნის სიმდიდრით იხეირებს, უფრო ფართო წრე განვითარებული სოფლებისა, უფრო ფართო წრე ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა, უფრო ფართო წრე სამოქალაქო ჩართულობისა და უფრო ფართო წრე ოპტიმიზმისა და წარმატებისა“.

აბზაცი შეიცავს **პრესუპოზიციას**, რომელიც იქმნება ლექსიკური ერთეულით - **უფრო**. შედარებითი ხარისხი მიუთითებს, რომ სახეზე არის მდიდარი ქვეყანა, ხალხი, ვინც სიმდიდრით უკვე ხეირობს, განვითარებული სოფლები და მეორეს მხრივ - საჭიროება ყოველივე ამის გაფართოებისა. კომუნიკაციის დამარწმუნებელ ეფექტს ზრდის **გამეორება**. (საინტერესოა, რომ დასაქმებასთან დაკავშირებულ ნაწილში სიტყვა „უფრო“ 26-ჯერ არის გამოყენებული).

მიზანი: „იმ ადამიანების დასაქმება, რომელთაც დღეს შეუძლიათ და უნდათ მუშაობა, მაგრამ ვერ ახერხებენ სტაბილური სამსახურის პოვნას“.

მოგვიანებით მოხსენებელი წარმოგვიდგენს მიზნის უფრო მაღალმხატვრულ პერეფრაზს:

„მიზანი მარტივია - ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს შვილებს ჩვენზე უკეთესი ცხოვრება ჰქონდეთ, უფრო დაცული და უფრო წარმატებული, რომ მათ ჰქონდეთ უფრო მეტი შესაძლებლობა და უკეთესად შეეძლოთ ამ შესაძლებლობების გამოყენება; რომ მათი ცოდნა და მონდომება უფრო მეტად ფასდებოდეს და იოლად შოულობდნენ დამსახურებისა და ცოდნის მიხედვით სასურველ სამსახურს“.

(3.6 ქვეთავში აღვნიშნეთ, რომ სწორედ უკეთესი მომავალი არის 2011 წლის პრაქტიკული არგუმენტაციული მსჯელობის მიზანი: „ჩემი პრეზიდენტობა ეძღვნება მათი (ქვეყნის მოსახლეობის) ცხოვრების გაუმჯობესებას, მათი პრობლემების შემსუბუქებას, მათი ოჯახების და შვილების უკეთეს ხვალისდელ დღეს).

არსებული ვითარება: კვლავ სახეზეა წინსვლის პროცესი, ჩვენ ახალ საქართველოს ვაშენებთ. წარმოდგენილია იმედის მომცემი, ოპტიმისტური ნარატივი, რომელშიც სჭარბობს წინსვლის, სწრაფი ტემპის, ზრდის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები. მოყვანილია შთამბეჭდავი სტატისტიკური მონაცემები, ხაზგასმულია ტურისტთა რაოდენობის მატებასა და დასაქმების გაზრდის პერსპექტივებთან პირდაპირი კავშირი:

„ფაქტია, რომ ყოველი მორიგი მილიონი ტურისტი 15 ათას ახალ სამუშაო ადგილს ქმნის ჩვენს ქვეყანაში“.

მომდევნო ტექსტის მიხედვით, ტურისტთა რაოდენობის ზრდა კვლავ დღის წესრიგშია. დასახულია მრავალი სამუშაო ადგილის შექმნის პერსპექტივა. ამასთან, აღნიშნულია მოქალაქეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებლობის შესახებ:

„სამუშაო ადგილის შექმნა ყოველთვის არ ნიშნავს ადამიანის დასაქმებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის სამუშაო ადგილი ხელმისაწვდომია ადამიანისთვის, მაგრამ იგი ვერ ახერხებს ვაკანსიის შევსებას, რადგან არ გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია. ამის გამო ზოგჯერ საქართველოს მოქალაქე საკუთარ ქვეყანაშიც კი ვერ ახერხებს, უცხოელისთვის კონკურენციის გაწევას“.

კონკრეტული მტკიცება/რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას: უნდა ავიმადლოთ კვალიფიკაცია.

კონკრეტული მტკიცებაში მომხსენებელი საუბრობს იმ ნაბიჯებზე, რაც უნდა გადაიდგას მიზნის მისაღწევად. ტექსტის ეს ნაწილი (ასეთ დროს ერთადერთი გამოსავალია...დიდი მოთხოვნაა ბაზარზე. 62 სიტყვა) გამოიჩენს თავისი დამრიგებლობითი და წამახალისებელი ტენდენციით. ტრადიციისამებრ, გვხვდება გამეორება (ჩვენ თვითონ), გაზვიადება (ერთადეთი გამოსავალი), მოწოდება (ვიყოთ უფრო მაგარი მშენებლები, უნდა გვესმოდეს). საინტერესოა, რომ აქვე უდერდება რჩევა არამხოლოდ კვალიფიკაციის ამადლების, არამედ ახალი საქმის დაუფლების შესახებ.

მიზნის შესრულების პირობა (Means goal) - საზოგადოების მხრიდან: კვალიფიკაციის ამადლებაზე ზრუნვა. სახელმწიფოს მხრიდან: პროფესიული გადამზადების სისტემის რეფორმის განხორციელება; „პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის” პროგრამის განხორციელება, სტუდენტების დასაქმების ერთთვიანი პროგრამის განხორციელება. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიზნის მისაღწევად ზემოაღნიშნული ნაბიჯი არ იქნება საკმარისი და აქვე აყალიბებს შემდეგ **მტკიცებას:** უნდა განვაითაროთ განათლების სისტემა. მტკიცებას მოჰყვება მისი განხორციელების საშუალება (**Means goal**): სკოლების მშენებლობა-გარემონტება, მათი საერთაშრისო სტანდარტებთან მიახლოება. იგი გამყარებულია ნარატივით. ექვსი აბზაცისგან შემდგარი ტექსტის ყოველი აბზაცი იწყება სიტყვით “ამიტომ”, რაც ბუნებრივია, ტექსტს ემოციურ ელფერს ჰმატებს. ვფიქრობ, როგორც აღნიშნული გამეორებით და ასევე, კონკრეტული ციფრების წარმოდგენით (როგორცაა მაგალითად, 23 ახალი სკოლა, 11 ათასი ახალი კომპიუტერი, 7 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერი) მომხსენებელი ცდილობს, დაარწმუნოს მსმენელი, რომ განათლების სისტემის განვითარებას ხელისუფლება შეძლებს. საინტერესოა, რომ ამ არგუმენტშიც ფასეულობად გვევლინება რეფორმა.

ზემოთ წარმოდგენილი პრაქტიკული არგუმენტის სქემა:

ზოგადი მტკიცება (General claim for action):
 უნდა შეექმნათ უფრო ფართო წრე ხალხისა, ვინც ქვეყნის სიმდიდრით იხეირებს.

კონკრეტული მტკიცება / რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას №1
 უნდა ავიმაღლოთ კვალიფიკაცია

კონკრეტული მტკიცება / რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას №2
 უნდა განვავითაროთ განათლების სისტემა

მიზანი - იმ ადამიანების დასაქმება, რომელთაც დღეს შეუძლიათ და უნდათ მუშაობა, მაგრამ ვერ ახერხებენ სტაბილური სამსახურის პოვნას.

არსებული მდგომარეობა
 სახეზეა წინსვლის პროცესი, ჩვენ ახალ საქართველოს ვაშენებთ

მიზნის შესრულების საშუალება №1 (Means goal)
 პროფესიული გადამზადების სისტემის რეფორმა, “პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის” პროგრამა, სტუდენტების დასაქმების ერთთვიანი პროგრამა

მიზნის შესრულების საშუალება №2 (Means goal)
 სკოლების მშენებლობა – გარემონტება
 სკოლების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება

ღირებულება/ Value:
 რეფორმა

ეს სქემა ნამდვილად არის პრაქტიკული არგუმენტის შემადგენლობის მართალია, მასში არ არის ასახული განსხვავებული მსჯელობა, რაიმე სახის კონტრ-არგუმენტი გათვალისწინებული და განსხვავებული მოსაზრებაზე პასუხის გაცემული, მაგრამ მას პრაქტიკული არგუმენტის ძირითადი ნაწილები აქვს. კრიტიკული დისკურსის ანალიზის (CDA) მეკვლევაში მოცემულ პრაქტიკულ მსჯელობას აუცილებლად დაუსვამს შემდეგ კითხვებს: დასახულ მიზნებს

ნამდვილად მივყავართ იმ მტკიცებამდე (Claim), რომელიც მსჯელობის დროს მომხსენებელმა გააუღერა? მიზნის მისაღწევად მსჯელობის დროს განსაზღვრული ნაბიჯების გადაღმა ნამდვილად აუცილებელია? მოქალაქეთა კვალიფიკაციის ამაღლება და განათლების სისტემის განვითარება არის აუცილებელი, ყველაზე პრიორიტეტული ნაბიჯი უმუშევრობის დასაძლევად? შესაძლოა, აღნიშნული ნაბიჯები იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი შრომისუნარიანი მოსახლეობის დასასაქმებლად, მაგრამ არ იყოს საკმარისი ან ყველაზე პრიორიტეტული. კრიტიკული დისკურსის ანალიზის (CDA) ფარგლებში სქემაზე გამოსახულ თითოეულ ნაწილს დაესმება კითხვები. განიხილება მათი ურთიერთკავშირის გონივრულობა. შეფასდება, ისიც, არის თუ არა არსებული მდგომარეობა წარმოდგენილი ობიექტურად მომხსენებლის მიერ.

პუნქტი №2 სოფლის მეურნეობა

(ანგარიშის ტექსტის ნაწილი: „ჩვენი გეგმის მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია...ფერმერის უკეთესი ცხოვრებისთვის“. 370 სიტყვა)

ანგარიშის ტექსტის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილ მსჯელობას აქვს მკაფიო სტრუქტურა: მიზანი და სამი მტკიცება იმის შესახებ თუ რა ღონისძიების გატარებაა საჭირო მიზნის მისაღწევად (Claim for action). სამივე მტკიცებას ახლავს საკუთარი ე.წ. Means Goal. პირველი პუნქტისაგან განსხვავებით, მომხსენებელი არ საუბრობს ამ დარგში არსებულ მიმდინარე ვითარებაზე, არ აღწერს, თუ რა მდგომარეობაა სიტყვის წარმოთქმის დროს ან რა ღონისძიებები გატარებულა წარსულში სოფლის მეურნეობის მიმათულებით. მსჯელობა ვითარდება მხოლოდ მომავალი დროის გამოყენებით. ყოველი Means Goal იწყება სიტყვით „ამიტომ“ (ენობრივი საშუალება, რომელსაც მომხსენებელი ხშირად მიმართავს) და იქმნება ჯაჭვი მტკიცებებსა და Means Goal-ებს შორის. შედეგად, ტექსტი ხდება მეტად თანმიმდევრული და დინამიური და ვფიქრობ, სწორედ ამ გზით ცდილობს მომხსენებელი დამარწმუნებელი კომუნიკაციის შექმნას ანგარიშის ამ ნაწილში. მოცემულია მომავალში ღონისძიებთა შესრულების ვადები და მასშტაბები.

მიზანი: სოფლის მეურნეობის სისტემის შექმნა, „რომელიც ყველა შრომისმოყვარე სოფლის მეურნეს საშუალებას მისცემს საკუთარ ოჯახში, საკუთარ კარმიდამოში იგრძნოს ქვეყნის წინსვლა“.

მტკიცებებს აერთიანებთ ერთი ძირითადი, ზოგადი მტკიცება/ მოწოდება მოქმედებისკენ: უნდა გავაფართოვოთ წარმატებულ ფერმერთა წრე. მიზნისა და ძირითადი მტკიცების გაუღერებისას გამოყენებულია პრესუპოზიცია: ქვეყანაში უკვე არსებობს წარმატებულ ფერმერთა გარკვეული წრე. საჭიროა ამ წრის გაფართოვება. ქვეყანა მიდის წინ. საჭიროა, რომ ყველა შრომისმოყვარე სოფლის მეურნემ იგრძნოს ეს.

მტკიცება (Claim for action) № 1: საჭიროა მიწის დამუშავება და მორწყვა;

Means Goal №1: „ამიტომ დღეს ვაცხადებ საქართველოს ერთიანი საირიგაციო სისტემის განვითარების პროგრამას“.

მტკიცება (Claim for action) №2: საჭიროა მექანიზაცია (რადგან დღევანდელი მონაცემებით მასშტაბები არასაკმარისია).

Means Goal № 2.1 „ამიტომ 2012 წელს გაიხსნება მექანიზაციის 12 ცენტრი“

Means Goal № 2.2 „ამიტომ უახლოესი 3 კვირის განმავლობაში ჩვენ შევიძენთ 250 ახალ ტრაქტორსა და 400 მისაბმელ აგრეგატს“;

Means Goal № 2.3 ამიტომ ამ წლის 1 ივნისამდე მექანიზაციის ყველა ცენტრი ჯამში აღჭურვილი იქნება 563 ერთეული ტრაქტორით, 50 ერთეული კომბაინით, 22 ერთეული სპეცტექნიკით და 1470 ერთეული გუთანითა და ტრაქტორზე მისაბმელი სხვა ტექნიკით - რაც მთავარია ეს ყველაფერი რომელიც ადვილად ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული ფერმერებისათვის - ისევე, როგორც ხელმისაწვდომი იქნება მექანიზატორების კონსულტაციები და დახმარება;

ვხედავთ, რომ ზემოაღნიშნულ მტკიცებას / მოწოდებას იმის შესახებ, რომ წარმატებული სოფლის მეურნეობის სისტემის შესაქმნელად პირველ რიგში საჭიროა მიწის მორწყვა და მექანიზაცია, მოჰყვება მიღებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი: გასარწყავდება, მოხდება რეაბილიტაცია, შევიძენთ, აღჭურვილი იქნება. ასევე მრავლად არის წარმოდგენილი ციფრები. მსგავსი სტრუქტურისაა მომდევნო აბზაცებიც.

მტკიცება №3: საჭიროა სოფლის მეურნეობისთვის საჭირო თანამედროვე ცოდნის დაუფლება.

Means Goal №3.1: ამიტომ 6 მექანიზაციის ცენტრს ასევე მიენიჭება მოსავლიანობის ცენტრების ფუნქცია. ამ ცენტრებში ნებისმიერი ფერმერი შეძლებს მიიღოს მექანიზატორის კონსულტაცია და დახმარება.

წარმოდგენილი პრაქტიკული არგუმენტის სქემა, პუნქტი №2 სოფლის მეურნეობა

ძირითადი მტკიცება / რა უნდა გაკეთდეს
გაფართოვდეს წარმატებულ ფერმერთა წრე

მიზანი: სოფლის მეურნეობის სისტემის შექმნა, „რომელიც ყველა შრომისმოყვარე სოფლის მეურნეს საშუალებას მისცემს საკუთარ ოჯახში, საკუთარ კარმიდამოში შეიგრძნოს ქვეყნის წინსვლა”

მტკიცება / რა უნდა გაკეთდეს:
მოირწყას მიწა

Means Goal
ვაცხადებ საირიგაციო სისტემის განვითარების პროგრამას

მტკიცება / რა უნდა გაკეთდეს:
მოხდეს მექანიზაცია

Means Goal
„2012 წელს გაიხსნება მექანიზაციის 12 ცენტრი შევიდნენ 250 ახალ ტრაქტორსა და 400 მისაბმელ აგრეგატს

ღირებულება:
სოციალური თანასწორობა

მტკიცება / რა უნდა გაკეთდეს:
დავეუფლოთ ცოდნას

Means Goal
6 მექანიზაციის ცენტრს მიენიჭება მოსავლიანობის ცენტრების ფუნქცია

პუნქტი №3 ჯანდაცვა

(ანგარიშის ტექსტის მონაკვეთი: “ჩვენი გეგმის მესამე ელემენტი არის ჯანდაცვა...სამართალდამცავთათვის პრიორიტეტად დარჩება“. 1137 სიტყვა) ტექსტის მოცემული ნაწილი გამოირჩევა თარიღებისა და მოყვანილი ციფრების სიმრავლით, ზმნების მომავალ დროში, სრული ასპექტის გამოყენებით. საინტერესოა, რომ ამ პუნქტის მტკიცება იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ მიზანი ნაწილობრივ შესრულებულია, მეორე ნაწილის შესრულება უკვე დაგეგმილია. გამოყენებული ზმნის ფორმები, სრული ასპექტი: გაკეთდება, ანაზღაურდება, შეეძლება, ვფიქრობ მომხსენებლის თავდაჯერებულობას

უკავშირდება. დამაჯერებლობისათვის სჭარბობს გაზვიადება: „ნამდვილი გარღვევა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში“, „ახალი ათვლის წერტილი, და ეს იქნება დიდი გარდატეხა ასობით ათასი ოჯახის ცხოვრებაში“.

მიზანი: „უმთავრესი ამოცანა ახლა ის არის, რომ გაიზარდოს იმ ადამიანთა რიცხვი, ვისთვისაც ჯანდაცვა ხელმისაწვდომია.“

არსებული მდგომარეობის აღწერა: წარმოდგენილია ვრცელი ნარატივი, რომელიც ასახავს ახლო წარსულში მიღწეულ შედეგებს და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების მზარდი ტემპის შენარჩუნებას (მაშასადამე, ძირითადად, საუბარია ახლო წარსულსა და დაგეგმილ მომავალზე). ვფიქრობ, ძირითადი წინადადებაა: “საქართველოში შენდება თანამედროვე, ევროპული ღონის ჯანდაცვა.”

მტკიცება №1: უნდა გაიზარდოს დაზღვეული მოქალაქეების რაოდენობა

ტექსტის მიხედვით, იმისათვის რომ მოხდეს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საჭიროა, რომ გაიზარდოს დაზღვეული მოქალაქეების რაოდენობა. ამ უკანასკნელის შესრულების პირობად მომხსენებელი მიიჩნევს პენსიონერთა და მცირეწლოვან ბავშვთა დაზღვევას. წარმოთქმული ტექსტის სტრუქტურა ისეთია, რომ იგი არ არის ღია განხილვისა და დისკუსიისადმი, ვინაიდან გადასადგმელი ნაბიჯები უკვე იდენტიფიცირებულია და მათი შესრულება უკვე დაწყებულია. მაგალითად, თუ დავაკვირდებით ტექსტის პენსიონრებთან დაკავშირებულ მონაკვეთს, ვნახავთ, რომ პირველი ნაწილი აღწერს პენსიონერთა მძიმე სოციალურ მდგომარეობას და პრობლემებს, რომელთაც ისინი დაზღვევის კუთხით აწყდებიან, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს პირველ ნაწილში გაუღებრებული პრობლემის გადაწყვეტას. იგი იწყება სიტყვით „ამიტომ“, წარმოდგენილია მიმღეობის ფორმები და ზმნის სრული ასპექტი. სხვაგვარად რომ ვთვათ, ნაბიჯები დაგეგმილია და მათი განხორციელება უპირობოა:

„ამიტომ, ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რათა დაპირებულ 100 დოლარიან საპენსიო პაკეტში შეგვეტანა ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ჯანმრთელობის დაზღვევის სახით. შედეგად, სექტემბრიდან ყველა ასაკით პენსიონერის ჯანმრთელობა დაზღვეული იქნება“.

აღნიშნული სტრუქტურა დამახასიათებელია დანარჩენი ტექსტისთვის. იგივე მეორდება მცირეწლოვანი ბავშვების დაზღვევასთან დაკავშირებით. ამ

მიმართულებით არსებულ წარსულში პრობლემატურ საკითხს მოსდევს უკვე მიღებული გადაწყვეტილება:

„ჩვენი გეგმის მიხედვით, სექტემბრიდან ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჯანმრთელობა იქნება დაზღვეული“.

მესამე პირობა, რითაც დასახული მიზანი შესრულდება უკავშირდება სადაზღვევო კომპანიებთან სახელმწიფოს ურთიერთობას. ზემოაღნიშნული სტრუქტურის დაცვით, წარმოდგენილია პრობლემა - სადაზღვევო კომპანიების მომსახურების ხარისხის დაბალი დონე და გადაწყვეტილება: შემოდებული იქნას თამაშის ახალი წესები სამართლიანობისა და სოციალური თანასწორობის დაცვით:

„ექმნით თამაშის ახალ წესებს, რომლითაც სადაზღვევო კომპანიები ვალდებული იქნებიან დაიცვან დაზღვეული მოქალაქეების ინტერესები და არ მოატყუნონ ისინი“.

აღსანიშნავია, რომ მესამე პირობის შესახებ მეტი არაფერია თქმული. მომხსენებელი არ საუბრობს, თუ რა სახის იქნება გაუღებელი „თამაშის ახალი წესები, არც იმაზე მიუთითებს რა ხარვეზებია აქამდე დაზღვევის სფეროში. ამ არგუმენტს, ისევე, როგორც წინას, ღირებულებად გასდევს რეფორმა, რეფორმის დადებითი შედეგების წყალობით ვითარდება ჯადაცვის სისტემა. ასევე, გამოიკვეთა ღირებულება - სამართლიანობა.

წარმოდგენილი პრაქტიკული არგუმენტის სქემა, პუნქტი №3, ჯანდაცვა

მტკიცება / რა უნდა გაკეთდეს: (Claim for action)
„გაიზარდოს იმ ადამიანთა რიცხვი, ვისთვისაც დაზღვევა ხელმისაწვდომია“

მიზანი (Goal)
„გაიზარდოს იმ ადამიანთა რიცხვი, ვისთვისაც დაზღვევა ხელმისაწვდომია“

არსებული მდგომარეობა (Circumstances)
„დღეისათვის უკვე 90-მდე ახალი, თანამედროვე კლინიკა ფუნქციონირებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და ქალაქში.“
„საქართველოში ექმნით მსოფლიოში მოწინავე მაღალტექნოლოგიური სერვისების დანერგვის ახალ შესაძლებლობებს“;

ღირებულება - რეფორმა

Means Goal

- პენსიონერთა დაზღვევა;
- ბავშვთა დაზღვევა;
- სადაზღვევო კომპანიების მომსახურების გაუმჯობესება;
- „სახელმწიფოს მიერ დაზღვეულთა რიცხვს წელს 650 ათასამდე პენსიონერი და 300 ათასამდე ბავშვი დაემატება“.

პუნქტი № 4 პოლიტიკური და სამოქალაქო წარმატება

(ანგარიშის ტექსტის მონაკვეთი: „საკმარისი არ არის მხოლოდ მატერიალური წარმატებისა და სოციალური დაცვის ... და უფრო მეტი საერთაშორისო პარტნიორის გასაჩენად. 605 სიტყვა). ტექსტის ამ მონაკვეთში მიზანი წარმოჩენილია, მაგრამ მიზნის უზრუნველსაყოფად სამომავლო ნაბიჯებზე მსჯელობა მწირია. ყურადღება გამახვილებულია იმ დონისძიებებზე, რაც სიტყვის წარმოთქმამდე გატარდა და რაც მიუთითებს ქვეყნის სათავეში არსებული პოლიტიკური გუნდის დემოკრატიულობაზე; წარმოდგენილია წარსულში გაუღერებული დაპირებები და მათი შედეგები; წინა პლანზეა **პასუხისმგებლობის რეპრეზენტაცია**. ტექსტის ძირითადი ნაწილი, 408 სიტყვა ეთმობა არსებული მდგომარეობის ასახვას. ამ ნაწილში მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შექმნილია სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების წარმატებული მოდელი, მიმდინარეობს სახელისუფლებო ჯგუფის თანამშრომლობა ოპოზიციასთან, გაზრდილია პარტიების დაფინანსება, მოქალაქეებმა იციან ვინ ან რა ძალა ღვას სატელევიზიო არხების უკან, გამყარებულია უმცირესობათა უფლებები, ჩატარდა სასამართლო რეფორმა, იქმნება სისტემა, „მოქალაქეები იღებენ მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში“, ყალიბდება პოლიტიკური კოალიციები, „ჩვენი დემოკრატია გახსნილია ყველა ხმისა და ყველა ჯგუფისთვის, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მოქმედებს“. ეს არის არჩევნების წელი. რაც შეეხება **ზოგად მიზანს**: “ჩვენი ამოცანაა, რომ ასევე გავაფართოვოთ ჩვენი პოლიტიკური და სამოქალაქო წარმატების წრე”... ჩვენ კიდევ უფრო დიდი ნაბიჯები უნდა გადავდგათ საქართველოს დემოკრატიული პროცესის გასაგითარებლად” (პუნქტშიც წარმოდგენილია იგივე პრესუპოზიცია, რაც წინა პუნქტებში შეგვხვდა სწორედ მიზნისა და მტკიცებების ჩამოყალიბების დროს: უკვე არის მიღწეული პოლიტიკური და სამოქალაქო წარმატება გარკვეულ დონეზე. ახლა საჭიროა მისი გაფართოება).

მტკიცება / რა უნდა გააკეთდეს: უზრუნველყოფილი უნდა იყოს 2012 წლის არჩევნების დემოკრატიულობა: „ეს იყოს ყველაზე თავისუფალი, ყველაზე გამჭვირვალე და ყველაზე დემოკრატიული არჩევნები რაც კი აქამდე გვექონია“.

Means - Goal: არჩევნების მონიტორინგში აქტიური როლი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებს: “ამისათვის ჩვენ ვიწვევთ ყველა შიდა და საერთაშორისო დამკვირვებელს, რომ მაქსიმალურად ჩაერთონ

მონიტორინგის პროცესში”. **Means - Goal:** უზრუნველყოფილი უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა. **ფასეულობა:** პასუხისმგებლობა, თანასწორობა, სამართლიანობა, თავისუფალი არჩევანი.

პუნქტი: 5 ქვეყნის უსაფრთხოება

(ანგარიშის ტექსტის მონაკვეთი: დაბოლოს, ქვეყნის წინსვლის უფრო მეტი მოქალაქისათვის გასაზიარებლად... ამასთანავე, ჩვენ ვიმკვიდრებთ ადგილს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაშიც.“ 627 სიტყვა).

მოცემული პუნქტში № 1 და №3 პუნქტებთან შედარებით სიტყვათა ნაკლები რაოდენობაა, მაგრამ მსჯელობას აქვს არგუმენტაციული სტრუქტურა - მასში ორი პრაქტიკული არგუმენტია წარმოდგენილი. საინტერესოა, რომ ქვეყნის უსაფრთხოებას საქართველოს პირველი პირი უკავშირებს ქვეყნის საგარეო კურსსა და არჩევანს (არჩევანს, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე საუკუნეების მანძილზე დგას). სიტყვის ეს ნაწილი განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესწავლის კუთხითაც. მოცემული სიტყვის მიხედვით საქართველოს უსაფრთხოება, მისი ერთიანობა და სუვერენიტეტი სრულად არის დაკავშირებული მის საგარეო კურსთან და ისტორიულ არჩევანთან. არსებული მდგომარეობის აღწერას მომხსენებელი ამ შემთხვევაშიც დიდ დროს უთმობს. ვფიქრობ, აქ ძირითადი განცხადებაა: „არასდროს შევეგუებით, რომ იმპერია გვიზღუდავდეს თავისუფალ არჩევანს. ამიტომ, ჩვენ ვაგრძელებთ სვლას დასავლეთისკენ. ეს არჩევანი ჩვენი ეროვნული კონსენსუსია. ეს არის გზა ჩვენი რეალური უსაფრთხოებისა და თავისუფლებისაკენ.“ შესაბამისად, წარმოდგენილია, თუ რა უნდა გაკეთდეს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის:

მტკიცება/ რა უნდა გაკეთდეს: „ჩვენ უნდა გავაგრძელოთ საქართველოსთვის იმ უსაფრთო გარემოს შენება, რაც შესაძლებელს ხდის ამ წინსვლას“- უნდა გავაგრძელოთ სვლა დასავლეთისაკენ;

ფასეულობა: რეფორმები, გზა დასავლეთისკენ.

Means-Goal: უნდა განვაგრძოთ ნატოსა და ევროკავშირში სრულფასოვანი გაწევრიანებისაკენ სწრაფვა;

Means -Goal: უნდა გავამყაროთ კავშირები ევროპასთან;

Means - Goal: თუ ყველაფერი სწორად განვითარდება, ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა გვექნება;

Means-Goal: უნდა დავიწყოთ შემდეგი ეტაპი ევროპასთან სავიზო მოლაპარაკებისა;

Means-Goal: უნდა გავაგრძელოთ სტრატეგიული თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან;

მტკიცება/ რა უნდა გაკეთდეს: უნდა ვიმუშაოთ საერთო კავკასიური განვითარებისათვის

Means-Goal: მხარი უნდა დავუჭიროთ სახელმწიფოთა საზღვრების ურდევების პრინციპს, შევინარჩუნოთ მეგობრობა კავკასიელ ხალხებთან;

მტკიცება/ რა უნდა გაკეთდეს: უნდა გავიუმჯობესოთ ურთიერთობა რუსეთთან, უნდა დავამყაროთ მასთან მშვიდობა;

Means-Goal: რუსეთმა უნდა აღიაროს და დაემორჩილოს „სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ყველა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას“.

Means-Goal: ცალმხრივად ვაუქმებთ სავიზო რეჟიმს რუსეთთან;

აღსანიშნავია, რომ სიტყვის ეს ნაწილი შეიცავს მრავალ ემოციის აღმძვრელ ენობრივ საშუალებას. გამეორება: თითოეული Means- Goal აბზაცი კვლავ იწყება სიტყვით „ამიტომ“. მწირედ, მაგრამ მძაფრადაა წარმოდგენილი ალტერნატიული ხედვა, საგარეო კურსის შეცვლის შემთხვევა: „მაგრამ ამაზე ახლა უარის თქმა რამდენიმე თაობას დაგვაკარგინებს“. რუს ტურისტებთან და ბიზნესმენებთან მიმართებაში, რამდენჯერმე მეორდება ფრაზა: „დაე, იცოდნენ“

დასასრული - ჩვენ ერთად ვაშენებთ საქართველოს

(ანგარიშის ტექსტის მონაკვეთი: „ამასთანავე, ჩვენ ვიმკვიდრებთ ადგილს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაშიც ... დიდი მადლობა.“ 452 სიტყვა). ისევე როგორც დასაწყისი, სიტყვის დასკვნა არის მეტად ემოციური და ეხმიანება მსმენელის ძლიერ გრძნობას - პატრიოტიზმს. საუბარია ისეთ ღირებულებებზე, რასაც ყველა ღირსეული მოქალაქე იზიარებს. ემოცია მიღწეულია შემდეგი ენობრივი ერთეულებით: აღმატებითი ხარისხის გამოყენება: (მაგ. ყველაზე გახსნილი ეკონომიკა). სიტყვებისა და სიტყვათა ჯგუფების გამეორება (ჩვენ ერთად ვაშენებთ საქართველოს), წარმოჩენილია სახელმწიფოს მიღწევები და წარმატებული პოლიტიკა. გამოყენებულია ანტითეზისი: „ჩვენ არავის ვეჯიბრებით ძალადობასა და აგრესიაში, მაგრამ მზად ვართ ყველას შევეჯიბროთ ეკონომიკურ თანამშრომლობაში, განვითარებასა და წარმატებული

საზოგადოების შენებაში“. „მცირერიცხოვანი, მაგრამ დიდი ერი ვართ“, „პატარა საქართველოსგან დიდი ქვეყანა“. მეტაფორა: „ამიტომ გვაქვს გაშლილი შენების ფრონტი ერთდროულად ყველგან“. აქვე, ამ ემოციურ ფონზეა წარმოდგენილი საუბარი ხელისუფლების ორ პროექტზე: ლაზიკასა და ქუთაისში აშენებულ პარლამენტის შენობაზე. ვერ ვუწოდებთ პრაქტიკულ არგუმენტაციულ მსჯელობას, მაგრამ მასში არის წარმოდგენილი მტკიცება: საქართველოს განვითარებამ გეოგრაფიულად უნდა მოიცვას მთელი ქვეყანა და ამ მტკიცებას მოსდევს აბზაცი:

„ამიტომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ლაზიკის აშენებას, ამიტომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნას, მათ შორის, თავად ლაზიკის ეკონომიკურ ზონას, რომლის შესახებაც პარლამენტში მალე შემოვა შესაბამისი კანონპროექტი. ამიტომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას, რომ შემდეგ ჯერზე პარლამენტის დიდი ტრიბუნიდან უკვე ქუთაისში - საქართველოს მეორე დედაქალაქში მოგმართავთ“.

ვფიქრობ, დასკვნის ნაწილშიც, ისევე როგორც შესავალში, მსმენელის მიერ გაზიარებული დამოკიდებულების: პატრიოტიზმის ფონზე ხდება ამ ორი პროექტის ლაზიკას და პარლამენტის შენობის შესახებ შეხედულების ჩამოყალიბება. დასკვნით ნაწილში კვლავ ძლიერია **პრესუპოზიცია და მეტაფორა**: „ეს გზა ჩვენი ერთადერთი მარშრუტია მომავლისაკენ, იგი დიდი ხანია აირჩია ქართველმა ერმა და არ არსებობს ძალა, რომელიც ამ გზიდან გადაგვახვევინებს“.

2012 წლის საანგარიშო სიტყვაში მომხსენებელი სრულად აფასებს ენის შესაძლებლობებს, იყენებს როგორც გამოსატვის ექსპლიციტურ, ასევე დარწმუნების იმპლიციტურ ფორმებს. პრესუპოზიციის მეშვეობით ცდილობს, მსმენელის შეხედულება/დამოკიდებულების გამყარებას ვარდების რევოლუციის წარმატების, ქვეყანაში სხვადასხვა მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ. რაც ყველაზე მთავარია, ვფიქრობ, წარმოთქმული სიტყვა სრულად წარმოადგენს **გატარებულ რეფორმების ლეგიტიმაციას**, რადგან სიტყვაში მოყვანილ სამ არგუმენტს ღირებულებად გასდევს სწორედ რეფორმა. კომუნიკაციას დამარწმუნებელს ხდის მომხსენებლის დამოკიდებულება სინტაქსის მიმართაც: წინადადებებში გამოყენებული ზმნების დროისა და ასპექტის, მათი მიმდევრობის მეშვეობით, წინადადებათა სტრუქტურის დაკვირვებული შერჩევით ხდება მსმენელში დამოკიდებულების გამყარება.

რიტორიკულ დისკურსზე (Rhetorical Discourse) საუბრისას აღვნიშნეთ, რომ ჯეიმს ჰერიკის (ჰერიკი 2005) მიხედვით რიტორიკულ დისკურსს ექვსი მახასიათებელი აქვს. მათ შორის არის რიტორიკული დისკურსის ისე დაგეგმვა და წარმართვა, რომ იგი ითვალისწინებდეს აუდიტორის ინტერესებს, მსმენელის რაოდენობას, ტიპს. „რიტორიკული დისკურსი ქმნის კავშირს რიტორის შეხედულებასა და აუდიტორიის შეხედულებას შორის, რაც გულისხმობს აუდიტორიის ღირებულებების, გამოცდილების, რწმენის, სტატუსის, მისწრაფებების გაზიარებას“ (ჰერიკი 2005). ავტორი საინტერესო ინტერპრეტაციას წარმოადგენს დარწმუნების მიმართ არისტოტელეს დამოკიდებულების შესახებ: „Persuasion - for Aristotele, the principal goal of rhetoric – depends on **commonality between a rhetor and an audience**. (ჰერიკი 2005:9). ავტორის მიხედვით, დაუშვებელია, რომ საჯაროდ სიტყვის მოქმედმა გაუთვალისწინებელი დატოვოს მსმენელის / ინფორმაციის მიმღების შეხედულებები. „Rhetor must consider what an audience accepts as true, probable or desirable (Herrick , 2005:10). ვფიქრობ, რომ რიტორიკული დისკურსის ამ მახასიათებელს პრეზიდენტი სათანადოდ ითვალისწინებს პარლამენტის წინაშე **2012 წლის ანგარიშის წარდგენის დროს**.

3.2 გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წარდგენილი მოხსენებების ანალიზი (2004-20013 წლები)

გაეროს გენერალური ასამბლეა (UN General Assembly) გაეროს სათათბირო ორგანოა, რომელიც ყოველ წელს იკრიბება. მასში მონაწილეობს გაეროს ყველა წევრი ქვეყანა (დღეისათვის 193 ქვეყანა²). ეს არის პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს ქვეყნებს, განიხილონ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე გამოწვევები. შედეგად, გენერალური ასამბლეა შეიმუშავებს რეკომენდაციებს. 1992 წლიდან საქართველო გაეროს წევრი ქვეყანაა. 2004-2013 წლებში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ყოველწლიურ მოხსენებას საქართველოს სახელით წარადგენდა მიხეილ სააკაშვილი. აღსანიშნავია, რომ ყველა მოხსენება, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააუღერა ასამბლეის სესიებზე სტრუქტურულად არის ერთგვაროვანი, შეიცავს ერთსა და იმავე თემებს, წლების განმავლობაში მოხსენების დროს განხილული საკითხების მიმდევრობაც კი მეორდება ტექსტში. ყველა მოხსენება შეიცავს ერთ მკაფიო მოწოდებას (Claim for action) - პრაქტიკულ არგუმენტს, რომელიც უკავშირდება **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას** და საერთაშორისო საზოგადოების მობილიზებას, გაეროს ძალისხმევის გაძლიერებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამშვიდობო პროცესების დამყარების საქმეში. ეს მოწოდება სხვადასხვა წელს სხვადასხვა სიმძაფრით და რიტორიკით გამოირჩევა, თუმცა კი შეტყობინება წლების განმავლობაში რჩება ძირითად პრაქტიკულ არგუმენტად. საქართველოს პრეზიდენტი მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და შესაბამის სააგენტოებს, უფრო აქტიურად ჩაერთონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. საქართველოს ტერიტორიები არის ოკუპირებული, უკონტროლო და ეს საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ ამ პატარა ქვეყნისთვის, არამედ - საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც, რადგან უკონტროლო ტერიტორიები ქმნის კრიმინალის გაზრდის და ტერორიზმის გაღვივების საფრთხეს. ხაზგასმულია, რომ

² გაეროს წევრი ქვეყნების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.un.org/fr/member-states/index.html>

საქართველო პრობლემის გადაჭრის გზას მხოლოდ მშვიდობიან ნაბიჯებში ხედავს, რომ დემოკრატია და მშვიდობა წარმოადგენს მთავარ ღირებულებას.

რა რეპრეზენტაციები ჩნდება საჯარო მოხსენებებში?

2004-2013 წლების ინგლისურ ენაზე გაკეთებულ უკლებლივ ყველა მოხსენებაში (სულ 10 მოხსენება) ჩნდება შემდეგი რეპრეზენტაციები:

- **ვარდების რევოლუციის წარმატება და დაუჯერებელი შედეგები**
„As my second term nears its end, I take pride in the many accomplishments that Georgia achieved during my tenure in office. We took Georgia literally out of darkness, brought unprecedented transparency into our public service, put our children back to schools and took the gangs out of them. We have brought our nation closer than ever to its European dream and worked tirelessly to renew the spirit of tolerance that guided Georgia in our glorious past (2013).
- **მადლიერებისა და პატივისცემის გამოხატვა საქართველოს მოქალაქეების მიმართ;**
„I want to tell to all Georgian citizens – to those who supported our project, our policies and our party and to those who rejected them – I want to tell them how proud I am of their maturity and their bravery, how humble I feel looking at the sacrifices and the efforts they have made. The path of the Georgian people towards freedom, regional unity and European integration is far from over and I will continue to dedicate every day of my life to its success, as a proud citizen of a proud nation (2013).
- **პასუხისმგებლიანი სამთავრობო გუნდის წარმოჩინება;**
2006 წლის მოხსენების ტექსტიდან – **რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება, რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონო ქმედებები, აგრესია, ადამიანების უფლებების დარღვევა, ოკუპაცია.**
პლენარულ მიმართებებში მომხსენებელი წარმოადგენს ვარდების რევოლუციისა და მიმდინარე ხელისუფლების მიერ გატარებულ **რეფორმების ლეგიტიმაციას.** მდიდარი ენობრივი საშუალებებით არის წარმოჩენილი ის ვითარება, რომელიც საქართველოში იყო ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულ ხელისუფლებამდე. ასევე, მრავალფეროვნად წარმოაჩენს მომხსენებელი 2003 წლის შემდეგ გატარებულ პოლიტიკას,

გადადგმულ ნაბიჯებს. მიმართვის ყველა ტექსტშია პასუხისმგებლობის რეპრეზენტაცია – საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არის პასუხისმგებელი არა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე და არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის წინაშე, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს ახალი ხელისუფლება აძლიერებს დემოკრატიას, მხარს უჭერს მშვიდობას და უსაფრთხოებას:

“And we have proven that we can take care of our people...like the teachers of our country who for more than a decade were abandoned by the State.

Today Mr. President, I am proud to announce Georgia’s newest contribution to freedom - our offer to send fresh troops to Iraq to serve in the special protection force for the UN Mission in Iraq..

In offering our services to the UN Mission – we are hopeful that our presence will foster lasting stability, prosperity and freedom for the Iraqi people – a freedom worthy of all those who live in the region at large”.

გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესია, 2004 წლის 21 სექტემბერი ისევე როგორც საქართველოს პარლამენტში საანგარიშო მიმართვის დროს, 2004 წლის გაეროს გენერალურ ასამბლეაზეც მიმართვის ტექსტში პრეზიდენტმა სააკაშვილმა მეტი თვალსაზრისითვის მაგალითად მოიყვანა კონკრეტული პიროვნება. განაზოგადა წარმატებული შემთხვევა იმის სადემონსტრაციოდ, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უკეთესობისაკენ შეცვალა მოქალაქეების ცხოვრება, გახადა უფრო სამართლიანი, გაათავისუფლა კორუფციისაგან:

„I am reminded of one woman in particular, in Western Georgia, who just last week received 12 years of back-pay from our government! Until now, that brave woman’s pay was spent on the estates of corrupt officials and government Ministers...

The dedication of this brave woman – who sacrificed for so many years so that the younger generation could simply receive an education – a chance at a better life - is an inspiration for all Georgians...Protecting people like her are the reason we have confronted corruption in Georgia so vigorously – corruption that threatened the very fabric of our society”.

მრავალფეროვანი ლექსიკური ერთეულების და სტილისტური ხერხების გამოყენება დამახასიათებელია მომხსენებლის ინგლისურენოვანი

ტექსტებისთვისაც. ერთ აბზაცში ვნახავთ **ინვერსიულ წყობას** (inverted sentence), **მეტაფორას** და **გამეორებას**:

„Never again will these loyal public servants have to harvest food from their gardens to make ends meet. Never again will they have to face a government that disrespects their dignity.

Today, Georgia need bridges not bases...roads and not rockets....and we need cooperation, not competition when it comes to eliminating sources of instability and terror.”

პრეზიდენტი ხშირად იყენებს **კითხვითი წინადადებების გამეორებას**, **ხაზგასმას** და **გაზვიადებას**:

„Why? Because these actions serve the cause of peace... Why? Because these actions serve to defeat the threat of terrorism and strengthen the safety and security of our populations... Why? Because these actions are part of what it means to remain a responsible member of the international community of nations... And finally, because we have no reasonable alternative, failure is not an option”.

2004 წელს პრეზიდენტის მოწოდება საერთაშორისო ინსტიტუციებისა და საზოგადოების მიმართ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან მიმართებაში, წარმოდგენილია ტერორიზმის და საერთაშორისო საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექტში. ის საფრთხეები, რომელიც ახლავს საქართველოს არაკონტროლირებულ ტერიტორიებს არ წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის საშიშროებას, არამედ ემუქრება მშვიდობას და უსაფრთხოებას საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ ეს არგუმენტი არის 2004 წლის მოხსენების ტექსტის ძირითადი ნაწილი:

მოწოდება - claim for action:
We must put an end to this cycle of destruction

მიზანი –Goal premise
 -peacefully re-incorporate South Ossetia and Abkhazia

ღირებულება –value premise
 Democracy, Peace, International security,

არსებული ვითარება – Circumstance premise
 Black holes exist on the territory of Georgia. uncontrolled zones breed crime, drug trafficking, arms trading and most notable, terrorism

Means Goal:
 -By strengthening Georgia’s economy
 -Stage by stage settlement plan:
 1) initiating confidence building measures;
 2) removing the instruments of war through demilitarization;
 3) guarantee of autonomy

მოცემულ არგუმენტში საინტერესოა მიზნის მიღწევის საშუალებების შესახებ მსჯელობა. საქართველოს გრძელვადიანი განვითარების და ქვეყნის ძლიერი ეკონომიკის შესაქმნელად მომხსენებელი გაეროს საზოგადოების წინაშე წარადგენს ეტაპობრივ გეგმას:

„Today, I would like to introduce the idea of a new “stage by stage settlement plan”, designed to speed resolution of these conflicts”.

პირველი ნაბიჯი – ნდობის დამყარებისათვის საჭირო ღონისძიებების ინიცირება, ადამიანთა შორის კავშირების დამყარების ხელშეწყობა: „Step One is to initiate confidence building measures – so that new forms of trust are established that create lasting human bonds between peoples. these measures can include exchanges that link NGO’s to NGO’s...students to students...journalists to journalists...health care workers to health care workers...athletes to athletes...and mothers to mothers.”

მეორე ნაბიჯი – დემილიტარიზაცია, არაკონტროლირებადი სამხედრო ძალებისაგან საქართველოს რეგიონების გათავისუფლება: „These begin with removing the instruments of war through demilitarization. And eliminating the climate of fear through decriminalization. We must improve the local security of all who live in the zones of unresolved conflict. These steps will require monitoring, verification and transparency, so that our collective march towards peace can be visible for all”.

მესამე ნაბიჯი – გლობალური გარანტიების შეთავაზება ავტონომიის შესახებ აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის.

გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60-ე სესიაზე (2005 წლის 15 სექტემბერი) მოხსენების ტექსტში, მართალია მხოლოდ ერთ აბზაცში, მაგრამ კვლავ იკვეთება შეტყობინება ვარდების რევოლუციის შედეგების და არსებული ხელისუფლების წარმატების შესახებ. მომხსენებელი კვლავ გამოსატავს პატივისცემას ხალხის მიმართ, რომლის მონაწილეობითაც საქართველომ მოკლე ხანში მიაღწია ეკონომიკის გაუმჯობესებას. ამ აბზაცში იკვეთება არგუმენტი ავტორიტეტის მითითებით (Argument from authority), როდესაც მომხსენებელს დასტურად მოჰყავს გაეროს ერთ-ერთი ინსტიტუციის, მსოფლიო ბანკის მიმოხილვა ქვეყნის წარმატების შესახებ:

„In fact, during the short time that we have been in power, we have made progress on nearly every goal. And the economy is improving. Indeed, a recent World Bank survey put

Georgia among the top three world leaders in terms of speed and efficiency of the reform process and positive business climate. Those results are a tribute to the strength of our people — and a direct result of what a democracy can achieve when it is responsible, transparent and accountable”.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოხსენების ძირითადი მოწოდება და პრაქტიკული არგუმენტი კვლავ უკავშირდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და მშვიდობის დამყარებას რეგიონში. 2005 წლის მოხსენებაშიც საკითხი საერთაშორისო უსაფრთხოებასთან და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან კონტექსტში არის წარმოჩენილი. მომხსენებელი შეახსენებს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ვითარება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში არის ძალიან რთული და მეტად ხელსაყრელი ნარკოკრიმინალის, ტერორიზმის გასაღვივებლად. მომხსენებელი მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, იყოს უფრო ქმედითი კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით, გადავიდეს უფრო აქტიურ ფაზაში და აამოქმედოს თავისი სააგენტოები. ასევე, სთხოვს, საერთაშორისო სტაბილურობას მიანიჭოს უფრო მაღალი პრიორიტეტი. რიგით მესამოცე გენერალურ ასამბლეაზე პრეზიდენტის არგუმენტი არის მკაფიო, შედარებით უფრო მოკლე და ექსპლიციტური. ამავდროულად, გამყარებულია წინამძღვრებებით და ნათლად წარმოაჩენს მოწოდების გასამყარებლად არსებულ ვითარებას (**circumstance premise**).

მოწოდება / claim for action: We must put an end to this cycle of destruction
 we need an international community and a UN that can do more than just talk about solutions — we need a UN that can help bring them about. That means a UN that can solve conflicts.

გარემოება /circumstance premise:
 Hundreds of thousands of refugees from Abkhazia and from South Ossetia remain unable to return to their homes.
 Not only is Georgia's development affected by these lawless territories... but these areas endanger international stability.

ღირებულება- value premise
 მშვიდობიანი გზებით კონფლიქტების მოგვარება –
 The government of Georgia is firmly committed to peacefully settling these conflicts and to the peaceful establishment of full control over our internationally recognized territorial integrity.

Goal premise	Means goal premise
<ul style="list-style-type: none"> • To combat the threats posed by instability. • The issue of conflict resolution must take higher priority at the United Nations. • More needs to be done — and more boldness shown. 	<ul style="list-style-type: none"> • we need an international community and a UN that can do more than just talk about solutions • UN that can solve conflicts, UN that will not simply look on as international law is being violated — but will put an end to annexation of Abkhazia.

გენერალური ასამბლეის 61-ე სესის (2006 წლის 22 სექტემბერი) ტექსტს მიმდევრობის მიხედვით, აბსოლუტურად იგივე შემადგენლობა აქვს: დასაწყისშივე ვარდების რევოლუციის შედეგების გამახვილება და საქართველოს მიღწევების მიმოხილვა. კვლავ მსოფლიო ბანკისა და EBRD-ს მოშველიება ამ მოწოდების გასამყარებლად. საქართველოს ახალი ხელისუფლების ძალისხმევითა და წარმატებული რეფორმების მიმოხილვის შემდეგ, პრეზიდენტი სააკაშვილი აღწერს არსებულ ვითარებას და მოუწოდებს გაეროს სააგენტოებს გააქტიურებისკენ, რადგან კონფლიქტი, რომელიც საქართველოში არის საფრთხეს უქმნის რეგიონის სტაბილურობას. სწორედ ამ არასტაბილური გარემოების გამო საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ფუნდამენტური უფლებები დაირღვა.

„The painful truth however, is that in Georgia today we have inherited the brutal legacy of unresolved territorial conflicts. And these conflicts undermine our stability and the stability of our region. in fact, this inherited legacy is directly responsible for the systematic abuse of the fundamental human rights of a large portion of our population”.

2006 წლის მოხსენებაში პრეზიდენტი პირველად ასახელებს ტერიტორიების ოკუპანტ ქვეყანას – რუსეთს:

„Further, the painful, but factual truth is that these regions are being annexed by our neighbor to the north - **the Russian Federation** - which has actively supported their incorporation through a concerted policy of mass distribution of Russian passports - in direct violation of international law, which is itself unprecedented”.

პრაქტიკული არგუმენტის თვალსაზრისით, 2006 წლის მოხსენებაში ყველაზე ცხადად აღწერილია არსებული ვითარება (circumstance premise),

რომელიც წარმოადგენს არგუმენტის ღერძს ხოლო, მოწოდება (claim for action) მაღალხატვრულად არის წარმოდგენილი, საჯარო მიმართვის ბოლოს – შემაჯამებელ წინადადებად - **Let us therefore embrace this historic opportunity and not delay** (იგულისხმება ოკუპირების საპასუხო ზომების მიღება). 2006 წლის მოხსენებაც ტრადიციულად მდიდარია ენობრივი ხერხებით, განსაკუთრებით, როდესაც საუბარი შეეხება არსებული ვითარების აღწერას და რუსეთთან მიმართებაში გაეროს სააგენტოების პასიურობას. ტექსტში შევხვდებით მეტაფორას, გამეორებას:

„We risk plunging the region into darkness and conflict, despite our best efforts to promote peace. **Let no-one ever say** that Georgia was not clear as to how it sought to protect its democracy and its State. **Let no-one ever say** that we did not seek to do so by peaceful means alone. There is no other way for our country - and for the international community at-large. In choosing to join the standard bearers of civilized democracy, we will act accordingly. We presume that all nations who share these same values and are willing to sacrifice for them.”

2007 წელსაც, გაეროს გენერალური ასამბლეის 62-ე სესიაზე, პრაქტიკული არგუმენტის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის წარმოჩენას ეთმობა ტექსტის უმეტესი ნაწილი. ე.წ. **Circumstance premise**-ს დროს მომხსენებელი ერთგვარ უკმაყოფილებას გამოხატავს გაეროსა და შესაბამისი სააგენტოების მიმართ. მოქმედობასა და პასიურობაში აღანაშაულებს მას:

„The brutal campaign of ethnic cleansing uprooted ethnic Georgians, Armenians, Estonians, Greeks, Jews, Russians and others who had lived peacefully in that land for centuries—creating a de-populated and criminalized wasteland. The United Nations has tried to bring peace to this region, **but it has not succeeded in making Georgia whole again**—despite its unwavering recognition of Georgian sovereignty...

As I speak before you today, elements from Russia are actively – and illegally - building a new military base in South Ossetia, in the small town of Java, hoping that arms and violence will triumph over the will of the people. I bring this disturbing fact to your attention because reckless acts like this must be highlighted and countered”.

2007 წლის მოხსენების მოწოდება მოლაპარაკების ფორმატში ცვლილების შეტანას და ქვეყნის გაერთიანებას უკავშირდება:

მოწოდება, რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას - claim for action:

Changes are necessary in the negotiation format, which is stalled and stagnant. This is the only path forward. We now must ensure that Georgia whole and free includes all the people of South Ossetia and Abkhazia.

Circumstance Premise

The United Nations has tried to bring peace to this region, **but it has not succeeded in making Georgia whole again**—despite its unwavering recognition of Georgian sovereignty.

This morning, a senior Russian official made an unconstructive, unsubstantiated, and wholly untrue accusation that Georgian forces killed two innocent people in Upper Abkhazia.

Means Goal Premise

We expect genuine and relevant changes in the legal framework. A meaningful and implementable plan for return of the displaced, guaranteeing their property rights. Effective economic rehabilitation. The establishment of lasting security. And the resumption of direct dialogue between Georgian and Abkhaz interlocutors without any preconditions..

მოწოდების საპასუხოდ, მომხსენებელი აცხადებს იმ აუცილებელ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმაც არის მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად და ამავდროულად, აღნიშნავს იმ წვლილის შესახებ, რომლის შეტანაც საქართველოს შეუძლია პროცესების უზრუნველყოფისათვის. 2007 წლიდან პრეზიდენტმა თავის მოხსენებაში პირველად მოიყვანა რუსეთის სამხედროების მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული უკანონო ქმედებების შესახებ. 2013 წლის მოხსენების ტექსტში მომხსენებელი პირველად საუბრობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სახელით:

„And why are millions of Ukrainians, Georgians, Moldovans, and others desperately knocking on the doors of the European Union?...

As I speak, the Eastern European countries aspiring to join the European family of free and democratic nations are facing constant pressures and threats.

Armenia has been cornered and forced to sign Customs Union, which is not in this nation's interest or in the interest of our region.

Moldova is being blockaded, Ukraine is under constant attack, Azerbaijan faces extraordinary pressure, and Georgia is occupied. Why? Because an old Empire is trying to reclaim its bygone borders. And 'borders' is actually not the right word, since this Empire – be it the Russian Empire, the Soviet Union, the Russian Federation, or the Eurasian Union - never had borders. It only had margins. I came today to speak in the name of these margins”.

3.3 დისკურსისა და იდეოლოგიის ურთიერთკავშირის საკითხი

ჩვენს მიერ შერჩეულ საკვლევ მასალაში გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ იმ იდეოლოგიურ ფონზე, რომელიც იქმნება 2005 – 2012 წლების საპარლამენტო ანგარიშის და გაეროს გენერალური ასამბლეისთვის შედგენილი ტექსტების მეშვეობით. ვფიქრობ, რომ წარმოდგენილია დისკურსისა და იდეოლოგიის ძლიერ ურთიერთზეგავლენა, ადამიანთა ჯგუფის იდეოლოგია, რომელიც ერთის მხრივ ქმნის დისკურსის სტრუქტურებს და მეორეს მხრივ კი, გარკვეულწილად, თავად ექცევა დისკურსის გავლენის ქვეშ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ლექსიკონი-ცნობარის (2004) მიხედვით იდეოლოგია ასეა განმარტებული: 1. იდეათა სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს სოციალურ თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას. 2. უფრო ვიწრო მნიშვნელობით, იდეათა სისტემა, რომელიც ერთი ჯგუფის მეორეზე ბატონობას აკანონებს ან ამართლებს (გვ. 103).

დისკურსისა და იდეოლოგიის კავშირის შესახებ საინტერესო შრომები აქვს ვან დაიკს (Teun A. Van Dijk, 2001; Vandijk, 1995). ავტორი აღნიშნავს, რომ „იდეოლოგია უკავშირდება იდეათა სისტემას, განსაკუთრებით სოციალურ, პოლიტიკურ ან რელიგიურ იდეებს, რომელსაც იზიარებს სოციალური ჯგუფი ან მოძრაობა. ფართოდგავრცელებული იდეოლოგიების მაგალითებია კომუნიზმი, ანტი-კომუნიზმი, სოციალიზმი და ლიბერალიზმი, ფემინიზმი, სექსიზმი, რასიზმი და ანტი-რასიზმი, პაციფიზმი და მილიტარიზმი. ამ იდეოლოგიათა გამზიარებელი ჯგუფის წევრები ამყარებენ ძალიან ზოგად იდეებს, რომელიც საფუძვლად უდევს მათ კონკრეტულ შეხედულებას სამყაროს შესახებ, წინ უძღვის მათ მიერ მოვლენათა ინტერპრეტაციას და სოციალურ პრაქტიკას” (ტ. ვან დაიკი, „იდეოლოგია და დისკურსი”, გვ: 6). ავტორი მიიხსენებს, რომ „მრავალი

იდეოლოგია არის დომინირების ლეგიტიმაცია”, თუმცა იგი ასევე აღნიშნავს, ე.წ. „პოზიტიური იდეოლოგიების” შესახებ, რომლების დომინირებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ არის განწყობილი.

ცნობილია, რომ იდეოლოგიათა გამოსატვა რიგ შემთხვევებში ხდება ღიად, რაც საშუალებას იძლევა, ადვილად მოხდეს მისი აღმოჩენა. ასევე შესაძლოა, მოხდეს მისი არაპირდაპირი, იმპლიციტური გამოსატვა, დისკურსის ნაკლებად ცხად სტრუქტურებში. ვან დაიკი აღნიშნავს, რომ იდეოლოგიის „შინაარსი” (ideological ‘content’), ყველაზე პირდაპირ გამოიხატება დისკურსის მნიშვნელობაში: **თემებში, აღწერის სიზუსტეში** (თემის შერჩევის შემდეგ ჩვენი დადებითი მხარის შესახებ ინფორმაციის ვრცლად და ცხადად წარმოდგენა, უარყოფითის შესახებ კი – ბუნდოვანება). ავტორის მიხედვით, ზემოაღნიშნული იდეოლოგიის „შინაარსი” ასევე გამოიხატება პრესუპოზიციებსა და იმპლიკაციაში, თანმიმდევრობაში (coherence), ლექსიკური ერთეულების სინონიმურ გამოყენებასა და პარაფრაზში, საილუსტრაციო მაგალითების წარმოდგენაში, შეპირისპირებაში, მოდალობაში, და ა.შ. ავტორი იდეოლოგიათა სტრუქტურების ანალიზის დროს მხოლოდ სემანტიკური მახასიათებლებით, ცხადია, არ შემოიფარგლება და, სხვა სტრუქტურათა შორის, სინტაქური სტრუქტურების მნიშვნელობის შესახებაც ვრცლად საუბრობს.

„იდეოლოგიას შეუძლია გავლენა მოახდინოს სოციალურ დამოკიდებულებათა გამოსატვაზე დისკურსულ სტრუქტურებში” (ვან დაიკი, Discourse, Ideology and Context) სტატიაში ავტორი იდეოლოგიას განმარტავს, როგორც „შემეცნების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც გაზიარებულია სოციალურ ჯგუფებში.” იდეოლოგია აყალიბებს ძირითად სოციალურ რეპრეზენტაციებს, სოციალური ჯგუფის წევრთა გამოცდილებას, მათ დისკურსს. იდეოლოგია ყალიბდება მაშინაც, როდესაც ხდება სოციალური გარემოს, სიტუაციის ინტერპრეტაცია მოსაუბრეთა მიერ. შესაძლოა, იდეოლოგიამ გავლენა იქონიოს დისკურსის სტრუქტურების ფარგლებში სოციალურ საკითხთა შესახებ შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. იდეოლოგია მოიცავს რწმენის გარკვეულ სისტემებს, იმ რწმენისა, რომელსაც იზიარებს ადამიანთა ჯგუფი (ვან დაიკი, 2006).

„იდეოლოგია კარგი ან ცუდი შეიძლება იყოს იმ შედეგის მიხედვით, რაც მას სოციალურ პრაქტიკაში მოჰყვება... მისი გამოყენება ასევე შეიძლება სოციალური

დომინირების შესაქმნელად და მის შესანარჩუნებლად, ასევე უთანხმოებისა და ოპოზიციის შესაქმნელად. განსაკუთრებულ პირობებში იდეოლოგიას შეუძლია, მოახდინოს სოციალური აზროვნების და სოციალურ ჯგუფთა ქმედების ორგანიზება.” (ვან ღაიკი, Discourse, Ideology and Context გვ. 14).

ცნობილია, რომ სახელისუფლებო გუნდი, რომელიც საქართველოს 2005 – 2012 წლებში მართავდა, საკუთარ იდეოლოგიად ასახელებდა ლიბერალიზმს. საინტერესოდ მიგვაჩნია, დავაკვირდეთ, თუ როგორ არის ლიბერალური იდეოლოგია გამოხატული აღნიშნული სახელისუფლებო გუნდის ლიდერის, საქართველოს პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენებებში გამოხატული.

2005 წლის ანგარიშის ტექსტში ამ მიმართულებით საინტერესოა აბზაცი პრივატიზაციის შესახებ. მომხსენებელი სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადაყვანის მიმართ ღიად გამოხატავს დადებით განწყობას და ცდილობს, ახსნას ამ პროცესის თანმხლები სიკეთე:

(1) „დავიწყეთ ჩვენი ქონების პრივატიზაცია და უნდა გვესმოდეს რისთვის ხდება ეს.”

ტექსტის არგუმენტაციული მსჯელობის შეფასების დროს, აღვნიშნეთ, რომ პრივატიზაციის შესახებ აბზაცს აქვს პრაქტიკული არგუმენტაციის სტრუქტურა: მომხსენებლის მოწოდება (Claim for action) დაწყებული ნაბიჯების სამომავლოდ გაგრძელებას ეხება. მომხსენებლის სუბიექტური დამოკიდებულება პრივატიზაციის პროცესის მიმართ აბზაცში რამდენიმე ლექსიკურ ერთეულში ჩანს: „უნდა გვესმოდეს რისთვის ხდება ეს” – ვფიქრობ, მომხსენებელი ცდილობს, ინფორმაციის მიმღებს / მსმენელსა და თავის შორის ერთიანი აზრი, თანხმობა შექმნას (ამას ხელს უწყობს პირველი პირის მრავლობითი რიცხვი ზმნაში – **გვესმოდეს**) და მიმართვასაც, ვფიქრობ, მეგობრული - დამრიგებლური ელფერი აქვს.

(2) „ეს არ არის ქონების გასაღების პროცესი, პირიქით, ჩვენ გვაქვს ქონება, რომელშიც ფული უნდა ჩაიდოს.”

მეგობრულ-დამრიგებლური მოწოდების შემდეგ მომხსენებელი ცდილობს, მსმენელში / ინფორმაციის მიმღებში არსებული დამოკიდებულება პრივატიზაციის მიმართ შეცვალოს (**Attitude changing**). დამარწმუნებელი კომუნიკაციის უზუნველსაყოფად იგი ითვალისწინებს კონტექსტს და

განმარტებას აძლევს იმ ადამიანებს, ვინც პრივატიზაციის პროცესის მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილნი წარსულში მიღებული გამოცდილების გამო. ვფიქრობ, მომხსენებლის ძალისხმევას კარად გამოხატავს მეორე მონაკვეთში (2) სიტყვა „პირიქით“, რომელსაც წინადადების პირველ ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაციის საპირისპირო შინაარსის შემცველი წინადადება მოსდევს.

(3) დღეს, საპრივატიზაციო პროცესები ადრინდელისგან სრულიად განსხვავდება; ე.წ. საპრივატიზაციო პროგრამები. აქამდე ეს პროგრამები იმას გულისხმობდა, რომ ობიექტი უფასოდ გადაეცემოდათ და ოცი წლის შემდეგ ოც მილიონს ჩადებდნენ. ფული ეხლავე უნდა ჩაიდოს იმისათვის, რომ ხვალ მისი ამოღება შესაძლებელი გახდეს. ხალხი უნდა დაასაქმონ და ობიექტები ამუშავდეს, იმისათვის, რომ შემოსავალი გაგვიჩნდეს, რაც ფრიად მომგებიანი იქნება.”

აღინიშნა, რომ მომხსენებელი ითვალისწინებს კონტექსტს, ინფორმაციის მიმღების გამოცდილებას. აბზაცის მესამე მონაკვეთში (3) წარმოდგენილი არის მცირე შედარება წარსულსა და სამომავლოდ დაგეგმილ პროცესებს შორის. შუალედური ანგარიში „საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი“, რომელიც მომზადდა ფონდ „ლიბერალური აკადემია თბილისის“ პროექტის „ტრანსფორმაცია საქართველოში – მნიშვნელოვანი შედეგები“ ფარგლებში ამ პროცესს შემდეგნაირად აღწერს: „1997 წლიდან, მასობრივ პრივატიზებაში ჩაერთო მთელი მოსახლეობა და დაიწყო მსხვილი საწარმოების პრივატიზება სააქციო საზოგადოებებად მათი გარდაქმნით, თუმცა ეს საწყის ეტაპზე ძირითადად განხორციელდა პოლიტიკური მიზნებით...და მისი მიზანი, მოზიდული ყოფილიყო უცხოური ინვესტიციები, ნაკლებად შედეგიანი იყო. ამასთან, როდესაც საკონტროლო პაკეტი იყიდებოდა, ბიუჯეტში შესული თანხები კი არ ხმარდებოდა კომპანიების რეინვესტირებას, შესაბამისად, ეს საწარმოები რთული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ... მიუხედავად საწარმოების განსახელმწიფოებრიობისა, ეკონომიკა მხოლოდ უმნიშვნელოდ ვითარდებოდა და საწარმოები განიცდიდნენ ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების და პერსონალის ნაკლებობას. კერძო მესაკუთრეებს არ ჰქონდათ არავითარი გამოცდილება დამოუკიდებელი საწარმოს ფუნქციონირებისათვის. ამიტომ საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა გაჩერდა და ვერ შეძლო

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლა... ამდენად, პრივატიზების პროცესმა ვერ უზრუნველყო ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა (გვ: 14-15).“

2005 წლის ანგარიშის აბზაცის მიხედვით, ჩანს მომხსენებლის სწრაფვა, დაარწმუნოს მსმენელი პრივატიზაციის პროცესის პოზიტიურობაში, მისი გაგრძელების აუცილებლობაში, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლას და ლიბერალური ეკონომიკის განვითარებას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2006 წლის საპარლამენტო ანგარიშის ტექსტის უდიდეს ნაწილში ღიად არის გამოხატული ლიბერალური იდეოლოგია, მოწოდება **ლიბერალური ეკონომიკის** სიკეთეთა შესახებ. სანამ პრეზიდენტი ქვეყანაში ეკონომიკის ლიბერალიზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებზე და მათ პოზიტიურ შედეგებზე ვრცლად ისაუბრებს, იგი წარმოადგენს ემოციურ აბზაცს, რომელიც ქართველი ერის თავისუფლების სიყვარულს ეძღვნება. ვფიქრობ, რომ ამ აბზაცით იგი ცდილობს, იმპლიციტურად დააკავშიროს ლიბერალური იდეოლოგია ქვეყნის ისტორიულ მისწრაფებებთან. ამ კონკრეტული დისკურსის სტრუქტურას რომ მივადევნოთ თვალყური, შემდეგ (თემატურ) განლაგებას მივიღებთ:

- ამოცანის დასახვა: ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო სწორი მიმართულების დადგენა / ანალიზი;
- დასაწყისი - „ვარდების რევოლუცია“;
- **აბზაცი თავისუფლების სიყვარულის შესახებ;**
- აწმყო (2006 წელი) ქვეყნის წარმატება ეკონომიკის განვითარების კუთხით, წარმატება ლიბერალური ეკონომიკის განვითარების კუთხით, ძალისხმევათა დადებითი შედეგები;
- ქვეყნის საერთაშორისო აღიარება თავისუფალი ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით;

ქართველი ერის თავისუფლების სიყვარულის შესახებ აბზაცის კონტექსტი, მისი მდებარეობა ზემოთმოცემულ ჩამონათვალში გვაძლევს საფუძველს მივიჩნიოთ, რომ იგი სწორედ იდეოლოგიასთან მიმართებაშია მოყვანილი და იმპლიციტურად ემსახურება ლიბერალიზმის წამყვან იდეოლოგიად ლეგიტიმაციას:

„ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორია თავისუფლებისთვის ბრძოლაა, ხოლო მისი ყველა გამარჯვება თავისუფლების სახელითაა მოპოვებული. ჩვენი პატარა,

მაგრამ ათასწლებგამოვლილი ერის მთავარი ძალა თავისუფლების სიყვარულია. საქართველოს შვილი მზადაა ყველა გამოწვევას გაუძლოს და ნებისმიერი სირთულე აიტანოს, რათა თავისუფლება არ დათმოს.”

მაშასადამე, პრეზიდენტი ამავდროულად აყალიბებს დამოკიდებულებას, რომ სახელისუფლებო ჯგუფის იდეოლოგია უკავშირდება ქვეყნის ისტორიულ მისწრაფებებს. ამ კუთხით იგი ახდენს ლიბერალური იდეოლოგიის არა მხოლოდ ლეგიტიმაციას, არამედ მის გრძელვადიან პერსპექტივაში დამკვიდრებას.

დადებით კონტექსტშია წარმოდგენილი საბაზრო ეკონომიკის თანმდევი პროცესი - პრივატიზაცია, რის შესახებაც პრეზიდენტი წინა წლის საანგარიშო მოხსენებაშიც საუბრობს. პრივატიზაციის შესახებ აბზაცი ხასიათდება განვითარებისა და ზრდის მნიშვნელობის შემცველი ლექსიკური ერთეულებით: დინამიკა, შემოსავალი, ინვესტიციების მოზიდვა, რეკორდული შემოსავალი. ამასთან, წარმოდგენილია პროგრესის მაჩვენებელი სტატისტიკური მონაცემები. მომხსენებელი კიდევ ერთხელ განმარტავს და განასხვავებს პრივატიზაციის პროცესს წარსულსა და აწმყოში, რითაც იგი კიდევ ერთხელ ითვალისწინებს კონტექსტს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

„გასული წლების განმავლობაში ობიექტების „პრივატიზაცია“ ხდებოდა და მთელი ფულის კონკრეტული ადამიანების ჯიბეებში მიდიოდა.” (რა იყო წარსულში)

პრივატიზაცია, რეალურად, ინვესტიციების მოზიდვის საშუალებაა” (განმარტება პროცესის ნამდვილი დანიშნულების შესახებ).

2006 წლის ანგარიშში საქართველოს ლიბერალური ეკონომიკის განვითარების კონტექსტში საუბარია ასევე ლიბერალ საგადასახადო კოდექსზე, მეწარმეთა თავისუფლებაზე, მეცნიერების თავისუფლებაზე, მაკონტროლებელის შემცირებაზე, ლიცენზიების გამარტივების წესებზე, რაც პირდაპირ აუღერებს იდეოლოგიას. მაგალითად:

„მანამდე არსებული ლიცენზიებისა და ნებართვების, დაახლოებით, 60 პროცენტი გაუქმდა და სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის ფორმები მინიმუმამდე შემცირდა”.

მომხსენებელი ეკონომიკის ლიბერალიზაციის თანმდევ, საჭირო გაგრძელებად შრომის ლიბერალური კანონმდებლობის შექმნას ასახელებს. ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების გაგრძელებასა და მათ შეუქცევადობაზე საუბრობს

პრეზიდენტი 2010 წლის საანგარიშო მოხსენებაში. შეიძლება ითქვას, რომ მსჯელობას არგუმენტაციული ხასიათი აქვს:

- (1) „მთავარი აქცენტები გადატანილი იქნება ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების გაგრძელებასა და მათ შეუქცევადობაზე (რა ნაბიჯი გადაიდგმება სამომავლოდ, რისი საჭიროება არსებობს)
- (2) **იმისათვის, რომ** შევინარჩუნოთ ჩვენი პოზიციები და უფრო წინ წავიწიოთ ინვესტიციების მოზიდვის კუთხით (წინამძღვრება, მსჯელობის გამყარება, თუ რატომ უნდა გაგრძელდეს ლიბერალური რეფორმები).”

ეკლავ ეკონომიკის ლიბერალიზაციას უკავშირდება იდეოლოგიის ამსახველი ტექსტი **2010 წლის** ანგარიშის მიხედვით. ხაზგასმულია მთავრობის ეკონომიკაში მინიმალური ჩარევის, შემცირებული გადასახადების როლი და მნიშვნელობა ქვეყანაში ინვესტიციის მოზიდვის კუთხით.

„ლიბერალური პრინციპების ერთგულებამ შეგვაძლევინა, რომ 2009 წელს ჩვენმა ქვეყანამ ბიზნესის კეთების სიმარტივის მსოფლიო რეიტინგში მე-11-ე ადგილზე გადაინაცვლა.”

ზემოაღნიშნული აბზაცი არგუმენტაციული ხასიათის მტკიცებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან მისი გამყარება ანგარიშში წარმოდგენილი მაგალითით ხდება. პრეზიდენტი საუბრობს ამერიკელ წყვილზე, რომელმაც საქართველოში ბიზნესის განვითარება გადაწყვიტა სწორედ ლიბერალური გარემოს გამო.

2005, 2006 და 2010 წლების საპარლამენტო ანგარიშების მიხედვით, პრეზიდენტის მოწოდება ლიბერალური ფასეულობების გაზიარებასთან მიმართებაში უკავშირდება ლიბერალური ეკონომიკის განვითარებას. მოწოდება არის ღია და ინფორმაციის მიმღებისთვის ადვილად აღსაქმელი. აღვნიშნეთ, რომ „კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ჯანსაღი სოციალური ცხოვრების ბაზისურ პრინციპებად გამოცხადება” უკავშირდება **ლიბერტარიანიზმს**. შესაბამისად, 2005, 2006 და 2010 წლების ანგარიშების ტექსტების მიხედვით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ იდეური მიმართულება, რომელსაც მომხსენებელი იზიარებს არის **ლიბერტარიანიზმი**. აქვე, საინტერესოა, რომ 2011 წლის საანგარიშო მოხსენებაში „ეკონომიკური ლიბერალიზმის ყველაზე მკაფიო ფორმა” სახეცვლილია. 2011, 2012 წლების საპარლამენტო ანგარიშის ტექსტები მეტწილად სოციალურ საკითხებზე

ამახვილებს ყურადღებას. საზგასმულია სახელმწიფოს მონაწილეობა სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულების სტიმულირების პროცესში:

„ჩვენ დავინახეთ, რომ სახელმწიფოს აქტიური, ბიზნესთან მჭიდრო პარტნიორული, ჩართულობის შედეგად გაცილებით უფრო სწრაფად და კარგად ორგანიზებულად ხორციელდება პროგრესი.“ (2011)

„დღეს სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობით და კერძო სექტორთან ძალიან ინტენსიური თანამშრომლობით იქმნება ახალი კურორტები.“ (2011)

3.4 ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბარაკ ობამას წლიური ანგარიში - **The State of the Union address**

ყოველწლიურად საანგარიშო მოხსენებას კონგრესის წინაშე წარადგენს ასევე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. **State of the Union address** მიმართვის ვალდებულებას პრეზიდენტს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია აკისრებს: „პრეზიდენტმა დროდადრო კონგრესს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კავშირში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და წარუდგინოს კონგრესს განსახილველად რეკომენდაციები და ღონისძიებები, რომლებსაც ის აუცილებლად და მიზანშეწონილად ჩათვლის (ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, მუხლი 2, ნაწილი 3)“. საანგარიშო მოხსენება კონგრესის წინაშე პირველად პრეზიდენტმა ჯორჯ უოშინგტონმა წარადგინა 1790 წლის 8 იანვარს. ამ საჯარო გამოსვლის თითოეული დეტალი, ყველა პროტოკოლური საკითხი (მათ შორის სტუმრების სია, მათი განთავსება დარბაზში) ყოველთვის იყო ყურადღებით გაწერილი და განსაკუთრებული შინაარსის მატარებელი. სწორედ ამიტომ, ამ კონტექსტში წარმოთქმულ საჯარო სიტყვა ანალიზის თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა³.

³ ამერიკის პრეზიდენტების საჯარო მიმართვების შესახებ საინტერესო მასალაა თავმოყრილი პროექტის – The American Presidency Project ფარგლებში. www.presidency.ucsb.edu/sou.php

ამერიკის შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტი ბარაკ ობამა

2009 - 2016 წლების განმავლობაში აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 7 საანგარიშო მიმართვა წარადგინა კონგრესის წინაშე. ხაზგასასმელია, რომ პრეზიდენტი გამოიჩინა დამარწმუნებელი კომუნიკაციით, ქარიზმატული საჯარო მიმართვებით და არგუმენტირებული მსჯელობით. **State of the Union** საჯარო მიმართვების დროს ბარაკ ობამა ხშირად მიმართავს იუმორს, მსმენელს/ ინფორმაციის მიმღებს მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს (ტექსტებში ვლინდება ენის ინტერპერსონალური ფუნქცია). მომხსენებლის ყველა **State of the Union** მიმართვაში ჭარბობს პრაგმატული მსჯელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ.

საჯარო მიმართვების ანალიზის დროს პრაქტიკული არგუმენტაციის ძიების პროცესში, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო თემა, რომელიც ბარაკ ობამას საანგარიშო მიმართვებში არის ერთ-ერთი წამყვანი თემა და წარმოდგენილია, როგორც **არსებული გამოწვევებისა და სირთულეების დაძლევის გზა**, სამომავლოდ რეოლუციური წინსვლის მექანიზმი, ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ლიდერობის წინაპირობა. ეს არის სახელმწიფოს მიერ მეცნიერებისა და ინოვაციების ხარდაჭერა, სამეცნიერო პროექტების განხორციელება და კონკრეტული გამოწვევებისთვის **კვლევაზე დაფუძნებული პასუხების ძიება**. ჩემი აზრით, ამგვარი მიდგომა არის პრაგმატული და სწორი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პრეზიდენტის მიერ იდენტიფიცირებულია ყველაზე აქტუალური დარგები და მწვავე პრობლემები, რომელთა გადაჭრაც სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა და კვლევითი პროექტების გარეშე წარმოუდგენელია. სამწუხაროა, რომ ამ მიმართულების განხილვას საქართველოს პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენებებში ადგილი დათმობილი არ აქვს.

State of the Union address, 2010

2010 წლის მიმართვაში პრეზიდენტმა ობამამ გააჟღერა მოწოდება **ინოვაციისა და ფუნდამენტური კვლევის გაძლიერების/ ხელშეწყობის** შესახებ. კვლევაში ინვესტიცია წარმოდგენილია, როგორც ეკონომიკური ზრდის და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა. სამეცნიერო მიმართულებებიდან უპირატესობა აქვს მინიჭებული ენერგეტიკას, კერძოდ, განახლებად ენერგეტიკას, რომელიც ნაკლებად დააბინძურებს გარემოს, იქნება ფინანსურად მომგებიანი და

შექმნის სამუშაო ადგილებს. სამეცნიერო პრიორიტეტი - ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯია წარმოდგენილია ინტერდისციპლინურ კონტექსტში, მჭიდრო კავშირში ეკონომიკურ განვითარებასთან და ამ გზით მსოფლიო ლიდერობასთან:

„ Next, we need to encourage American innovation. Last year, we made the largest investment in **basic research funding** in history, an investment -- an investment that could lead to the world's cheapest solar cells or treatment that kills cancer cells but leaves healthy ones untouched. And no area is more ripe for such innovation than energy. You can see the results of last year's investment in clean energy in the North Carolina company that will create 1200 jobs nationwide helping to make advanced batteries, or, in the California business that will put a thousand people to work making solar panels.

But to create more of these clean energy jobs, we need more production, more efficiency, more incentives. And that means building a new generation of safe, clean nuclear power plants in this country. It means making tough decisions about opening new offshore areas for oil and gas development. It means continued investment in advanced biofuels and clean coal technologies. And yes, it means passing a comprehensive energy and climate bill with incentives that will finally make clean energy the profitable kind of energy in America...

Here's the thing: Even if you doubt the evidence, providing incentives for energy efficiency and clean energy are the right thing to do for our future because the nation that leads the clean energy economy will be the nation that leads the global economy. And America must be that nation.“

მოცუვლი აბზაცის პრაქტიკული არგუმენტული სქემა შემდეგია:

მიზანი: ამერიკა უნდა იყოს გლობალური ეკონომიკის ლიდერი -The nation that leads the clean energy economy will be the nation that leads the global economy. And America must be that nation.

მოწოდება: Next, we need to encourage American innovation / უნდა გავაძლიეროთ ამერიკული ინოვაცია.

არსებული მდგომარეობა: - გასულ წელს ფუნდამენტურ კვლევით პროექტში უმსხვილესი ინვესტიცია ჩაიდო. ენერჯეტიკის დარგში კომპანიაში განხორციელებულმა ინვესტიციამ სამუშაო ადგილები შექმნა.

Means-Goal premise:

- ენერგოეფექტურობის მიმართულებით ხელშემწყობი ნაბიჯების გატარება.
- წარმოებისა გაზრდა, მეტი ოფშორული ზონის გახსნა;
- ბიოტექნოლოგიებში ინვესტიციის გაზრდა;
- ენერგეტიკისა და კლიმატის მიმართულებით ისეთი კანონპროექტის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს სუფთა ენერჯის შემოსავლიანობას ამერიკაში.

ღირებულება /value premise: ალტერნატიული ენერჯის წყაროში ინვესტიცია არის სწორი გზა მომავლისთვის - the right thing to do for our future.

ჩემი აზრით, არგუმენტის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთთან გონივრულად არის დაკავშირებული: მიზნის მისაღწევად დასახული გზები სწორად არის შერჩეული. ალტერნატიული ენერჯის წყაროებზე მუშაობა მსოფლიოს წამყვანი კლასტერების, ინდუსტრიულ და კვლევითი ცენტრების ამოცანაა. ცხადია, სწორი სამართლებრივი ჩარჩო ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი მხარდამჭერი მექანიზმია. დამატებითი მსჯელობა არგუმენტს უფრო ინფორმატიულს გახდიდა, თუმცა, საანგარიშო მიმართვის დროს საკითხის წამოწევა, გარკვეულწილად, მნიშვნელოვანი ნაბიჯია მეცნიერების სფეროს მხარდასაჭერად.

State of the Union address, 2011

2011 წლის საჯარო მიმართვის ტექსტში მისაღმებისა და შესავალი ნაწილის შემდეგ, **პირველივე აბზაცი, რომელიც ეთმობა განსახორციელებელ პოლიტიკას, გადასადგმელ ნაბიჯებს, არის პრაქტიკული არგუმენტის შემცველი ტექსტი ინოვაციების მხარდაჭერის შესახებ (2011 წლის საჯარო მიმართვის ტექსტი სულ 6878 სიტყვისგან შედგება. მეცნიერებისა და ინოვაციების შესახებ მსჯელობას ეთმობა 935 სიტყვა, ტექსტის, დაახლოებით 13%).** კვლავინდებურად, ინოვაცია განიხილება ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევასთან, ინდუსტრიასთან, ეკონომიკის განვითარებასთან და სამუშაო ადგილებთან ერთობლიობაში. ხაზგასმულია, რომ ყველა მიღწევას, წარსულში ძნელად წარმოსადგენ შესაძლებლობას, ფინანსურად მომგებიან ინოვაციას და შექმნილ სამუშაო ადგილებს საფუძვლად უდევს **ფუნდამენტური კვლევა.** იდენტიფიცირებული პრაქტიკული არგუმენტის სქემა არის შემდეგი:

მიზანი: სუფთა ენერგეტიკულ წყაროებზე გადასვლა.

„So tonight, I challenge you to join me in setting a new goal: By 2035, 80 percent of America’s electricity will come from clean energy sources. Some folks want wind and solar. Others want nuclear, clean coal and natural gas. To meet this goal, we will need them all -- and I urge Democrats and Republicans to work together to make it happen”.

მოწოდება/რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ/ Claim for Action:

„We’re telling America’s scientists and engineers that if they assemble teams of the best minds in their fields, and focus on the hardest problems in clean energy, we’ll fund the Apollo projects of our time”

ღირებულება: winning the future (The first step in winning the future is encouraging American innovation)

არსებული ვითარება:

- ამერიკა არის ქვეყანა, სადაც ინოვაციები და მეცნიერული პროდუქტი ხდება შემოსავლის წყარო.
- განახლებადი ენერჯის დარგის პერსპექტიულობა უკვე სახეზეა და გარკვეული შედეგები ღვება.

We’re the nation that put cars in driveways and computers in offices; the nation of Edison and the Wright brothers; of Google and Facebook. In America, innovation doesn’t just change our lives. It is how we make our living. Our free enterprise system is what drives innovation.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირი/ Means - Goal premise:

- ფუნდამენტურ კვლევისა და მეცნიერების მხარდაჭერა:

„But because it’s not always profitable for companies to invest in basic research, throughout our history, our government has provided cutting-edge scientists and inventors with the support that they need. That’s what planted the seeds for the Internet. That’s what helped make possible things like computer chips and GPS. Just think of all the good jobs -- from manufacturing to retail -- that have come from these breakthroughs”.

- ინვესტირება ბიომედიცინის კვლევაში, საინფორმაციო ტექნოლოგიებში, ენერგეტიკაში:

„in a few weeks, I will be sending a budget to Congress that helps us meet that goal. We’ll invest in biomedical research, information technology, and especially clean energy technology -- an

investment that will strengthen our security, protect our planet, and create countless new jobs for our people”.

- კერძო სექტორის, პრიორიტეტულ სამეცნიერო დარგში მოღვაწე კერძო კომპანიების მხარდაჭერა სახელმწიფო სესხით:

„Robert and Gary Allen are brothers who run a small Michigan roofing company. After September 11th, they volunteered their best roofers to help repair the Pentagon. But half of their factory went unused, and the recession hit them hard. Today, with the help of a government loan, that empty space is being used to manufacture solar shingles that are being sold all across the country. In Robert’s words, “We reinvented ourselves.” That’s what Americans have done for over 200 years: **reinvented ourselves**. And to spur on more success stories like the Allen Brothers, we’ve begun to reinvent our energy policy”.

- განახლებადი ენერჯის დაფინანსება

„So instead of subsidizing yesterday’s energy, let’s invest in tomorrow’s. Now, clean energy breakthroughs will only translate into clean energy jobs if businesses know there will be a market for what they’re selling”.

- დემოკრატიებისა და რესპუბლიკელების ერთობლივი მუშაობა ამ მიმართულებით, მიზნის მისაღწევად ძალების გაერთიანება.

ზემოაღნიშნული პრაქტიკული არგუმენტი, ჩემი აზრით, არის სწორად აგებული და დამარწმუნებელი. უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტი ასახელებს პრიორიტეტებს მეცნიერების დარგში. ცნობილია, რომ როდესაც ქვეყანას აქვს გეგმა ან ამბიციის, განავითაროს კონკურენტუნარიანი კვლევა და ინოვაცია, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს იდენტიფიცირებული მეცნიერების პრიორიტეტული დარგები – სად აქვს მეტი რესურსი, მეტი შესაძლებლობა და რომელი დარგების დაფინანსება იქნება უფრო მომგებიანი საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. პრეზიდენტი ობამა ასახელებს კვლევით მიმართულებებს, რომელთა გაძლიერებისა და დაფინანსების გაზრდის შემდეგ სახეზე იქნება უდიდესი პროგრესი, ეკონომიკური ზრდა, გაჩნდება მეტი სამუშაო ადგილი და უზრუნველყოფილი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ლიდერობა. ხაზგასასმელია, რომ პრეზიდენტი მეცნიერებას არ განიხილავს მხოლოდ აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან, კვლევით ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან მიმართებაში. ფუნდამენტურ კვლევას იგი განიხილავს კერძო კომპანიებთან ერთად, მოჰყავს კოლაბორაციის ნიმუშები და, პრაქტიკულად, გამორიცხავს მეცნიერებისა და კერძო სექტორის

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მუშაობას. ამ დამოკიდებულებას პრეზიდენტი გამოხატავს მდიდარი ენობრივი საშუალებებით, რითაც კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის კომუნიკაციას:

„We’re telling America’s scientists and engineers that if they assemble teams of the best minds in their fields, and focus on the hardest problems in clean energy, **we’ll fund the Apollo projects of our time**”.

შთამბეჭდავად არის გამოსატული პრაქტიკული არგუმენტის მიზანი. დასახელებულია კონკრეტული თარიღი და ამოცანა, თუ რას უნდა მიაღწიოს სახელმწიფომ დათქმული დროისათვის. საკითხის დაკონკრეტება და ცხადი ამოცანების დასმა საჯარო გამოსვლას ხდის დამაჯერებელს და ზრდის რეალისტურობის ხარისხს. დარგის ექსპერტებთან ერთად შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად მიღწევადია მიზანი დასახულ ვადებში, მაგრამ ენობრივი ხერხების თვალსაზრისით, კომუნიკაცია ნამდვილად არის შთამბეჭდავი და გამოიყურება რეალისტურად. მიზნის მიღწევის გზები/ means goal premise, ვფიქრობ, ნამდვილად შეესაბამება მოწოდებას/ claim for action. მიმაჩნია, რომ მოწოდება, რომელიც 2011 წელს გააუღერა პრეზიდენტმა ობამამ, დღესაც აქტუალურია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ სხვა ქვეყნების, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვისაც – მენციერებისა და ინჟინრების, კვლევისა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა კოლაბორაცია პრიორიტეტული დარგის ირგვლივ, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების მობილიზებას უფრო ეფექტიანი, გამოყენებითი პროდუქტის მიღებას.

State of the Union address, 2012

პრეზიდენტი ობამა მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების საჭიროებაზე ვრცლად საუბრობს 2012 წლის მიმართვაშიც. საკითხი კვლავ მჭიდრო კავშირშია სამუშაო ადგილების შექმნასთან და კერძო სექტორის განვითარებასთან. პრაქტიკული არგუმენტის სქემა არის შემდეგი:

მიზანი: ამერიკა უნდა გახდეს მსოფლიოში წამყვანი მწარმოებელი ქვეყანა, რომელსაც ექნება ეკოლოგიურად სუფთა ენერჯია -

„America will have less pollution, more manufacturing, more jobs for construction workers who need them. Send me a bill that creates these jobs.

არსებული ვითარება: ამერიკა ყოველითვის იყო ინოვაციური ქვეყანა.

„After all, innovation is what America has always been about. Most new jobs are created in start-ups and small businesses”.

მოწოდება/ **Claim for action:** მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიის თანამშრომლობის გაძლიერება.

„So let’s pass an agenda that helps them (start-ups and small businesses) succeed.

Growing industries in science and technology have twice as many openings as we have workers who can do the job. Think about that -- openings at a time when millions of Americans are looking for work. It’s inexcusable. And we know how to fix it”.

Means-Goal Premise:

- მეწარმეთათვის რეგულაციების შემცირება - Tear down regulations that prevent aspiring entrepreneurs from getting the financing to grow.
- მცირე ბიზნესისთვის გადასახადების შემსუბუქება, Expand tax relief to small businesses that are raising wages and creating good jobs. Both parties agree on these ideas. So put them in a bill, and get it on my desk this year.
- ფუნდამენტური კვლევის ხელშეწყობა, უნივერსიტეტების როლის გაძლიერება; Innovation also demands basic research. Today, the discoveries taking place in our federally financed labs and universities could lead to new treatments that kill cancer cells but leave healthy ones untouched.
- ალტერნატიული ენერჯის წყაროებზე მუშაობა (პრიორიტეტული დარგი კვლავ დასახელებულია – **Clean energy**);
- დემოკრატიებისა და რესპუბლიკელების ერთობლივი ძალისხმევა მიზნის მისაღწევად.

წინა წლის მიმართვის ტექსტში იდენტიფიცირებული პრაქტიკული არგუმენტის მსგავსად, 2012 წლის ანგარიშის ეს არგუმენტიც თანმიმდევრული და ენობრივი ხერხებით გაჯერებულია. მეწარმეებისათვის უფრო მოქნილი და ხელშემწყობი პირობების შექმნისკენ მოწოდების დროს პრეზიდენტი კონგრესისგან ითხოვს სწრაფ რეაგირებას და იყენებს მეტაფორას:

“Tear down regulations that prevent aspiring entrepreneurs from getting the financing to grow”

State of the Union address, 2013

2013 წლის საანგარიშო მიმართვაში პრეზიდენტი ობამას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწოდებაა, მეცნიერებისა და ინოვაციის სფეროში ინვესტიციის გაზრდა:

„**Now is not the time** to gut these job-creating investments in science and innovation. **Now is the time** to reach a level of research and development not seen since the height of the Space Race. We need to make those investments”.

მოწოდების გამომსახველობითობას აძლიერებს ფორმა - **Now is not the time**. ცნობლია, რომ მოწოდების ამ ფორმას მიმართა მარტინ ლუთერ კინგმა ცნობილ საჯარო მიმართვაში 1963 წლის 18 აგვისტოს:

„We have also come to this hallowed spot to remind America of the fierce urgency of Now. **This is no time** to engage in the luxury of cooling off or to take the tranquilizing drug of gradualism. **Now is the time** to make real the promises of democracy. **Now is the time** to rise from the dark and desolate valley of segregation to the sunlit path of racial justice. **Now is the time** to lift our nation from the quicksands of racial injustice to the solid rock of brotherhood. Now is the time to make justice a reality for all of God's children” (მარტინ ლუთერ კინგი, 1963).

მოწოდების ამ ფორმით, ვფიქრობ, პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საკუთარ პატივისცემას ამერიკის ისტორიის და ამერიკის გამორჩეული ლიდერების მიმართ, ასევე ყურადღება გაამახვილა მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში დაფინანსების გაზრდის და სწრაფი რეაგირების საჭიროებაზე. ენერგეტიკის სფეროს პრიორიტეტულობა კვლავ დღის წესრიშია და იკვეთება კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების აუცილებლობა:

„for the sake of our children and our future, we must do more to combat climate change. Now, it's true that no single event makes a trend. But the fact is the 12 hottest years on record have all come in the last 15. Heat waves, droughts, wildfires, floods -- all are now more frequent and more intense. We can choose to believe that Superstorm Sandy, and the most severe drought in decades, and the worst wildfires some states have ever seen were all just a freak coincidence. Or we can choose to believe in the overwhelming judgment of science -- and act before it's too late”.

პრაქტიკული არგუმენტის სქემა არის შემდეგი:

მოწოდება /Claim for action: მეტი ალტერნატიული ენერჯის გამომუშავება.

So let's generate even more. Solar energy gets cheaper by the year -- let's drive down costs even further. As long as countries like China keep going all in on clean energy, so must we.

მიზანი: I'm also issuing a new goal for America: Let's cut in half the energy wasted by our homes and businesses over the next 20 years.

Means-Goal premise:

- კვლევისა და ტექნოლოგიების მხარდაჭერა, რომელიც ხელს შეუწყობს ბუნებრივი გაზის სუფთად წვას და დაიცავს ჰაერისა და წყლის სისუფთავეს;
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- პროგრამა 'Fix-It-First';
- ბიზნესის საკეთებლად პირობების გაუმჯობესება;
- კვლევასა და ინოვაციებში ინვესტირება.

ვხედავთ, რომ პრიორიტეტული სამეცნიერო დარგი, მეცნიერებასა და ინდუსტრიას შორის მჭიდრო კავშირი კვლავ წარმოდგენილი აამერიკის ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალად.

State of the Union address, 2014

2014 წლის საანგარიშო მიმართვა არ წარმოადგენს გამონაკლისს, კვლევისა და ინოვაციის როლი ქვეყნის განვითარების პროცესში ამჯერადაც ხაზგასმულია: „We know that the nation that goes all-in on innovation today will own the global economy tomorrow. This is an edge America cannot surrender”.

მიზანი: მეტი სამუშაო ადგილის შექმნა

We also have the chance, right now, to beat other countries in the race for the next wave of high-tech manufacturing jobs.

არსებული ვითარება: სახელმწიფომ დააფინანსა კვლევა, რომელიც ინოვაციის საფუძველი გახდა. სახელმწიფო ადმინისტრაცია ზრუნავს კვლევი უნივერსიტეტებისა და ბიზნესს შორის კავშირების გამყარებაზე.

Federally-funded research helped lead to the ideas and inventions behind Google and smartphones.

My administration has launched two hubs for high-tech manufacturing in Raleigh and Youngstown, where we've connected businesses to research universities that can help America lead the world in advanced technologies.

Claim for action:

- საპატენტო კანონპროექტის მიღება, რომელიც ბიზნესს საშუალებას მისცემს ინოვაციებზე გაამახვილოს ყურადღება.

Let’s pass a patent reform bill that allows our businesses to stay focused on innovation, not costly, needless litigation.

- მეწარმეთა მხარდაჭერა, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა.

State of the Union address, 2015

ტრადიციულად, სამეცნიერო კვლევას, ტექნოლოგიებსა და ინოვაციას უკავშირდება ბიზნესის და ეკონომიკის განვითარება 2015 წლის საანგარიშო მიმართვაში:

„Twenty-first century businesses will rely on American science and technology, research and development. I want the country that eliminated polio and mapped the human genome to lead a new era of medicine -- one that delivers the right treatment at the right time”.

მიზანი: ახალი სამეცნიერო აღმოჩენების გაკეთება ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით:

Kinds of discoveries that unleash new jobs -converting sunlight into liquid fuel; creating revolutionary prosthetics, so that a veteran who gave his arms for his country can play catch with his kids again. Pushing out into the solar system not just to visit, but to stay.

Means Goal premise:

- ახალი პროგრამის შემუშავება მედიცინის დარგში

Tonight, I’m launching a new Precision Medicine Initiative to bring us closer to curing diseases like cancer and diabetes, and to give all of us access to the personalized information we need to keep ourselves and our families healthier. We can do this.

- ინტერნეტზე თავისუფლად წვდომის უზრუნველყოფა;
- კომპანიების, მცირე ბიზნესის მხარდაჭერა.

2010-2016 წლების მიმართებიდან გამოყოფილი 2016 წლის მიმართვის ტექსტს, რომელიც აგებულია მომხსენებლის მიერ დასმული **ოთხი შეკითხვის ირგვლივ**. მიმართვას აქვს რიტორიკული ხერხებით გაჯერებული შესავალი და მეტად ემოციურ დასკვნითი ნაწილი. 2016 წლის საჯარო სიტყვა - **State of the Union address** ბარაკ ობამას ბოლო მიმართვაა კონგრესის შენობიდან პრეზიდენტის რანგში.

ვრცელ მიმართვაში პრეზიდენტი მრავალ საინტერესო საკითხს ეხება, თუმცა ძირითად ნაწილში თავად გამოყოფს შემდეგ ოთხ მიმართულებას: **ეკონომიკა, ტექნოლოგიების გამოყენება გამოწვევებზე საპასუხოდ, უსაფრთხოება და ამერიკული პოლიტიკა**. თემატურად ტექსტის ამგვარ ორგანიზებას მომხსენებელი ოთხი შესაბამისი შეკითხვის მეშვეობით უზრუნველყოფს, რაც კომუნიკაციის აღქმას და დამახსოვრებას ამარტივებს, მოხსენებას უფრო ეფექტიანს და დამარწმუნებელს ხდის. ხშირად გამოყენებულ ენობრივ საშუალებებს შორის გამოირჩევა:

ლექსიკური გამეორება და ხაზგასმა:

„Equal pay for equal work”

“That’s why we built a global coalition...

That’s how we stopped the spread of Ebola in West Africa...

That’s how we forged a Trans-Pacific Partnership to open markets...

That’s why we restored diplomatic relations”

ერის ლიდერისათვის დამახასიათებელი მოწოდება

„So, my fellow Americans, whatever you may believe, whether you prefer one party or no party, our collective future depends on your willingness to uphold your obligations as a citizen. To vote. To speak out. To stand up for others, especially the weak, especially the vulnerable, knowing that each of us is only here because somebody, somewhere, stood up for us. To stay active in our public life so it reflects the goodness and decency and optimism that I see in the American people every single day”.

საჯარო მიმართვის დროს პრეზიდენტი საკუთარ თავს თითქმის არასდროს განაცალკევებს საზოგადოებისაგან, უდიდეს პატივისცემას და მაღლიერებას გამოხატავს ამერიკელი ხალხის მიმართ და ხაზს უსვამს ერთობას.

ცვლილების კონცეფციის ირგვლივ მსჯელობის აგება. ცვლილება, როგორც პროგრესის საფუძველი:

„We live in a time of extraordinary change—change that’s reshaping the way we live, the way we work, our planet and our place in the world. It’s change that promises amazing medical breakthroughs, but also economic disruptions that strain working families...”
„It’s change that can broaden opportunity, or widen inequality”.

ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიოს წამყვანი და მხსნელი სახელმწიფოს წარმოჩენა:

„The United States of America is the most powerful nation on Earth. Period” (2016 წლის საანგარიშო მიმართვა).

„Our unique strengths as a nation—our optimism and work ethic, our spirit of discovery and innovation, our diversity and commitment to the rule of law—these things give us everything we need to ensure prosperity and security for generations to come”.

„That spirit of discovery is in our DNA. We’re Thomas Edison and the Wright Brothers and George Washington Carver. We’re Grace Hopper and Katherine Johnson and Sally Ride. We’re every immigrant and entrepreneur from Boston to Austin to Silicon Valley racing to shape a better world. And over the past seven years, we’ve nurtured that spirit”.

აღსანიშნავია, რომ ეს კონცეფცია მკაფიოდ არის წარმოდგენილი პრეზიდენტ ობამას სხვა წლების საანგარიშო სიტყვაშიც. ამერიკის, როგორც მსოფლიოს უპირობო ლიდერის რეპრეზენტაცია გამოხატულია სხვადასხვა მიმართულებაში: მეცნიერებაში, მეწარმეობაში, მედიცინაში, ეკონომიკაში და ა. შ.

„The United States is better-positioned for the 21st century than any other nation on Earth” (2014 წლის საანგარიშო მიმართვა).

„My fellow Americans, no other country in the world does what we do, On every issue, the world turns to us” (2014 წლის საანგარიშო მიმართვა).

რაც შეეხება **პრაქტიკული არგუმენტის** სქემას, აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამას საანგარიშო სიტყვა გაჯერებულია არგუმენტირებული და წინამძღვრებებით გამყარებული მსჯელობით. როდესაც მოვახდინეთ პრაქტიკული არგუმენტების იდენტიფიცირება, აღმოჩნდა, რომ მომხსენებლის მოწოდება გარკვეული ნაბიჯის გადასადგმელად (Claim for action) ნამდვილად შეიცავს

შესაბამის წინამძღვრებებს, რომლებიც ბმაშია მოწოდებასთან. მაგალითისთვის, როგორც აღვნიშნეთ, 2016 წლის საანგარიშო სიტყვის ერთ-ერთი მიმართულება ტექნოლოგიური განვითარების შესახებ ფორმულირებულია კითხვის მეშვეობით: „Second, how do we make technology work for us, and not against us—especially when it comes to solving urgent challenges like climate change?” ამ მიმართულებასთან დაკავშირებულ მსჯელობაში მომხსენებელი განიხილავს იმ ნაბიჯებს, რაც უნდა გადაიდგას სახელმწიფოს მიერ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. გამოცდილი ლიდერი აქვს კონკრეტულ, ამბიციურ მოწოდებას: **ამერიკამ უნდა შეძლოს კიბოს განკურნება**. ერის და სახელმწიფოს წინაშე ამ ამოცანის დასახვა ხაზს უსმევს ამერიკის შეერთებული შტატების გამორჩეულ მისიას, ებრძოლოს მსოფლიო დონის ურთულეს დაავადებას, დაძლიოს გლობალური გამოწვევა. ასევე, მომხსენებელს წარმოაჩენს როგორც პროგრესისა და მოწინავე პოზიციებისაკენ მისწავებულ ლიდერს.

მაშ ასე, ტექსტის ამ ნაწილში გამოიკვეთა მოწოდება / **Claim for Action:** „Let's make America the country that cures cancer once and for all.” მოწოდება გახდა შემდეგი მიზნის ნაწილი: ინოვაციების გამოყენებით უდიდესი გამოწვევების პასუხი. მნიშვნელოვანია, რომ კიბოს დამარცხების შესახებ მსჯელობისას პრეზიდენტი ხაზგასმით საუბრობს მეცნიერებისა და ინოვაციების ხელშეწყობაზე, არსებულ ვითარებას (Circumstance premise) აღწერს მაღალმხატვრულად და ემოციურად: „The spirit of discovery is in our DNA” და არწმუნებს მსმენელს, რომ ამერიკას აქვს ყველა საჭირო პირობა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით დასახოს ყველაზე ამბიციური მიზნები. მზაობა განპირობებულია როგორც ამერიკელი ხალხის ინოვაციებისადმი ისტორიული მიდრეკილებით, ასევე ბოლო პერიოდის რეფორმებით. კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ხერხებად კი მომხსენებელი ასახელებს სამეცნიერო საზოგადოების გაძლიერებას, აშშ-ის ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NIH) მეტი რესურსით მომარაგებას, სახელმწიფოს მიერ გაძლიერებულ ძალისხმევას.

ტექსტის მეტი ემოციურობისთვის და დარწმუნების ეფექტის გაზრდისთვის მომხსენებელი მისიის ხელმძღვანელად აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს ჯო ბაიდენს ასახელებს. 2016 წლის საანგარიშო ტექსტში იდენტიფიცირებული ეს კონკრეტული პრაქტიკული არგუმენტი სქემატურად ასე გამოიყურება:

The second big question we have to answer as a country:
how do we reignite that spirit of innovation to meet our biggest challenges?

მტკიცება (Claim for action)

Let's make America the country that cures cancer once and for all.

America can cure cancer

For the loved ones we've all lost, for the family we can still save, let's make America the country that cures cancer once and for all.

მიზანი (Goal)

Meet our biggest challenges through Innovation

ღირებულებები (Values)

მეცნიერებისა და ინოვაციების ხელშეწყობა, მსოფლიო გამოწვევების გადაჭრა მეცნიერების მეშვეობით

არსებული მდგომარეობა (circumstances)

That spirit of discovery is in our DNA.

We're every immigrant and entrepreneur from Boston to Austin to Silicon Valley racing to shape a better world.

We've protected an open internet, and taken bold new steps to get more students and low-income Americans online. We've launched next-generation manufacturing hubs, and online tools that give an entrepreneur everything he or she needs to start a business in a single day.

წინამძღვრება / რა მიგვიყვანს დასახულ ამოცანამდე (means goal)

- 1) **A new national effort** - Give scientists at the National Institutes of Health the strongest resources they've had in over a decade.
- 2) **I'm putting Joe in charge of Mission Control.**
- 3) Commitment

გამორჩეულად ემოციური და სტილისტური ხერხებით გაჯერებულია სიტყვის დასკვნითი ნაწილი, სადაც გამოვყოფდი დარწმუნების მნიშვნელოვან ხერხს – მოქალაქეების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების განზოგადებას და თითოეული პროფესიის მიმართ მოწიწებისა და ღრმა პატივისცემის გამოხატვას. პრეზიდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების დიდების საფუძველს მისი თითოეული მოქალაქე წარმოადგენს – მეწარმე, მეცნიერი, მასწავლებელი, მედპერსონალი, პოლიციელი, ჯარისკაცი, ყველა პროფესიონალი, რომელიც თავისი საქმის ერთგულია:

„I see them everywhere I travel in this incredible country of ours. I see you. I know you're there. You're the reason why I have such incredible confidence in our future...”

სხვადასხვა პროფესიის მოქალაქეთა მიმართ პატივისცემის ნიშნად, პრეზიდენტი ასახელებს მათ კონგრესში, წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საჯარო სიტყვაში. ვფიქრობ, ამ გზით მომხსნებელი მოიპოვებს კეთილგანწყობას და ნდობას მსმენელთა შორის და მოცემულ საანგარიშო სიტყვაში დარწმუნების ეფექტს კიდევ უფრო ზრდის.

ცნობილია, რომ პრეზიდენტი ობამა თავის საჯარო გამოსვლებში ხშირად მიმართავს იუმორს და ამ გზით ადვილად ახერხებს მსმენელის კეთილგანწყობის მოპოვებას. ასევე, თანამემამულეებისადმი მისი მიმართვის სტილს გამოარჩევენ, როგორც ე.წ. **Citizen centered attitude**: მიმართვის ტექსტებში მრავლად გვხვდება „my fellow Americans“, 2015 წლის საანგარიშო ტექსტში ხშირად გამოყენებულ სიტყვებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ რომ სიტყვა **We – 188-ჯერ** არის გამოყენებული, ხოლო სიტყვა–I მხოლოდ **80-ჯერ**. სხვა ხშირად გამოყენებულ სიტყვებს შორისაა:

American (37)

People (22)

Economy (18)

Nation (16)

Grow (9)

პრეზიდენტი სხვადასხვა პროფესიის მქონე, საკუთარ საქმესა და სამშობლოზე შეყვარებულ მოქალაქეს მიმართავს, კონგრესის დარბაზიდან გააუღერებს თანამემამულეთა წარამტების ისტორიას, რომლის მეშვეობითაც ერთის მხრივ გატარებულ რეფორმას, გადადგმული ნაბიჯების მართებულობას ადასტურებს, ხოლო მეორეს მხრივ – ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა შრომისმოყვარეობას, ამერიკელი ერის სიძლიერეს წარმოაჩენს.

“Tonight, this chamber speaks with one voice to the people we represent: it is you, **our citizens**, who make the state of our union strong” (2014 წლის საანგარიშო სიტყვა).

2015 წლის მიმართვისას კრიზისსა და ეკონომიკის მდგომარეობაზე საუბრისას პრეზიდენტმა ობამამ საზოგადოებას გააცნო რებეკა და ბენ ერლერის მაგალითი, წარადგინა ახალგაზრდა, მშრომელი წყვილი, რომელმაც თავიანთი ქვეყნის სიყვარულით, შეუპოვრობით და ერთსულოვნებთ გაუძლო ეკონომიკურ კრიზისს და გაძლიერდა. ამ ახალგაზრდა ოჯახმა კრიზისის ფონზე დაკარგა ბიზნესი. შედეგად, ბენმა სამსახურის პოვნა სახლიდან მოშორებით შეძლო,

რებეკამ კი სწავლა გააგრძელა კარიერის მიმართულების შეცვლის მიზნით. დროთა განმავლობაში წყვილმა ფინანსური სირთულეების დაძლევა, ოჯახის კვლავ გაერთიანება, სახლის შექმნა და სამშენებლო ბიზნესში დაბრუნება შეძლო. წყვილის ისტორია ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც რებეკამ აშშ-ის პრეზიდენტს თეთრ სახლში წერილი მიწერა:

“It is amazing what you can bounce back from when you have to...we are a strong, tight-knit family who has made it through some very, very hard times.” (ციტატა პრეზიდენტმა მოხსენების დროს ორჯერ გააუღერა, როგორც სიმბოლო ამერიკელი ხალხის მებრძოლი ხასიათის).

წლიური მოხსენების დროს პრეზიდენტმა ამერიკას მიმართა:

„America, Rebekah and Ben’s story is our story. They represent the millions who have worked hard and scrimped, and sacrificed and retooled. You are the reason that I ran for this office.”

ემოციური მაგალითის მოყვანის და ხალხის მიმართ უდიდესი პატივისცემის გამოხატვის ფონზე მომხსენებელი წარმოაჩენს **პასუხისმგებლობის** რეპრეზენტაციას, მიუთითებს რა ექვსი წლის წინ დადებულ პირობას ამერიკაში არსებული კრიზისის დაძლევის შესახებ. ტექსტის მიხედვით მსმენელს შეუძლია დაასკვნას, რომ დადებული პირობა შესრულებულია ამერიკელი ხალხის მონაწილეობით:

„You are the people I was thinking of six years ago today, in the darkest months of the crisis, when I stood on the steps of this Capitol and promised we would rebuild our economy on a new foundation. And it has been your resilience, your effort that has made it possible for our country to emerge stronger”.

მოწოდება, მოქალაქეების ჩართულობით გამარჯვება, ქვეყნის სიძლიერის და თანამემამულეთა ძალისხმევით წარმოჩენა ობამას საანგარიშო და სხვა საჯარო მიმართვის ტექსტებში საკმაოდ ხშირია და, გარკვეულწილად, მის სტილსაც კი წარმოადგენს:

„The United States of America is the most powerful nation on Earth. Period” (2016)

„The State of the Union is strong! (2015)

ასევე ხაზგასასმელია ამ გამარჯვებაში ამერიკული ოცნების როლის წარმოჩენა, რამდენად ძლიერი იქნება ხალხის **რწმენა განვითარების და სირთულეების დაძლევის შესახებ**. პრეზიდენტი ხშირად აღნიშნავს, რომ წინსვლა სახეზეა ამერიკელების უშუალო მონაწილეობით, აქტიური ჩართულობით, ძლიერი ენთუზიაზმით და რწმენით, რომ ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა შესაძლებელია. დამარწმუნებელ კომუნიკაციას მომხსენებელი წინადადებათა მარტივი სტრუქტურით და მდიდარი ენობრივი საშუალებებით აღწევს: აბზაცების დასაწყისში მიმართავს **გამეორებას**, როგორც ლექციკური ერთეულების, ასევე წინადადების წყობის – რისი მიღწევის სჯეროდა ამერიკელ ხალხს და რაოდენ დიდი შედეგი აქვს დღეს ამ სფეროში, ბევრად მეტი, ვიდრე გათვალისწინებული ჰქონდათ:

„We believed we could reduce our dependence on foreign oil and protect our planet. And today, America is number one in oil and gas...”

We believed that sensible regulations could prevent another crisis, shield families from ruin, and encourage fair competition. Today, we have new tools to stop taxpayer-funded bailouts, and a new consumer watchdog to protect us from predatory lending and abusive credit card practices.”
(2015)

2014 წლის საანგარიშო სიტყვაში ამერიკის სამხედრო პოლიტიკაზე საუბრისას პრეზიდენტმა ობამამ მსმენელს გააცნო ერთ-ერთი სამხედრო მოხელე კორი რემსბურგი, რომელიც საანგარიშო მიმართვის დროს კონგრესის დარბაზში იმყოფებოდა. კორის თავგანწირვის ისტორიას მომხსენებელი 252 სიტყვით ლაკონურად და ემოციურად აღწერს – ავღანეთში ყოფნისას სამხედრო მოხელე მძიმედ დაშავდა, საჭირო გახდა თვეების განმალობაში ინტენსიური მკურნალობა, ერთ თვალში დაკარგა მხედველობა და ხელახლა სწავლობს სიარულს, მეტყველებას, ცხოვრებას. მოკლე ნარატივი შეიცავს სამხედრო მოხელის დამახასიათებლად ეპიტეთს: **sharp as a tack, გამეორებას - speak again and stand again and walk again**. და რაც მთავარია, მომხსენებელს ციტატად მოჰყავს თავად კორი რემსბურგის სიტყვები, რომელიც წარმოუდგენელ შემართებას გამოხატავს: „My recovery has not been easy,” he says. “Nothing in life that’s worth anything is easy.”

ეს ციტატა ამერიკელებისათვის შემდეგი მოწოდების წყარო გახდება:

„Cory is here tonight. And like the Army he loves, like the America he serves, Sergeant First Class Cory Remsburg never gives up, and he does not quit.

My fellow Americans, men and women like Cory remind us that America has never come easy. Our freedom, our democracy, has never been easy.”

ვეფერობ, ცალკეული პიროვნებების მაგალითები, მათი მაღალემოციური გამოხატვა, მრავალფეროვანი ენობრივი ერთეულები პრეზიდენტს საშუალებას აძლევს მოახდინოს გატარებული პოლიტიკისა და კურსის **ლეგიტიმაცია**.

ასეთივე დამახასიათებელია მოხსენების სრული ან ნაწილი ტექსტის აგება შეკითხვებზე. წინა წლის ანგარიშის მსგავსად, 2015 წლის ანგარიშის შესავალი ნაწილი შეიცავს შეკითხვებს, რომელთაც მომხსენებელი პასუხობს მომდევნო ტექსტში და სწორედ ამ კითხვებზე აფუძნებს შემდგომ მსჯელობას.

III თავის დასკვნა

წინამდებარე ნაშრომისთვის შერჩეული ანგარიშის ტექსტებში იმ ნარატივს, სადაც საქართველოს ახლო წარსულისა და აწმყოს სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მდგომარეობათა კონტრასტული შედარებაა წარმოდგენილი, პირობითად ვუწოდეთ რეპრეზენტაცია - „**საქართველო ვარდების რევოლუციამდე და ახლა**”. ვარდების რევოლუციამდელი საქართველოს აღწერისას გამოყენებულია უარყოფითი, ხოლო რევოლუციის შემდგომი პერიოდის აღწერისას – დადებითი კონოტაციის შემცველი ენობრივი ერთეულები. კვლევამ აჩვენა, რომ მომხსენებელი წლების განმავლობაში ქმნიდა ამ რეპრეზენტაციას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ დისკურსში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული რეპრეზენტაცია სხვადასხვაგვარად არის გამოხატული ყველა საანგარიშო წელს და მისი მონაწილეობით ვითარდება არგუმენტაციული მსჯელობა, მიგვაჩნია, რომ იგი იძლევა დამატებითი შესწავლის მრავალფეროვან მასალას;

მსგავსი პირობითი რეპრეზენტაციის სახით გამოყვავით **პასუხისმგებლობა**, როდესაც მომხსენებელი ხალხისაგან მიღებული დავალების შესრულების შესახებ მსჯელობს. აღვნიშნეთ, რომ **პასუხისმგებლობის** რეპრეზენტაცია ჩნდება

ემოციური ნარატივის შემდგომ, რაც დარწმუნების ეფექტს ზრდის. ანალიზის დროს გამოიკვეთა ასევე რეპრეზენტაცია – **სამართლიანობა**. ადრესანტის მიერ სოციალურ პრობლემებზე მოსახლეობის სახელით შეკითხვების დასმა, უმუშევრობისა და გაჭირვების აღიარება მიუთითებს იმაზე, რომ მომხსენებელი ცდილობს, მდგომარეობა შეაფასოს სამართლიანად. ამასთან, იგი აღნიშნავს: „თითოეული მათგანი (მოსახლეობა) სრულიად სამართლიანად სვამს ასეთ შეკითხვებს და მე ყველა ამ ადამიანის მესმის;“ კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ უმეტეს შემთხვევაში მსჯელობა **მოკლებულია პრაქტიკული არგუმენტაციის სქემებს** და არის გაჯერებული სხვადასხვა რიტორიკული ხერხით. მომხსენებელი მიმართავს მრავალფეროვან საშუალებას იმისათვის, რომ კომუნიკაცია გახადოს პათეტიკური. მაგალითად, ემოციური ფონის იზრდება როდესაც კონკრეტული წარმატების მაჩვენებელი პიროვნება / ან პიროვნებები იმყოფება საქართველოს პარლამენტის დარბაზში ანგარიშის გაუღერების დროს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ამგვარ პათეტიკურ მიდგომას ახლავს მსჯელობის ხარვეზებით განვითარება (**Hasty Generalization**).

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის საპარლამენტო მოხსენებებში (2005-2012 წლები) პრაქტიკული არგუმენტები შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

2005 წლის 10 თებერვალი

საანგარიშო მოხსენება შედგება 3480 სიტყვისგან. მათ შორის შევქმელი ორი პრაქტიკული არგუმენტის იდენტიფიცირება:

- საქართველო უნდა იყოს ამ პროცესების მონაწილე (იგულისხმება საქართველოს შეიარაღებული ძალების NATO-ს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობა), 52 სიტყვა.
- უნდა გაგრძელდეს ქონების პრივატიზაცია, 192 სიტყვა. ტექსტის მიხედვით, პრაქტიკული არგუმენტები საერთო საანგარიშო სიტყვის, დაახლოებით, **7 % შეადგენს**.

2006 წლის 14 თებერვალი

საანგარიშო მოხსენება შედგება 7365 სიტყვისგან, შევქმელი მხოლოდ ორი პრაქტიკული არგუმენტის იდენტიფიცირება:

- რეფორმა უნდა დაჩქარდეს და გაგრძელდეს, ეკონომიკის ლიბერალიზაცია უნდა გაგრძელდეს, 2159 სიტყვა.
- უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება, 235 სიტყვა.

ტექსტის მოცულობის მიხედვით, პრაქტიკული არგუმენტები საერთო საანგარიშო სიტყვის, დაახლოებით, 32% შეადგენს.

2007 წლის 15 მარტი

საანგარიშო მოხსენება შედგება 6898 სიტყვისგან. ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 4815 სიტყვა გამოიყენება გასული წლის სირთულეებისა და შესაძლებლობების სტილისტური მიმოხილვის მიზნით. შევქმელი ერთი პრაქტიკული არგუმენტის იდენტიფიცირება:

- უნდა შემცირდეს უმუშევრობა და სიღარიბე რეფორმების გატარების გზით, 725 სიტყვა.

ტექსტის მოცულობის მიხედვით, პრაქტიკული არგუმენტი საერთო საანგარიშო სიტყვის, დაახლოებით, 10% შეადგენს.

2009 წლის 12 თებერვალი

საანგარიშო მოხსენება შედგება 5800 სიტყვისგან. შევქმელი ცხრა პრაქტიკული არგუმენტის იდენტიფიცირება:

- უნდა შევინარუნოთ პოლიტიკური სტაბილურობა, რათა შევძლოთ ეკონომიკის გადარჩენა, სამუშაო ადგილების შენარჩუნება, დასაქმების გაზრდა - 795 სიტყვა;
- სამკუნქტიანი გეგმა საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით (478 სიტყვა);
- სახელმწიფო ინსტიტუციების ხარჯების შემცირება, ქაშვების მოჭერის პოლიტიკა ეკონომიკის სირთულეების დაძლევის მიზნით (234 სიტყვა);
- სოციალური ინიციატივა - ხელმისაწვდომი დაზღვევის პროგრამის ინიცირება (774 სიტყვა);
- დევნილების მდგობარეობის გაუმჯობესება (442 სიტყვა);
- ზრუნვა პენსიონრებზე (308 სიტყვა);
- ზრუნვა მასწავლებლებზე (491 სიტყვა);
- ზრუნვა სოფლის დასაქმებაზე (865 სიტყვა);
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სამშვიდობო მისიების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ინსტიტუტების მაქსიმალური ჩაბმულობის გზით (421 სიტყვა).

ტექსტის მოცულობის მიხედვით, პრაქტიკული არგუმენტი საერთო საანგარიშო სიტყვის, დაახლოებით, 82% შეადგენს.

2010 წლის 26 თებერვალი

ანგარიშის ტექსტში სათათბირო მსჯელობა (დელიბერაციონ) ან პრაქტიკული არგუმენტაცია თავისი შემადგენელი სქემებით **წარმოდგენილი არ არის**. მიზნად ისახავს მსმნელის/ შეტყობინების მიმღების დარწმუნებას ერთ ძირითად საკითხში: მომხსენებლის მიერ გაცემული დაპირებები სრულდება, შესაბამისად, მომდევნო ინიციატივაცვებიც განხორციელდება.

2011 წლის 11 თებერვალი

საანგარიშო მოხსენება შედგება 6128 სიტყვისგან, შევქმელი ერთი პრაქტიკული არგუმენტის იდენტიფიცირება:

- გაზრდილი ფასების პირობებში გამოსავალის პოვნა - „ჩვენი ვალდებულებაა, რომ ამ პრობლემის (გაზრდილი ფასების) მოსაგვარებლად ადგილობრივი გამოსავალი ვეძებოთ (2916 სიტყვა);

ტექსტის მოცულობის მიხედვით, პრაქტიკული არგუმენტები საერთო საანგარიშო სიტყვის, დაახლოებით, 47 % შეადგენს.

2012 წლის 28 თებერვალი

საანგარიშო მოხსენება შედგება 5280 სიტყვისგან და აღსანიშნავია, რომ ტექსტიც **უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 90 %) პრაქტიკულ არგუმენტაციას** ეთმობა შემდეგ სამ საკითხებზე:

- უნდა შევქმნათ უფრო ფართო წრე ხალხისა, ვინც ქვეყნის სიმდიდრით იხეირებს;
- გაფართოვდეს წარმატებულ ფერმერთა წრე;
- „გაიზარდოს იმ ადამიანთა რიცხვი, ვისთვისაც დაზღვევა ხელმისაწვდომია“;
- შერჩეული ტექსტების დინამიურობას უზრუნველყოფს ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები: **ანაფორა, პარალელური კონსტრუქციები, მეტაფორა, ანტითეზისი, გაპიროვნება, ირონია, ალუზია;**
- ანგარიშის ტექსტებში გამოყენებულია მრავალი მოწოდება, აფორიზმი, ალეგორია, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ტექსტის რიტორიკულ დისკურსს;
- ადრესატის მიერ მსჯელობის დროს ხაზგასმულია ქართველი ერისთვის ყველაზე ამაღელვებელი ღირებულებები, როგორცაა თავისუფლების სიყვარული, სიკეთე. წარმოდგენილია მტრის – ბოროტების ხატი;
- აღინიშნა, რომ მოსახლეობის მიმართ მაღლიერებისა და პატივისცემის გამოხატვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მსმნელის დარწმუნების

თვალსაზრისით. 2010 წლის საანგარიშო სიტყვაში, ერთ-ერთ მონაკვეთში სიტყვა „მადლობა” **თერთმეტჯერ** არის გამოვლენილი. შვიდჯერ მეორდება ფრაზა „ეს მადლობა ეკუთვნის”, სამჯერ მეორდება ფრაზა „თქვენი დამსახურებაა”;

- დარწმუნების ეფექტს ზრდის მომხსენებლის მიერ კონტექსტის და საზოგადოების მოლოდინის სრული გათვალისწინება;
- გამოიკვეთა, რომ მომხსენებელი, ერთის მხრივ, საუბრობს იმ მოსახლეობის სახელით, ვინც ყოველდღიურად უამრავ სოციალურ პრობლემას აწყდება. მეორეს მხრივ პრობლემატური საკითხის განიხილვა კვლავ პროგრესთან და ძალზედ წარმატებული ქვეყნის კონცეპტთან შეპირისპირებით ხდება. ადრესანტი გამოხატავს, რომ მისთვის ნაცნობია ესა თუ ის სოციალური პრობლემა. ამის დასამტკიცებლად იგი სვამს შეკითხვას, რომელსაც მაგალითად, უმუშევრობით შეწუხებული ადამიანი დასვამდა. შეკითხვა იმგვარად არის ფორმირებული, რომ იგი (ირიბად) კვლავ ემსახურება მსმენელის შეხედულების (დამოკიდებულების) ჩამოყალიბებას (attitude shaping);
- ტექსტში აღმოჩენილი პრაქტიკული არგუმენტები **სიტყვათა სიმცირით** გამოირჩევა;
- პრაქტიკულ არგუმენტებში მსჯელობას აკლია განმარტებები;
- გამოიკვეთა მსჯელობის როგორც ენაზე დამოკიდებული, ასევე ენისაგან დამოუკიდებელ ხარვეზები. ადრესანტის მიერ აზრის ბუნდოვნად და ორაზროვნად გადმოცემა, სიცხადისა და კონკრეტულის არიდება ვფიქრობ, უკავშირდება საზოგადოებაში გარკვეული შეხედულების იმპლიციტურად შექმნას;
- ვნახეთ, რომ არგუმენტაციულ მსჯელობაში ხარვეზების (fallacies) გარდა ზოგ შემთხვევაში იკვეთება დარწმუნების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის – თავისუფლების – უგულვებელყოფა და ტექსტში ჩნდება იმპლიციტური მუქარა;
- პრაქტიკული არგუმენტის ფარგლებში არსებული მდგომარეობა და მისი შედარება წარსულთან ხშირად არის ერთ-ერთი ძირითადი წინამძღვრება;
- მიზნის დასახვის დროს მომხსენებელს ახასიათებს ვალდებულების აღმნიშვნელი მოდალური ზმნების ხშირი გამოყენება;

- შერჩეულ ტექსტებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფასეულობად გვევლინება რეფორმა, რომელიც ხშირად დასახული მიზნის განხორციელების კონკრეტულ მექანიზმად არის წარმოდგენილი;

შემაჯამებელი დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში საზგასმულია საჯარო, პოლიტიკური მიმართვის მნიშვნელოვანი წვლილი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. ანტიკური საბერძნეთიდან მოყოლებული, სწორედ რიტორიკა წვრთნიდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულ პირებს. კვლევისთვის შერჩეულ მასალაში – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და პრეზიდენტ ბარაკ ობამას საანგარიშო (ინსტიტუციურ) სიტყვის ტექსტებში – გამოიკვეთა, რომ ორივე მომხსენებელი თანმიმდევრულად იცავს ანტიკურ პერიოდში ჩამოყალიბებულ წესებს წარმატებული ენობრივი კომუნიკაციის მისაღწევად. დასკვნის სახით, ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვეყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2005-2012 წლების საპარლამენტო მოხსენებების ტექსტებში პრაქტიკული არგუმენტების წილი სრულ ტექსტთან მიმართებაში ცვალებადია:

საქართველოს პარლამენტში საანგარიშო მიმართვის თარიღი	მიმართვის ტექსტში პრაქტიკული არგუმენტის წილი
2005 წლის 10 თებერვალი	7 %
2006 წლის 14 თებერვალი	32%
2007 წლის 15 მარტი	10 %
2009 წლის 12 თებერვალი	82 %
2010 წლის 26 თებერვალი	0%
2011 წლის 11 თებერვალი	47 %
2012 წლის 28 თებერვალი	90%

- საპარლამენტო მიმართებებში იდენტიფიცირებულ პრაქტიკულ არგუმენტებში გამოვლინდა ტენდენცია, რომ არგუმენტების შემადგენელი ნაწილები - დასახული მიზანი, მოწოდება და მიზნის შესრულების საშუალებები - ერთმანეთთან სუსტად არიან დაკავშირებული. მიზნის მისაღწევად მსჯელობის დროს განსაზღვრული ნაბიჯების გადადგმა, შესაძლოა, აუცილებელი ან საკმარისი სულაც არ იყოს.
- პრაქტიკული არგუმენტების წარდგენისას გამოიკვეთა მიმართულებების/საკითხების სიმრავლე, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს არ აქვს პრიორიტეტული დარგები/საკითხები და მდგრადი განვითარების ხედვა. მაგალითად, 2011 წლის ანგარიშში წარმოდგენილ პრაქტიკულ არგუმენტს აქვს სხვებისაგან განსხვავებული აგებულება: წინამძღვრებად გამოყენებულია ტექსტში გაუღერებული მომდევნო არგუმენტი (რომელსაც, თავის მხრივ საკუთარი წინამძღვრება აქვს). იქმნება ძირითად მტკიცებაზე დამოკიდებულ მსჯელობათა ჯაჭვი: ხდება დამატებითი თემების ჩართვა. ამგვარი მსჯელობის აღქმა არის რთული და იგი აფერხებს ანგარიშში გათვალისწინებული ძირითადი სათქმელის გაგებას. რთულდება ტექსტში შემავალი თემების ცხადად განსაზღვრა, მათი მიმდევრობისა და ურთიერთკავშირის დადგენა.
- საპარლამენტო ანგარიშებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კომუნიკაციის დინამიურობა უზრუნველყოფილია ისეთი სტილისტური ხერხებით, როგორცაა ანაფორა, გამეორება, მოვლენებთან მიმსგავსებული მეტაფორა, ანტითეზისი – გაპიროვნება, ირონია. მაგ. 2006 წლის ანგარიშის ტექსტი გამოირჩევა იმით, რომ მასში წარმოდგენილია ერთბაშად მოწოდება, აფორიზმი, ალეგორია, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ტექსტის რიტორიკულ დისკურსს. განპიროვნება, გამეორება და აღუზია ერთად გვხვდება 2007 წლის მოხსენების შემდეგ მონაკვეთში:

„ევროპა ხელახლა მოდის საქართველოში, ისევე როგორც საქართველო ხელახლა უშინაურდება მას. ევროპა საქართველოში პირველად მოვიდა თავისი მითებით პრომეთეს დასახსნელად. მოვიდა მაშინაც, როდესაც საქართველო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სახელმწიფო გახდა“.

ოპტიმისტური მოწოდებების გაუღერების დროს მომხსენებელი ინფორმაციის მიმღებს არწმუნებს, რომ ძირითადი მიზანი – უკეთესი

ხვალინდელი დღე – რეალისტური და მიღწევადია. ამისთვის იგი მიმართავს არა მხოლოდ მდიდარ ლექსიკურ გამომსახველობით საშუალებებს, არამედ ყურადღებით არჩევს გრამატიკულ კატეორიებს:

„2015 წლისთვის საქართველოში აშენებული იქნება 17 ჰესი საერთო ჯამში 717 მგვტ. ელექტროენერჯის წარმოებით, ხოლო მშენებარე მდგომარეობაში იქნება 13 ახალი ჰესი, ჯამში 1007 მგვტ. ელექტროენერჯის წარმოების მოცულობით. ეს იქნება ჩვენი ელექტროენერჯის წარმოების გაორმაგება. ეს არის მილიარდობით დოლარი ჩვენი ეკონომიკის განმტკიცებაში და ჩვენი მოქალაქეების დასაქმებაში...” (უმუშევრობის დაძლევისათვის დაკავშირებული აბზაცი, 2015 წელი).

მომხსენებელი იყენებს გამოსატვის როგორც ექსპლიციტურ, ასევე დარწმუნების იმპლიციტურ ფორმებს. პრესუპოზიციის მეშვეობით ცდილობს, მსმენელის შეხედულება/დამოკიდებულების გამყარებას ვარდების რევოლუციის წარმატების, ქვეყანაში სხვადასხვა მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ.

- სრულიად განსხვავებული სურათი გვხვდება მიხეილ სააკაშვილის მიერ გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომებზე გაუღებულ მიმართებებში. ყველა მოხსენება (2004-2013 წლები), რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააუღერა ასამბლეის სესიებზე სტრუქტურულად არის ერთგვაროვანი, მოიცავს ერთსა და იმავე თემებს, წლების განმავლობაში მოხსენების დროს განხილული საკითხების მიმდევრობაც კი მეორდება ტექსტში.
- ყველა მოხსენებას აქვს ერთი მკაფიო მოწოდება (Claim for action) – პრაქტიკული არგუმენტი, რომელიც უკავშირდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და საერთაშორისო საზოგადოების მობილიზებას, გაეროს ძალისხმევის გაძლიერებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამშვიდობო პროცესების დამყარების საქმეში.
- 2004-2013 წლების განმავლობაში მიხეილ სააკაშვილის მიერ ინგლისურ ენაზე გაკეთებულ უკლებლივ ყველა მოხსენებაში ჩნდება შემდეგი რეპრეზენტაციები:
 - ვარდების რევოლუციის წარმატება და დაუჯერებელი შედეგები
 - მადლიერებისა და პატივისცემის გამოსატვა საქართველოს მოქალაქეების მიმართ;

- პასუხისმგებლიანი სამთავრობო გუნდის წარმოჩინება;

პლენარულ მიმართებებში მომხსენებელი წარმოადგენს ვარდების რევოლუციისა და მიმდინარე ხელისუფლების მიერ **გატარებული რეფორმების ლეგიტიმაციას**. მდიდარი ენობრივი საშუალებებით არის წარმოჩენილი ის ვითარება, რომელიც საქართველოში იყო ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულ ხელისუფლებამდე. ასევე, მრავალფეროვნად წარმოაჩენს მომხსენებელი 2003 წლის შემდეგ გატარებულ პოლიტიკას, გადადგმულ ნაბიჯებს. მიმართვის ყველა ტექსტშია **პასუხისმგებლობის რეპრეზენტაცია** – საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არის **პასუხისმგებლიანი** არა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე და არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის წინაშე, არამედ - საერთაშორისო ასპარეზზე.
- ლექსიკური გამეორება და ხაზგასმა, დასახული ამოცანებისათვის შესრულების კონკრეტული თარიღების მინიჭება, ცალკეული პიროვნებების მაგალითზე განხორციელებული რეფორმების წარმატების ხაზგასმა დამახასიათებელია პრეზიდენტ ობამას საანგარიშო გამოსვლებისთვისაც. პრეზიდენტის ხშირად ასახელებს სხვადასხვა პროფესიის მქონე, საკუთარ საქმესა და სამშობლოზე შეყვარებულ მოქალაქეს; კონგრესის დარბაზიდან მაგალითად მოჰყავს თანამემამულეთა წარამტების ისტორია და ამით ხაზს უსვამს ერთის მხრივ გატარებულ რეფორმას, გადადგმული ნაბიჯების მართებულობას, ხოლო მეორეს მხრივ – ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა შრომისმოყვარეობას, ამერიკელი ერის სიძლიერეს.
- საჯარო მიმართვის დროს პრეზიდენტი ობამა საკუთარ თავს თითქმის არასდროს განაცალკევებს საზოგადოებისაგან, უდიდეს პატივისცემას და მადლიერებას გამოხატავს ამერიკელი ხალხის მიმართ.
- დამახასიათებელია **ცვლილების კონცეფციის** ირგვლივ მსჯელობის აგება. ცვლილებას პრეზიდენტი ობამა წარმოაჩენს როგორც პროგრესის საფუძველს. ასევე, ყველა მის საანგარიშო სიტყვაში დიდი ნაწილი ეთმობა ხაზგასმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს წამყვანი და მსხნელი სახელმწიფოა.
- **State of the Union** საჯარო მიმართვების დროს ბარაკ ობამა ხშირად მიმართავს იუმორს, მსმენელს/ ინფორმაციის მიმღებს მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს (ტექსტებში ვლინდება ენის ინტერპერსონალური ფუნქცია). მომხსენებლის ყველა **State of the Union** მიმართვაში ჭარბობს პრაგმატული მსჯელობა ქვეყნის

ეკონომიკური განვითარების და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ.

- რაც შეეხება **პრაქტიკული არგუმენტის** სქემას, აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამას საანგარიშო სიტყვა გაჯერებულია არგუმენტირებული და წინამძღვრებებით გამყარებული მსჯელობით. იდენტიფიცირებულ პრაქტიკულ არგუმენტებში აღმოჩნდა, რომ **მომსხენებლის მოწოდება გარკვეული ნაბიჯის გადასადგმელად ნამდვილად შეიცავს შესაბამის წინამძღვრებებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია მოწოდებასთან.**

ჩემ მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შესაძლოა გახდეს სხვა პოლიტიკური მიმართებების კრიტიკული დისკურსისი ანალიზის მეთოდით შესწავლის საფუძველი. კვლევის ეს გამოცდილება საშუალებას იძლევა, რომ სამომავლოდ შეირჩეს პოლიტიკური დისკურსის გარკვეული ნიმუშები, ჩატარდეს მათი ლინგვისტური ანალიზი სხვა შესაბამის დისციპლინებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Blair, A. J. Rhetoric, *Dialectic, and Logic as Related to Argument*. Philosophy & Rhetoric, 45(2), 148–164, 2012.
2. Budden, L..*Critical Thinking Skills. Developing Effective Analysis and Argument Contemporary Nurse* (Vol. 25), 2007.
3. Chilton, P. *Analysing Political Discourse: Theory and Practice*. Routledge, 2004.
4. Chouliaraki, L., & Fairclough, N. *Discourse in Late Modernity*. Edinburgh University Press, 1991.
5. Dijk, T. van. Aims of critical discourse analysis. *Japanese Discourse*, 1, 17–27. 1995
6. Dillon, J. M., & Gergel, T. *The Greek Sophists*. Penguin classics, 2003.
7. Fairclough, I., & Fairclough, N.. Practical reasoning in political discourse: The UK government's response to the economic crisis in the 2008 Pre-Budget Report. *Discourse & Society*, 22(3), 243–268, 2011.
8. Fairclough, I., & Fairclough, N.. *Political Discourse Analysis: A Method for Advanced Students*. Routledge, 2012
9. Fairclough, N.. *Language and Power*. Language in Social Life Series, 1989.
10. Fairclough, N.. *Discourse and Social Change*. *Discourse* (Vol. 54), 1992a.
11. Fairclough, N. *Discourse and Text: Linguistic and Intertextual Analysis within Discourse Analysis*. Sage journals, 1992b.
12. Fairclough, N. *Critical Discourse Analysis: The Critical Study of Language*. Language in social life series (Vol. 81), 1995.
13. Fairclough, N. *Critical discourse analysis as a method in social scientific research*. In *Methods of critical discourse analysis* (pp. 121–138), 2001.
14. Fairclough, N.. *Analizing Discourse. Textual analysis for social research*. Routledge Taylor and Grancis Group London and New York.
15. Fairclough, N. *Analysing Discourse: Textual Analysis for Social Research*. Routledge Taylor and Grancis Group London and New York, 2003b.
16. Fairclough, N., Mulderrig, J., & Wodak, R.. *Critical Discourse Analysis*. In *Discourse*

- Studies; a multidisciplinary introduction. (pp. 357–378), 2011.
17. Fogelin, W. S.-A. & R. J. *Understanding Arguments: An introduction to informal logic* Wadsworth, 2010.
 18. George A. Kennedy, *Aristotele on Rhetoric – a Theory of Civic Discourse*. New York; Oxford: Oxford University Press, 2007.
 19. Herrick, J. A. *The History and Theory of Rhetoric: An Introduction*. In History and Theory Pearson education, 2005.
 20. Hesk, J. *Types of oratory*. In E. Gunderson (Ed.), *The Cambridge Companion to Ancient Rhetoric*, Cambridge University Press, 2009.
 21. James Price Dillard, Michael Pfau, *Persuasion handbook*, SAGE 2002
 22. Holyoak, Keith J. University of California, L. A., & Morrison, Robert G. (University of California, L. A. 2005.
 23. *The Cambridge Handbook of Thinking and Reasoning*. The Cambridge handbook of thinking and reasoning, 2005.
 24. Jan Renkema, *Introduction to Discourse Studies. Pragmatics*. John Benjamins Publishing Company, 2005.
 25. Miller, G. *The Persuasion Handbook: Developments in Theory and Practice*. The SAGE Handbook of Persuasion: Developments in Theory and Practice, 2012.
 26. O’Keefe, D. J. *Persuasion: Theory and Research*. SAGE, 2002.
 27. Perloff, R.. *The dynamics of persuasion: Communication and attitudes in the 21st century*, Mahwah. Lea, Nj. 2003
 28. Simons, H. W., Morreale, J., & Gronbeck, B. E. (2001). *Persuasion in society*
 29. Tindale, C. W. *Fallacies and Argument Appraisal*. *Journal of Chemical Information and Modeling*, 2013.
 30. Van Dijk, T. *Discourse as interaction in society. Discourse as social interaction*, 1997.
 31. Van Dijk, T. *Critical Discourse Analysis*. Discourse & Society, 1994.
 32. Van Dijk, T. *Principles of Critical Discourse Analysis*. Discourse & Society, 1993.
 33. Van Dijk, T. *Ideology and discourse analysis*. *Journal of Political Ideologies*, 2006.

34. Van Dijk, T. *Critical discourse analysis*. In *The handbook of discourse analysis*, 2001.
35. Van Dijk, T. *Discourse, Ideology and Context*. *Folia Linguistica*, 2001.
36. Van Dijk, T. *Discourse Semantics and Ideology*. *Discourse & Society*, 1995.
37. Walton, D. *Nonfallacious Arguments from Ignorance*. *American Philosophical Quarterly*, 1992.
38. Walton, D. *Evidence and Argument Evaluation*. In *ARGUMENT EVALUATION AND EVIDENCE* (Vol. 23, pp. 243–278), 2016.
39. Weiss, G., & Wodak, R.. *Critical Discourse Analysis*. *Critical Discourse Analysis: Theory and Interdisciplinarity*, 2003.
40. Weiss, G., & Wodak, R. *Critical Discourse Analysis: Theory and Interdisciplinarity*. *Critical Discourse Analysis: Theory and Interdisciplinarity*. 2007.
41. Weston, A.. *A Rulebook for Arguments*. *Library*, 2000.
42. Wodak, R., & Kendall, G. *What is critical discourse analysis?* *Forum Qualitative Sozialforschung*, 2007.
43. Wohl, V. *Rhetoric of the Athenian citizen*. In E. Gunderson (Ed.), *The Cambridge Companion to Ancient Rhetoric* (Cambridge Companions to Literature, pp. 162-177). Cambridge University Press, 2009.
44. *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი*. Tbilisi: Logos Press, 2004.
45. *Encycloedia of Rhetorics*, Oxford University Press, 2001
46. არისტოტელეს რიტორიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981.
47. შუალედური ანგარიში [„საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი“](#), ფონდი „ლიბერალური აკადემია თბილისი
48. გაზეთი 24 საათი, 01.03.12. „კავკასიის რეგიონიდან მხოლოდ ერთი - საქართველოს ბანკი უკვე ლონდონის საფონდო ბირჟაზე პრემიუმ ლისტინგშია“

[მიხეილ სააკაშვილის საანგარიშო სიტყვები საქართველოს პარლამენტში:](#)

[2005 წლის 10 თებერვალი:](#)

- [2006 წლის 14 თებერვალი;](#)
- [2007 წლის 15 მარტი;](#)
- [2009 წლის 12 თებერვალი;](#)
- [2010 წლის 26 თებერვალი;](#)
- [2011 წლის 11 თებერვალი;](#)
- [2012 წლის 28 თებერვალი;](#)

მიხეილ სააკაშვილის მოხსენებები გაეროს გენერალურ ასამბლეაზე:

- [გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესია, 2004 წლის 21 სექტემბერი](#)
- [გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60 სესია, 2005 წლის 15 სექტემბერი](#)
- [გაეროს გენერალური ასამბლეის 61-ე სესია, 2006 წლის 22 სექტემბერი](#)
- [გაეროს გენერალური ასამბლეის 62-ე სესია, 2007 წლის 27 სექტემბერი](#)
- [გაეროს გენერალური ასამბლეის 63-ე სესია, 2008 წლის 23 სექტემბერი](#)
- [გაეროს გენერალური ასამბლეის 64-ე სესია, 2009 წლის 24 სექტემბერი](#)
- [გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე სესია, 2010 წლის 23 სექტემბერი](#)
- [გაეროს გენერალური ასამბლეის 66-ე სესია, 2011 წლის 22 სექტემბერი](#)
- [გაეროს გენერალური ასამბლეის 67-ე სესია, 2012 წლის 25 სექტემბერი](#)
- [გაეროს გენერალური ასამბლეის 68-ე სესია, 2013 წლის 25 სექტემბერი](#)

პრეზიდენტ ბარაკ ობამას საჯარო მიმართვები

- [State of the Union address 2010 წლის 27 იანვარი](#)
- [State of the Union address 2011 წლის 25 იანვარი](#)
- [State of the Union address 2012 წლის 24 იანვარი](#)
- [State of the Union address 2013 წლის 12 თებერვალი](#)
- [State of the Union address 2014 წლის 28 იანვარი](#)
- [State of the Union address 2015 წლის 20 იანვარი](#)
- [State of the Union address 2016 წლის 12 იანვარი](#)